ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
4 ოქტომბერი შაბათი 2011
№233 (13530) ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

lariwin.com
the better way to play
მეტი, ვიდრე თამაში
რეპორტაჟების სპონსორია ონლაინ კაზინო



ბესიკ ჯანგავაძე პალმერსტონიდან

## როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

# თემურ ქეცბაია

# არ მაინტერესებს, რა უნდათ ბერძნებს, მე ვიცი, რა გვინდა ჩვენ

## დევდარიანს ბევრი არა დაუგროვდა

## და სად არის ყენია?





2

ნაკრების მწვრთნელის პრესკონფერენცია

თემურ ქეცბაია გუშინდელ პრესკონფერენციაზე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## მსოფლიოს თასი: ხიდი წარსულსა და მომავალს შორის

ინტერვიუ რიჩი დიქსონთან

9



სოხუმის მთავარმა მწვრთნელმა აინარს ბაგაცკისმა მატჩის წინ კომენტარისგან თავი შეიკავა

11

## ზიზუმ სიტყვა დააგდო

### ზიდანი მამლების მწვრთნელობაზე ფიქრობს

„მინდა თუ არა საფრანგეთის ნაკრების გაწვრთნა? რატომაც არა, ეს სულაც არ იქნებოდა ცუდი. ცხოვრებაში ყველაფერი შესაძლებელია“ - უთხრა ზინედინ ზიდანმა „ლე პარიზიენს“.



12

## სამწლიანი შესვენების შემდეგ ქართული კლუბები ევროსარბიელს უბრუნდებიან

დღეს, 19:00. სპორტის სასახლე

## სოხუმი-მინსკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

ეროვნული ნაკრები. პრესკონფერენცია

### თემურ ქეცბაია

# დავიღალე დევდარიანის ჩამოუსვლელობით!

**საქართველოს** ეროვნული ნაკრები ევრო 2012-ის შესარჩევ ციკლს საბერძნეთთან დაპირისპირებით დაასრულებს. შეხვედრა 11 ოქტომბერს თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება.

**გუშინ ტექნიკურ ცენტრ "ბასაში" ეროვნული გუნდის შეკრება დაიწყო, დილით კი ნაკრების მთავარი მწვრთნელი თემურ ქეცბაია მედიას შეხვდა და მზადების გეგმებზე ელაპარაკა.**

- ეს ციკლის ბოლო მატჩია და მოთამაშეთა უმეტესობა შეკრებაზე ხვალ საღამოს გამოცხადდება, ასე რომ, მოსამზადებლად დიდი დრო გვაქვს და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, შესარჩევი ეტაპი მოგებით რომ დავასრულოთ. სამწუხაროდ, არის გარკვეული პრობლემები, დაგვაკლდებიან ტრავმირებულები, მაგრამ ეს ყოველთვის ხდება.

**- ნაკრებში ირაკლი მაისურაძისა და ნიკა გელაშვილის გამოძახება ამით არის გამოწვეული?**

- დიახ, მიზეზი ისაა, რომ სანდრო კობახიძე დაშავდა და ვერ დაგვეხმარება. იმედია, ასეთ ცუდ ამბავს აღარ შევიტყობთ.

**- დევდარიანი რატომ ვერ ჩამოდის, ისევ ფეხი სტკივა?**

- სიმართლე გითხრათ, დავიღალე დევდარიანის ჩამოუსვლელობით. ათჯერ გამოვიძახე და არ გამოცხადებულა, ბოლო მომენტში უარს ამბობს და არც ვიცი, ეს რას მივაწერო. კობახიძისა და დევდარიანის ჩანაცვლება საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელებით მსურდა, მაისურაძე უკვე გამოცხადდა, გელაშვილს კი მცირე ტრავმა აქვს.

**- ბოლო მატჩებში "მეტალურგის" თავდამსხმელი დიმიტრი ტატანაშვილი შედეგიანად ათამაშდა. მის მიწვევაზეც ხომ არ ფიქრობთ?**

- თუ ასე განაგრძო, დავინტერესდები.

**- თქვენი აზრით, ნაკრებმა საკუთარი შესაძლებლობები გამოავლინა?**

- თუ წინა ციკლს შევადარებთ, უკეთესობა არის, შედეგი გაუმჯობესდა და მთლიანობაში ციკლი წარმატებული გამოდგა. მაგრამ მეტი ქულის მოპოვება შეგვეძლო. გული იმაზე მწყდება, რომ ლატვიელებთან იქაც და აქაც საუკეთესო თამაშები ვაჩვენეთ, განსაკუთრებით თბილისში და ამ მატჩებში მხოლოდ ქულას დავჯერდით. სამწუხაროდ, ფეხბურთში ასეც ხდება, შეიძლება, კარში 44-ჯერ დაარტყა და ვერ გაიტანო, მეტოქემ კი ერთი დარტყმით მოგიგოს. გასვლის შანსს მხოლოდ მათთან მოგება გვინარჩუნებდა, მაგრამ იღბალიც არ გვწყალობდა.

**- შევიტყვეთ, რომ აკაკი გოგია საქართველოს ნაკრებში თამაშზე დაითანხმეთ, რაც ადრე დაუჯერებელი ჩანდა.**

- ნამდვილად გვსურს, რომ ნაკრებში ითამაშოს, მაგრამ ჯერ პატარა პრობლემებია მოსაგვარებელი.

**- ნოემბრის ამხანაგურ შეხვედრაში გამოიძახებთ?**

- მშობლებს ველაპარაკე და კარგი იქნება, ნოემბერში თუ ჩამოვა, შემოდგომაზე დახმარება ახალგაზრდულ ნაკრებსაც სჭირდება...

**- პრობლემა მოქალაქეობის შეცვლაა?**

- ეს ყველაზე ადვილად მოსაგვარებელი პრობლემაა.

**- მოთამაშეებს ახალგაზრდული ნაკრებიდანაც დაიმატებთ?**

- ვნახოთ, შვეიცარიასთან 7 ოქტომბერს ვინ როგორ ითამაშებს.

**- ითქვა, რომ შემდეგი ციკლისთვის ვეტერანებს აღარ გამოიძახებთ.**

- ამაზე ლაპარაკი არასერიოზულად მიმაჩნია. თუ რამე გადაწყდება, ახალი ციკლის დაწყებამდე, ახლა კი ბერძნებთან მატჩისთვის ვემზადებით.

**- საბერძნეთს გასვლის შანსი აქვს და მოტივირებულია. ჩვენს მოთამაშეებს აქვთ კი მოტივაცია?**

- ბერძნების მოტივაცია ჩვენ არ გვაინტერესებს, გვჭირდება თუ არა ქულები, მოგება საქართველოსაც არ აწყენს. ბოლო ორ წელიწადში 15 მატჩიდან 10 სტუმრად გავმართეთ, ჩვენი მაყურებელი თამაშს და მოგებას მონატრებულია და ხალხის გასახარებლად ყველაფერი უნდა გავაკეთოთ.

**- მჭედლიძის დაბრუნებაზე რას გვეტყვით?**

- ლევანი ყვითლების გამო შვეიცარიის ახალგაზრდულ ნაკრებთან ვერ ითამაშებს და მოვიწვიეთ. თუმცა 7 ოქტომბრის მატჩის შემდეგ მისი გამოძახება ისედაც გვსურდა.

**- გადაწყდა, ვის ვეთამაშებით ნოემბერში?**

- არ ვიყავით დარწმუნებული, რომ ნოემბერში ამხანაგური მატჩის გამართვა მოგვიწევდა. ჩვენ კი იმ დონის ნაკრები არ ვართ, საინტერესო გუნდები უცებ დავითანხმოთ. ამიტომ ახლა მოლაპარაკებები ჭირს.

**- უდავოა, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში კარგი კალენდარი გვაქვს.**

- მართლაც კარგი კალენდარია, პირველი მატჩიც საქართველოში გვაქვს, მაგრამ მხოლოდ კარგი კალენდარი რას გვარგებს, როდესაც უძლიერესი მეტოქეები შეგვხვდნენ. თუმცა ყველასთან უნდა ვიბრძოლოთ, ძლიერ ნაკრებებთან საკუთარი შესაძლებლობების გამოცდა ფეხბურთელებისთვისაც სასურველი იქნება.

ყველაზე ძნელი ბელარუსების დათანხმება აღმოჩნდა, რა არ მოიმიზეზეს, ამ დროისთვის მოედანი არ გვივარგაო, ჩვენთან სეზონი არ იქნება დაწყებული და ნაკრებიც მოუმზადებელი იქნებაო, მაგრამ ბოლოს კალენდრის წარმოდგენილ ვარიანტს დათანხმდნენ.

**- საბერძნეთთან თქვენი ანგარიშები გაქვთ?**

- ჩემს ანგარიშებზე ლაპარაკი არ მსურს. ციკლი სასურველ ნოტზე უნდა დავასრულოთ. 10 ქულა გვაქვს და, იმედია, კიდევ დავამატებთ.

**- საქართველოს ჩემპიონატს თუ ადევნებთ თვალს? წლეულს ჩემპიონატი საინტერესოდ მიმდინარეობს.**

- თვალს, ცხადია, ვადევნებ, მაგრამ ლეგიონერებს უფრო ვაკვირდები, რადგან ნაკრების წევრთა 90 პროცენტი უცხოეთში თამაშობს.

ჩემი აზრით, 12-გუნდიან ჩემპიონატზე გადასვლა სწორი ნაბიჯი იყო. რაც მეტი გუნდი იქნება რეგიონებში, მეტი ფეხბურთელიც გამოჩნდება. სამწუხაროდ, ისეთი დონის ჩემპიონატი არ გვაქვს, სასურველი ფეხბურთელი უცებ რომ შევარჩიოთ. მაგრამ დადგა დრო, ამ მიმართულებით რამე მოვიფიქროთ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გავზრდით იმ მოთამაშეებს, რომლებიც ნაკრებს სჭირდება.

**- შეკრებაზე სოსო ჭედია დაგეხმარებათ?**

- სოსო ახალგაზრდული ნაკრების მატჩის შემდეგ შემოგვიერთდება.

**- ბოლო მატჩებში ნაკრები შეტევაზე იყო ორიენტირებული. ბერძნებთანაც ასე იქნება?**

- ამაზე ლაპარაკი ჯერ არ მსურს, თუმცა გეთანხმებით, ბოლო მატჩებში უფრო შემტევი ფეხბურთი ვაჩვენეთ — პოლონეთთან, ლატვიასთან. სამწუხაროდ, არ გაგვიმართლა. ლატვიასთან შოკის შემდეგ, მალტასთან სასურველ შედეგს იმიტომაც ვერ მივაღწიეთ, რომ ბიჭები სტრესიდან ვერ გამოვიდნენ.

**- ყენიამ ორჯერადი ვარჯიშები დაიწყო - ნოემბერში მასაც გამოიძახებთ?**

- "შალკეში" ბერძენი მეგობარი მყავს, რომელიც ამბობს, რომ ყენია გუნდში არ უნახავს და სად ვარჯიშობს, წარმოდგენა არ მაქვს.

**- ამბობენ, რომ ლევანი "შალკედან" წამოვიდა.**

- მე რაც ვიცი, გითხარით. სამწუხაროა, ამ დონის მოთამაშე რომ გამოგვაკლდა. დარწმუნებული ვარ, ყენია რომ გვყოლოდა, გუნდი უკეთ იასპარეზებდა.

**მერაბ მამულაშვილი**




თემურ ქეცბაია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



ალექსანდრე კოშკაძე



ირაკლი მაისურაძე

# ნაკრებს კოშკაძე და მაისურაძე დაემატნენ

გუშინ **თემურ ქეცბაიამ** ტრავმებისგან შეთხელებულ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ორი ფეხბურთელი დაამატა – თბილისის "დინამოს" კაპიტანი **ალექსანდრე კოშკაძე** და რუსთავის "მეტალურგის" ნახევარმცველი **ირაკლი მაისურაძე**.

კოშკაძეს ნაკრებში უკვე უთამაშია და ეროვნული გუნდის გაფართოებულ სიაშიც არაერთხელ შეუყვანიათ, მაისურაძეს კი, იმის მიუხედავად, რომ სანაკრებო შეკრებაზე აქამდეც მიუწვევიათ, დებიუტი ჯერაც არ ჰქონია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მეტოქე. საბერძნეთი

# ფერნანდუ სანტუშის სათბილისო არჩევანი

**საბერძნეთის** ეროვნული ნაკრების პორტუგალიელმა თავკაცმა **ფერნანდუ სანტუშმა** ის შემადგენლობა დაასახელა, რომელსაც თბილისში ქართველებთან სათამაშოდ ჩამოიყვანს.

მეკარეები: **ალექსის ცორვასი** ("პალერმო", იტალია), **დიონისის ხიოტისი** (აპოელ, კვიპროსი);

მცველები: **ნიკოს სპიროპულოსი, ლუკას ვინტრა, კოსტას კაცურანისი** (სამივე — "პანათინაიკოსი"), **აბრაამ პაპადოპულოსი, იანის ზარადუკასი** (ორივე — "ოლიმპიაკოსი"), **ვასილიოს ტოროსიდისი** ("ქსანთი"), **სოკრატის პაპასტატოპულოსი** ("ვერდერი", გერმანია), **კირიაკოს პაპადოპულოსი** ("შალკე", გერმანია), **ათანასიოს პესტოსი** ("კაიზერსლაუტერნი", გერმანია);

ნახევარმცველები: **გეორგიოს ფოტაკისი, სტეფანოს ათანასიადისი, დიმიტრის სალპინგიდისი** (სამივე — პაოკ), **გიორგიოს კარაგუნისი** ("პანათინაიკოსი"), **ალექსანდროს ციოლასი** ("რასინგი", ესპანეთი), **პანაიოტის კონე** ("ბოლონია", იტალია), **გრიგორის მაკოსი** (აეკ);

თავდამსხმელები: **ანგელოს ხარისტეასი** ("პანეტოლიკოსი"), **გეორგიოს სამარასი** ("სელტიკი", შოტლანდია), **თეოფანის გეკასი** ("აინტრახტი", გერმანია).

შეგახსენებთ, ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დასრულებამდე ორი ტურით ადრე ბერძნები ჩვენი ჯგუფის ლიდერ ხორვატებს ერთი ქულით ჩამორჩებიან, თბილისში ჩამოსვლამდე კი, 7 ოქტომბერს, სწორედ ხორვატიის ნაკრებს უმასპინძლებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ფერნანდუ სანტუში

ლეგიონერი

# აი, სადოლ, ლომაია

**აზერბაიჯანში** არა მარტო ტურის, არამედ ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი გაიმართა. ბაქოს "ინტერმა" ლენქორანის "ხაზარს" უმასპინძლა და პრინციპულ მეტოქეს 1:0 სძლია. გამარჯვების გოლი 72-ე წუთზე **ნიზამი ჰაჯიევმა** გაიტანა, თუმცა აზერბაიჯანულმა პრესამ მასზე მეტად **გიორგი ლომაია** გამოარჩია – საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილმა მეკარემ რამდენიმე რთული დარტყმა მოიგერია და მედიისგან კომპლიმენტები დაიმსახურა.

ლომაიას გარდა, "ინტერის" შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშეს **ვალერი აბრამიძემ** და **ილია კანდელაკმა, ბაჩანა ცხადაძე** კი სათადარიგო იყო.

მარცხის მიუხედავად, 8 ტურის შემდეგ "ხაზარი" 19 ქულით პრემიერლიგას მაინც დამაჯერებლად ლიდერობს. ბაქოს "ნეფთჩის" 15 ქულა აქვს, "ინტერს" კი – 14.

**ნიკა გვათუა**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:15

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყოფნა–არყოფნა თავში და რვაში

## შესავალი უკვე წაიკითხეთ, მალე ამბები დაიწყება

უმაღლესი ლიგის სასტარტო ნაწილი დიდი ხანია, მოვილიეთ და, არცთუ საუკეთესო ხარისხის ფეხბურთის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული ჩემპიონატი ტურიდან ტურამდე საინტერესო ხდება – თანდათან იკვეთება ის გუნდები, რომლებსაც დიდი მიზნები დაუსახავთ. არანაკლები დაძაბულობაა სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილში, სადაც რვა საუკეთესოს შორის მოხვედრის იმედი ჯერაც არავის დაუკარგავს. სასიამოვნოა, რომ ამჯერად უმაღლეს ლიგას უიმედო მაჩანჩალა არ ჰყავს. ბოლოადგილოსანი "სიონი" მხოლოდ საქმეში ჩაუხედავ ქომაგს შეიძლება ეგონოს განწირული, სინამდვილეში კი, თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, საგაზაფხულო ეტაპიდან ბოლნისელებს დღევანდელზე გაცილებით უკეთესი გუნდი ეყოლებათ და უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად ბოლომდე იბრძოლებენ.

VIII ტურში არც ცენტრალური მატჩი გამართულა და არც სენსაცია დაფიქსირებულა, მაგრამ მაინც მოხდა რამდენიმე ისეთი ღირსშესანიშნავი ამბავი, რომელთაც გვერდს ვერ ავუვლით.

### ტატანაშვილის მესამე დუბლი

**დიმიტრი ტატანაშვილმა** თბილისის "დინამოდან" რუსთავის "მეტალურგს" აშკარად არასახარბიელო ფორმაში მყოფმა მიაშურა და ლოგიკური იყო, ერთ დროს საქართველოს ეროვნული ნაკრების რეალური კანდიდატი "მეტალურგის" საევროთასო მატჩებში მესამე, სათადარიგო თავდამსხმელის როლს რომ დასჯერდა. თუმცა დაიწყო ჩემპიონატი და დიმას საგოლე ალღო დაუბრუნდა, გუნდის ძირითადშიც მყარად დამკვიდრდა და დღეისთვის არა მარტო რუსთაველთა, არამედ მთლიანად უმაღლესი ლიგის საუკეთესო ბომბარდირია.

8 მატჩში 6 გოლი ნებისმიერი ფორვარდისთვის შესანიშნავი შედეგია, უფრო შთამბეჭდავი კი ის არის, რომ ტატანაშვილმა ამ მონაგარს თავი მხოლოდ დუბლებით მოუყარა – მან წყვილ-წყვილად "ვიტ ჯორჯიას", "ტორპედოსა" და "დილას" გაუტანა. მოკლედ, ტატანაშვილმა თავი დამაჯერებელი თამაშით გაგვახსენა და თუ ასე განაგრძო, მალე დღევანდელზე გაცილებით სოლიდური შედეგებით მოიწონებს თავს.

ისიც აღსანიშნავია, რომ "მეტალურგს" კვირას ოთხტურიანი იძულებითი უქმობის შემდეგ დაუბრუნდა **ირაკლი მოდებაძე**, რომელიც ტატანაშვილის ფორმაში შესვლამდე გუნდის წამყვანი ფორვარდი იყო. არც რუსთავში ახლახან დაბრუნებული **გიორგი ჭედია** უნდა დავივიწყოთ, რაც იმის მანიშნებელია, რომ "მეტალურგის" წინა ხაზში ხარისხიცაა და მძაფრი კონკურენციაც.

დღევანდელი ვითარებით რომ ვიმსჯელოთ, "მეტალურგი" ჩემპიონობის "ჩრდილში მდგომ", მაგრამ მაინც რეალურ კანდიდატად მიგვაჩნია.

რაც შეეხება დუბლს, გასულ ტურში ამით თავი მხოლოდ ტატანაშვილს არ გამოუჩენია. მის გარდა, მეტოქეთა კარში ორ-ორი გოლი გაიტანეს დინამოელმა **ჩისკომ** და სპარტაკელმა **ზვიად მეტრეველმა**.

### ევროპის თვალწინ არ დაგვიბნელდეს!

"სპარტაკმა" ნანატრ გამარჯვებას 40 წუთის დაგვიანებით მიაღწია. კვირა საღამოს დაწყებული და ღამით დასრულებული მატჩი ჩაშლის პირას იყო, მაგრამ საბოლოოდ ისე მოხდა, რომ მხოლოდ პირდაპირი სატელევიზიო რეპორტაჟი ვერ გადაიცა სრულად, თვით შეხვედრა კი ელექტრიკოსთა დიდი მონდომების შედეგად მშვიდობიანად დასრულდა და ცხინვალელებმა "ვიტ ჯორჯიას" გადამწყვეტი გოლი გაუტანეს. ვნახოთ, გაგრძელდება თუ არა "სპარტაკის" პროგრესი **ვლადიმერ ხაჩიძის** ხელმძღვანელობით, ჯერჯერობით კი, გუნდს გამოცდილი სპეციალისტის ხელი აშკარად ეტყობა.

რაც შეეხება "მიხეილ მესხზე" მომხდარ უსიამოვნო ამბავს, რა უნდა ვთქვათ – სამწუხაროდ, ქართულ რეალობაში სტადიონზე სინათლის ჩაქრობა კარგა ხანია, ჩვეული ფაქტია. მართალია, 2002 წელს საქართველო-რუსეთის მატჩისას ვაკის არენის ჩაბნელების შემდეგ ასეთი რეზონანსული ამბავი აღარ მომხდარა, მაგრამ არის კი გარანტია, რომ რამდენიმე დღის შემდეგ საქართველო-საბერძნეთის მატჩისას იგივე არ განმეორდება?

მართალია, "სპარტაკი"-"ვიტ ჯორჯიაზე" მოედანი "მხოლოდ" სანახევროდ ჩაბნელდა, მაგრამ ეს დიდი ვერაფერი შეღავათია, რადგან თამაშისთვის საჭირო განათება მაინც აღარ იყო. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ზაფხულში, ევროთასების შეხვედრებისას, ეროვნულ სტადიონს რამდენჯერმე შეექმნა განათებასთან დაკავშირებული პრობლემები. მოკლედ, სანამ საერთაშორისო მასშტაბით კიდევ ერთხელ შევრცხვენილვართ, ეს საკითხი სასწრაფოდაა მისახედი.

### გეგუჩაძე საქმეს შეუდგა

ტურის კიდევ ერთი გამოსარჩევი მოვლენა "ტორპედოს" უკავშირდება. ქუთაისურ კლუბში **გია გეგუჩაძის** მისვლა უფრო ადრე გადაწყდა, მაგრამ "ტორპედომ" ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი სპეციალისტის ხელმძღვანელობით პირველად ითამაშა.

"გაგრას" ძლევა უაღრესად მნიშვნელოვანი მხოლოდ თასის ფინალში განცდილი რევანშის გამო კი არა, წმინდა პრაგმატული მოსაზრებითაც იყო – ამით იმერლებმა სატურნირო მდგომარეობა საგრძნობლად გაიუმჯობესეს და ლიდერებსაც მიუახლოვდნენ.

სხვა საქმეა, რომ "ტორპედოს" თამაშის ხარისხი და თუნდაც შემადგენლობა უკეთესის სურვილს ტოვებს, მაგრამ კლუბის ფინანსური მდგომარეობიდან და მატერიალურ-ტექნიკური ბაზიდან გამომდინარე, არის იმედი, რომ ყველაფერი მოგვარდება და გეგუჩაძისთვის დროის მიცემა ნამდვილად ღირდა – მას აქვს იმის რეალური შანსი, რომ ქუთაისელი ქომაგების ოცნება აახდინოს. დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს, განახლებული "ტორპედოს" კონტურები, ალბათ, სეზონის მეორე ნახევრიდან გამოჩნდება.

### ბაჯელიძეზე ახალი არაფერია

გუშინ გაცნობეთ, რომ "სიონის" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ლევან ბაჯელიძემ** თანამდებობიდან წასვლა არ გამორიცხა, არადა, იგი სულ ახლახან დაინიშნა და მისი სიტყვები ძალიან გაგვიკვირდა. ვეჭვობთ, ეს მხოლოდ წმინდა საფეხბურთო გარემოებებით იყოს ნაკარნახები.

სამწუხაროდ, ბაჯელიძესთან დაკავშირება ვერც გუშინ შევძელით. ზუსტი ინფორმაცია ვერც "სიონის" ხელმძღვანელობისგან მივიღეთ. შევიტყვეთ მხოლოდ ის, რომ ბაჯელიძე ქვემო ქართლის გუბერნატორ **დავით კირკიტაძესთან** აპირებდა შეხვედრას...

### ტურის დანარჩენი გმირები

ბოლოს კი იმ ფეხბურთელებზე შევჩერდეთ, რომლებმაც საკუთარი გუნდის გამარჯვებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს. ცხადია, აქ აღარ მივუბრუნდებით ზემოთ ნახსენები დუბლების ავტორებს.

**ჯონი შეროზია** – მარტვილის "მერანის" მეკარემ გურიაში გამართული მეგრული დერბის მოგებაში ლომის წილი დაიდო. მან მატჩი უმაღლეს დონეზე ჩაატარა, განსაკუთრებით კი შეხვედრის მიწურულს გაიბრწყინა, როცა ჯერ პენალტი მოიგერია, შემდეგ კი მეტოქეს დამატებაზეც არ გაატანინა.

**გიორგი კახელიშვილი** – "დინამოს" ნახევარმცველს გოლი არ გაუტანია, მაგრამ ბოლნისში ორი საგოლე პასი მიითვალა.

**გიორგი ქავთარაძე** – "მეტალურგის" ნახევარმცველმა თავი გოლითა და საგოლე გადაცემით გამოიჩინა.

აუცილებლად უნდა ვახსენოთ "ზესტაფონის" თავკაცი **გიორგი ჭიაბრიშვილიც** – ზუგდიდში ხომ თამაშის ბედი სწორედ მის მიერ განხორციელებულმა შეცვლებმა გადაწყვიტა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



გია გეგუჩაძე და მისი ახალი, ქუთაისელი შეგირდები

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

### VIII ტურის სიმბოლური ნაკრები




## აუცილებელი განმარტება

კიდევ ერთხელ გვინდა განვმარტოთ ის წესი, თუ რა კრიტერიუმით ვსარგებლობთ ცხრილის შედგენისას. ამ შემთხვევაში, ძირითადად, თანაბარქულიან გუნდებზე გვექნება საუბარი და კვლავაც გვინდა საქართველოს 2011-12 წლების XXIII ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის პირველობის დებულების შესაბამისი პუნქტი („ჩემპიონატის ჩატარების პირობები") შეგახსენოთ.

უმაღლეს, პირველ და დუბლების ჩემპიონატში თანაბარი ქულების შემთხვევაში ადგილები გაირკვევა შემდეგი პრიორიტეტული პრინციპით:

1. ჩემპიონატში მოგებათა მეტი რაოდენობა.
2. უშუალოდ ერთმანეთში შეხვედრების შედეგები (ქულათა რაოდენობა და შემდეგ ბურთების უკეთესი სხვაობა. ბურთების ერთნაირი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც ერთმანეთთან შეხვედრებში სტუმრად მეტი გოლი აქვს გატანილი)
3. ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა.
4. ჩემპიონატში გატანილი გოლების მეტი რაოდენობა.
5. ჩემპიონატში სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა.
6. ფეარ-პლეის შედეგები (ყველა მატჩზე დელეგატის მიერ შევსებული გუნდებისა და მოთამაშეების ფეარ-პლეის პრინციპების გათვალისწინებით).
7. თუ გუნდებს ეს მაჩვენებლებიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა.

ახლა კი კონკრეტულ სიტუაციაზეც ვისაუბროთ: უმაღლეს ლიგაში რვა ტურის შემდეგ რამდენიმე გუნდს დაუგროვდა ერთნაირი ქულა; მაგალითად, „ბაია" იმიტომ იმყოფება „ტორპედოზე" ზემოთ, რომ უკეთესი ბურთების სხვაობა აქვს; ასევე ერთნაირი (10-10) ქულა მოაგროვეს „დილამ" და „გაგრამ", მოგებებიც ერთნაირი აქვთ და ბურთების სხვაობაც (+1), თუმცა გორელებს ჩემპიონატში უფრო მეტი გოლი აქვთ გატანილი და ამ პუნქტის მიხედვით უპირატესობაც მათ მხარესაა. ბევრად უფრო „რთულადაა" საქმე „ვიტ ჯორჯიასა" და „მერანის" შემთხვევაში: ორივე გუნდს მოგებათა რაოდენობაც ერთნაირი აქვთ, ერთმანეთში ჩატარებული მატჩი 0:0 დასრულდა, ბურთების სხვაობაც ერთნაირი აქვთ და გატანილი გოლების რაოდენობაც!

აი, ამ შემთხვევაში კი პუნქტი „6" უნდა „ავამოქმედოთ" (ფეარ-პლეის შედეგებს ვგულისხმობთ) და აღმოჩნდა, რომ განვლილ რვა ტურში „ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელებს 20 ყვითელი ბარათი აქვთ მიღებული, ხოლო „მერანის" ფეხბურთელებს — 17. ანუ, მარტვილელ ქომაგთა საყურადღებოდ ვიტყვით, რომ დღესდღეობით VI Fადგილზე სწორედ „მერანი" იმყოფება. ისე, ყოველივე ზემოთქმული, შესაძლოა, ზოგი გუნდის გულშემატკივართათვის სულ ერთიც იყოს; თუმცა როგორც ჩანს, ზოგისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, კონკრეტული მომენტისათვის თავისი საყვარელი გუნდი რომელ ადგილზე იმყოფება...

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
| 1 | დინამო | 8 | 6 | 1 | 1 | 17 | 7 | 19 | 3 | 2 | 1 | 0 | 6 | 3 | 7 | 5 | 4 | 0 | 1 | 11 | 4 | 12 |
| 2 | ზესტაფონი | 8 | 5 | 2 | 1 | 14 | 11 | 17 | 4 | 2 | 1 | 1 | 6 | 6 | 7 | 4 | 3 | 1 | 0 | 8 | 5 | 10 |
| 3 | მეტალურგი | 8 | 4 | 2 | 2 | 9 | 5 | 14 | 5 | 3 | 2 | 0 | 7 | 1 | 11 | 3 | 1 | 0 | 2 | 2 | 4 | 3 |
| 4 | ბაია | 8 | 4 | 1 | 3 | 11 | 6 | 13 | 5 | 3 | 0 | 2 | 9 | 3 | 9 | 3 | 1 | 1 | 1 | 2 | 3 | 4 |
| 5 | ტორპედო | 8 | 4 | 1 | 3 | 7 | 6 | 13 | 4 | 2 | 1 | 1 | 5 | 3 | 7 | 4 | 2 | 0 | 2 | 2 | 3 | 6 |
| 6 | მერანი | 8 | 3 | 2 | 3 | 8 | 10 | 11 | 3 | 2 | 1 | 0 | 5 | 2 | 7 | 5 | 1 | 1 | 3 | 3 | 8 | 4 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 8 | 3 | 2 | 3 | 8 | 10 | 11 | 4 | 2 | 1 | 1 | 5 | 5 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 3 | 5 | 4 |
| 8 | დილა | 8 | 3 | 1 | 4 | 13 | 12 | 10 | 3 | 1 | 0 | 2 | 2 | 3 | 3 | 5 | 2 | 1 | 2 | 11 | 9 | 7 |
| 9 | გაგრა | 8 | 3 | 1 | 4 | 9 | 8 | 10 | 5 | 2 | 1 | 2 | 6 | 3 | 7 | 3 | 1 | 0 | 2 | 3 | 5 | 3 |
| 10 | სპარტაკი | 8 | 1 | 4 | 3 | 5 | 8 | 7 | 5 | 1 | 2 | 2 | 5 | 6 | 5 | 3 | 0 | 2 | 1 | 0 | 2 | 2 |
| 11 | კოლხეთი | 8 | 1 | 3 | 4 | 4 | 10 | 6 | 3 | 0 | 0 | 3 | 0 | 5 | 0 | 5 | 1 | 3 | 1 | 4 | 5 | 6 |
| 12 | სიონი | 8 | 0 | 2 | 6 | 3 | 15 | 2 | 4 | 0 | 1 | 3 | 3 | 9 | 1 | 4 | 0 | 1 | 3 | 0 | 6 | 1 |

რეკლამის მენეჯერის
ვაკანსია „ლელოში"
E-mail:hr@kvirispalitra.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

### ლეგიონერები

# კარპატის ლორიას წაყვანა სურდაო

## სანდრო გურულს ლვოვში სათვისტომო უნდა



სანდრო გურული

უკრაინის ჩემპიონატში 12 ტური ჩატარდა, ლვოვის "კარპატის" ქართველმა შემტევმა ნახევარმცველმა **სანდრო გურულმა** კი მხოლოდ ოთხჯერ ითამაშა. რატომ აღარ ენდობა "კარპატის" მთავარი მწვრთნელი **ოლეგ კონონოვი** ფეხბურთელს, რომლის მიწვევასაც ორი წლის წინ "ლელოსთან" ინტერვიუში საქართველოს ნაკრების მწვრთნელს თავად ურჩევდა?

*"ერთხანს ტრავმებმა გამაწვალა, მაგრამ მერე კონონოვი აღარ მათამაშებდა. მიზეზს ვერ ვხვდებოდი, საკუთარ თავში ვეძებდი პრობლემის საფუძველს, იქნებ, ცუდად მოვიქეცი ან ცუდი ვთქვი, ან ვარჯიშებს ვეკიდებოდი უგულოდ-მეთქი, მაგრამ მსგავსი ვერაფერი გავიხსენე. სიზარმაცე და ზერელე დამოკიდებულება არ მჩვევია, მაგრამ კონონოვიც არაფერს მეუბნებოდა.*

*აქვე ვიტყვი, რომ ჩვენ შორის ურთიერთობის გაუარესების მიზეზი ნაკრებში ჩემი თამაში ნამდვილად არ გამხდარა, პირიქით, ყოველი მიწვევა უხაროდა და ამას ყოველთვის მეუბნებოდა.*

*მოკლედ, ასე გაგრძელება აღარ შემეძლო. ბოლო სანაკრებო შეკრების შემდეგ ბევრი ვიფიქრე და მივხვდი, მასთან დალაპარაკება აუცილებელიც იყო. მსურდა გამეგო, რა არ მოსწონდა, რას მიწუნებდა და, საერთოდ, რა ხდებოდა ჩემს თავს? ვილაპარაკეთ და მითხრა, რომ გუნდს ვჭირდები, რომ ჩემი იმედი აქვს და კეთილგანწყობილია, მაგრამ რატომ არ მათამაშებდა, ეს მაინც ვერ გავიგე.*

*საბედნიეროდ, მას შემდეგ ყველაფერი კარგად აეწყო, ბოლო ორ მატჩში მათამაშა, უკანასკნელ ტურში შემადგენლობაში დამაყენა და იმედია, ასეც გაგრძელდება,"* – ამბობს გურული.

25 წლის ფეხბურთელი საინტერესო ამბებს გვიმხელს: *"ცოტა ხნის წინ "კარპატისთან" კონტრაქტი გააფორმა ბუბა დაუშვილმა, რამაც ძალიან გამახარა. საერთოდ, "კარპატის" პრეზიდენტი დემინსკი ქართველებს პატივს სცემს. ის გამონაკლისი არ არის, დასავლეთ უკრაინაში ჩვენ მიმართ კეთილგანწყობილები არიან. დემინსკიმ იცის, რომ ნიჭიერი მოთამაშეები გვყავს და ქართულ ფეხბურთსა და ჩვენს ნაკრებს ყურადღებით აკვირდება.*

*ამიტომაც გადაწყვიტა რამდენიმე ქართველის დამატება. მალე დაუშვილი შემოგვიერთდება, იმედია, მერე "კარპატის" ფორმას დათო თარგამაძე და სხვა ქართველებიც მოირგებენ.*

*სხვათა შორის, გუნდში ლაპარაკობდნენ, რომ ჩვენი ნაკრებისა და თბილისის "დინამოს" მეკარის გიორგი ლორიას აყვანაც სურდათ. ვერ გეტყვით, რატომ ვერ დავიმატეთ გიორგი ან რამდენად სერიოზულად წარიმართა მოლაპარაკებები, მაგრამ ჩემი დიდი სურვილია, ლვოვურ კლუბში ბევრმა ქართველმა ვითამაშოთ".*

**მერაბ მამულაშვილი**

# სირბილაძე ყველაზე ჩრდილოეთ ინტერში

ფინეთის ვეიკაუსლიგის "იაროში" ირაკლი სირბილაძემ 13 მატჩი ჩაატარა და შედეგიანობითაც გამოირჩა – 9 გოლი გაიტანა. 28 წლის ქართველ თავდამსხმელს "იაროში" გატარებული სამთვიანი პერიოდი მშვენიერ ტრამპლინად გამოადგა – შევიტყვეთ, რომ სირბილაძემ ფინელთა ერთ-ერთ საუკეთესო კლუბთან, ტურკუს "ინტერთან" გააფორმა კონტრაქტი. "ინტერი" ფინეთის ჩემპიონატში მეორე ადგილზეა, "იაროზე" ბევრად სოლიდური კლუბია, ბოლო წლებში მუდამ ლიდერებშია და ევროთასების ლამის უცვლელი მონაწილეა.

**ინფორმაციის გადასამოწმებლად ირაკლის ფინეთში დავუკავშირდით.**

**– მართალია, რომ "ინტერში" გადადიხარ?**

- უფრო სწორად, დიდი ხანია, რაც გადავედი - კონტრაქტი სექტემბრის დასაწყისში გავაფორმე.

**- ეს როგორ, მაშინ "იაროში" როგორ დარჩი?**

- დღემდე პირველი ლიგის კპვ-ს ვეკუთვნი, რომელმაც "იაროში" გამანათხოვრა, მაგრამ კონტრაქტი ნოემბერში მიმთავრდებოდა და ტურკუს კლუბის ხელძღვანელებმა წინასწარი ხელშეკრულების გაფორმება შემომთავაზეს.

**- ეს ფაქტი "ინტერის" ვებგვერდზე არ დაფიქსირებულა.**

- ჟურნალისტებთან მალე წარმადგენენ, მანამდე კი ამის გახმაურება არ სურდათ, მაგრამ ახლა დასამალი არაფერია.

**- რამდენწლიანი კონტრაქტი გააფორმე?**

- ხელშეკრულება ორწლიანია და მიხარია, ასეთ გუნდში რომ გადავედი. ეს ჩემთვის სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია, რადგან "ინტერი" ამბიციური გუნდია და სულ ჩემპიონობისთვის იბრძვის.

**– ამჟამად კი ლიდერ "ჰიკს" ბევრად ჩამორჩება.**

- ასეა, მე-2 ადგილზეა და გაისად ევროპის ლიგაზე ითამაშებს. მაგრამ ბოლო წლებში სულ ფინეთის ჩემპიონატის ლიდერებშია. გუნდს ჰოლანდიელი სპეციალისტი ჯობ დრაგტსმა ავარჯიშებს, რომელიც თავად დამიკავშირდა და გადასვლა შემომთავაზა.

გუნდი ძლიერი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული, ოთხი მათგანი ფინეთის ნაკრების წევრია. ასეთ კლუბში თამაში დიდი სტიმულია, უფრო მონდომებული ვიქნები, უფრო მეტს მოვთხოვ თავს და ევროთასებზე თამაშით მეტ გამოცდილებასაც შევიძენ.

**– ვიცი რომ, უკრაინაში გადასვლასაც გთავაზობდნენ.**

- უკრაინაშიც მთავაზობდნენ, შვედეთში, დანიასა და ნორვეგიაშიც, მაგრამ ფინეთში დარჩენა გადავწყვიტე.

**- მოკლედ, ფინეთის ვეიკაუსლიგაში წარმატებული სადებიუტო სეზონი გამოგივიდა.**

- სხვათა შორის, 13 მატჩში 9 გოლის გარდა, 5 საგოლე გადაცემაც ჩავიწერე, რაც, ვფიქრობ, კარგი შედეგია. ისიც გაითვალისწინეთ, რომ "იაროში" მოუმზადებელი გადავედი, რადგან ზაფხულის შეკრების დროს ვმკურნალობდი და ახლაც არ ვარ სასურველ ფორმაში.

**მერაბ მამულაშვილი**



### პირველი ლიგა, VII ტური

## ა ზონა

**ლოკომოტივი–დინამო 1:1**

02. 10. საგურამოს საფეხბურთო კომპლექსი. 100 მაყურებელი

**0:1 ა. მუჯირი (12), 1:1 ზ. ლობჟანიძე (31, საკუთარ კარში)**

ლოკომოტივი: ბ. საჯაია, გ. გოროზია, ნ. ჭანტურია, გ. ბაქრაძე, დ. მიქავა, გ. გურეშიძე, გ. შარანგია (61. დ. დარციმელია), ა. გუგუშვილი (70. გ. მაისურაძე), ლ. კვარაცხელია (78. ნ. შერაზადიშვილი), გ. კაპანაძე, დ. ბაქრაძე

*სათადარიგოები: გ. ასლამაზაშვილი, გ. რეზესიძე, ბ. მიხელიძე, დ. საჯაია*

*მწვრთნელი: გ. ჩიტაური*

დინამო: შ. მამინაშვილი, მ. ფარტენაძე, ნ. ხუხია, ზ. ლობჟანიძე, კ. მაკარიანი, მ. ჟვანია (34. გ. გოგიტიძე), დ. მალაზონია (70. მ. ჯორბენაძე), ა. მუჯირი, ნ. დიასამიძე, გ. ნასუაშვილი, ა. ბაციკაძე (46. თ. ბერიძე)

*სათადარიგოები: თ. კაკალაძე, ლ. რამიშვილი, ი. ცანავა, ვ. თევდორაძე*

*მწვრთნელი: ი. ნასუაშვილი*

გაფრთხილება: დ. ბაქრაძე; კ. მაკარიანი, ნ ნასუაშვილი

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

**კოლხეთი–სამტრედია 1:1**

02. 10. ხობი. ცენტრალური. 200 მაყურებელი

**1:0 ბ. ბუკია (34), 1:1 ლ. სუთიძე (55)**

კოლხეთი: დ. ხარძეიშვილი, ო. ფიფია, გ. გოგენია, ლ. გოგენია, ლ. ჩაჩიბაია (65. ი. გერგაია), მ. ბესარაშვილი, ც. ბუკია, ბ. ბუკია (84. გ. ლომაია), ლ. მეფიშვილი (46. ი. კუტალია), მ. ჭკადუა, პ. ბაკარანძე

*სათადარიგოები: ზ. გელაშვილი, კ. ალანია, პ. გაბრავა, ვ. ფირცხელავა*

*მწვრთნელი: გ. სანაია*

სამტრედია: ნ. ბანძავა, გ. რუხაძე (90. ბ. ახობაძე), ლ. ხაჭაპურიძე, ს. ლეჟავა, ა. გუბელაძე, დ. ჩხიკვაძე, შ. კერძევაძე, ლ. სუთიძე, რ. ნინუა, ს. მიქაძე (72. ი. ხვადაგიანი) პ. შათირიშვილი (67. ტ. რუხაია)

*სათადარიგოები: ი. შენგელია, გ. პერტაია, ვ. ლეკვეიშვილი, ქ. ღალანიძე*

*მწვრთნელი: კ. მიქაძე*

გაფრთხილება: ბ. ბუკია, ც. ბუკია; ს. მიქაძე

გაძევება: ა. გუბელაძე

არბიტრი: ზ. ასკარ-ოღლი

**ჭიათურა–სტუ 4:0**

02. 10. ჭიათურა. თ. მაღრაძე. 200 მაყურებელი

**1:0 დ. ქირია (34), 2:0 ო. კურტანიძე (70), 3:0 გ. ქირია (83), 4:0 ზ. ხაჭიპეაძე (88)**

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, გ. მეცხოვრიშვილი (53. ო. კურტანიძე), გ. ბრეგვაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ლ. ცუცქირიძე, ზ. ნოზაძე (84. ლ. მაჩაიძე), გ. ქირია, დ. ქირია, შ. ფირცხალავა, ლ. ბარათაშვილი (74. ბ. ჭუმბურიძე), ზ. ხაჭიპერაძე

*სათადარიგოები: ზ. ჯაფარიძე, ს. გაბაძე, ნ. ბაირამოვი, ა. ბაბლიძე*

მწვრთნელის თანაშემწე: მ. კიპაროიძე

სტუ: ა. აბულაძე, ლ. თვალავაძე, გ. კვახაძე, ნ, მაღრაძე, ნ. ბიწკინაშვილი, გ. ჯიშკარიანი (74. გ. გოგატიშვილი), ლ. საბაძე, გ. ბიბილეიშვილი (46. ჯ. კოლუა), ნ. მახვილაძე (46. მ. კოსტავა), ა. ბაგაშვილი, ლ. ჯიქიძე

*სათადარიგოები: დ. მეფარიძე, ზ. ჭავჭავაძე, ლ. ციკოლია, ლ. ცხოიძე*

*მწვრთნელი: გ. ჟორჟოლიანი*

გაფრთხილება: ლ. ბარათაშვილი, ზ. ხაჭიპერაძე

არბიტრი: ო. ხეცაძე

**მეშახტე–ჩხერიმელა 1:2**

02. 10. ტყიბული. „ვ. ბოჭორიშვილი". 200 მაყურებელი

**1:0 ნ. ხარაბაძე (63), 1:1 გ. ბოხუა (65), 1:2 ა. ქაშაკაშვილი (87).**

მეშახტე: დ. ოდიშარია, ზ. ენდელაძე, თ. ხარებავა, მ. კოპალიანი, დ. კუტალია, ნ. ხარაბაძე, გ. უგლავა, ი. ლიბრაძე, ა. მეტონიძე (69. თ. ჭელიძე), ჯ. ავალიშვილი (50. გ. ხეცურიანი), ვ. ჭრელაშვილი

*სათადარიგოები: თ. ჯოხაძე, გ. გვენეტაძე, კ. ხუჯაძე, ბ. ჯიშიაშვილი, ა. სახელაშვილი*

*მწვრთნელი: დ რუხაძე*

ჩხერიმელა: ი. კუჭუხიძე, გ. ჭაავა, დ. ბერუაშვილი, ი. გვეტაძე, ლ. მახარაძე, ი. ჭანკვეტაძე (71. გ. ზაქარაშვილი), ო. გიორგობიანი (82. ა. ქაშაკაშვილი), გ. გოგიჩაიშვილი (58. გ. თურმანიძე), დ. კოსტავა, ა. დოლონაძე, გ. ბოხუა

*სათადარიგოები: ი. ორბელაძე, გ. ივანაშვილი, ბ. ახალაია, ჯ. არევაძე*

მწვრთნელი: მ, ხუნდაძე

გაფრთხილება: ა. მეტონიძე, ნ. ხარაბაძე; ა. დოლონაძე

არბიტრი: კ. ჭაჭუა

**მესხეთი–მერცხალი 0:1**

02. 10. ახალციხე. ცენტრალური. 100 მაყურებელი

**0:1 ლ. კალანდაძე (66)**

*34-ე წუთზე ი. ცნობილაძემ („მესხეთი") ვერ გამოიყენა პენალტი*

მესხეთი: გ. ძამუნაშვილი, დ. ლეკიშვილი, მ. ლეკიშვილი, ზ. ბარძიმაძე (46. გ. მურადაშვილი), კ. ხანიშვილი, დ. ხანიშვილი (46. დ. ინასარიძე), გ. მურმანიშვილი, ზ. სუდაძე, დ. ტლაშაძე, ლ. სალარიძე, ი, ცნობილაძე

*სათადარიგოები: ლ. ოქრომელიძე, გ. გევორქიანი, გ. ქურდაძე, გ. წინამძღვრიშვილი, ო. დარჩია.*

მწვრთნელი: პ. გოგოლაძე

მერცხალი: გ. გოგუა, ზ. ტუღუში, მ. ქობულაძე, ს. ვ. ჩიგოგიძე (64. ლ. კოტრიკაძე), თ. ვარდუაშვილი, ნ. მაჭავარიანი (46. ს. გ. ჩიგოგიძე), ი. ბაჯელიძე, ზ. ხურციძე (60. ლ. ათუაშვილი), ლ. კალანდაძე, ზ. ვარდუაშვილი, გ. ტყეშელაშვილი

*სათადარიგოები: ი. მურუსიძე, თ. ჩხატარაშვილი*

*მწვრთნელი: ხ. ჩხატარაშვილი*

**გაფრთხილება:** ი. ცნობილაძე; ზ. ხურციძე, ზ. ტუღუში, გ. გოგუა, ლ. კალანდაძე

გაძევება: ზ. ტუღუში

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბათუმი | 7 | 5 | 1 | 1 | 10-5 | 16 |
| 2. მერცხალი | 6 | 4 | 2 | 0 | 10-5 | 14 |
| 3. ჩხერიმელა | 7 | 4 | 2 | 1 | 9-7 | 14 |
| 4. სტუ | 6 | 3 | 2 | 1 | 13-11 | 11 |
| 5. ჭიათურა | 6 | 3 | 1 | 2 | 7-4 | 10 |
| 6. კოლხეთი (ხ) | 7 | 1 | 2 | 4 | 6-11 | 5 |
| 7. მეშახტე | 6 | 1 | 1 | 4 | 3-5 | 4 |
| 8. მესხეთი | 6 | 1 | 1 | 4 | 2-6 | 4 |
| 9. ლოკომოტივი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| 10. სამტრედია | 6 | 0 | 2 | 4 | 3-8 | 2 |

**მომდევნო ტური. 6 ოქტომბერი**

დინამო (ბათუმი)-მერცხალი (ოზურგეთი)
ჩხერიმელა (ხარაგაული)-მესხეთი (ახალც.)
სტუ (თბილისი)-მეშახტე (ტყიბული)
სამტრედია-ჭიათურა
ლოკომოტივი (თბ.)-კოლხეთი (ხობი)

## ბ ზონა




**გურია–აეტი (სოხუმი) 5:2**

01. 10. ლანჩხუთი. „ე. შევარდნაძე". 300 მაყურებელი

**1:0 იაგო დეისაძე (18), 1:1 გ. მარგიანი (20), 1:2 გ. სოსელია (23), 2:2 გ. კვერენჩხილაძე (38), 3:2, 4:2, 5:2 იაგო დეისაძე (44, 45, 89)**

გურია: მ. გოგუაძე, ზ. რაზმაძე (69. ჯ. გოგიბერიძე), ა. დვალიშვილი, გ. ნათენაძე, რ. კუკულაძე, ი. კილაძე (82. ბ. წერეთელი), ლ. კობახიძე, გ. მელქაძე, გ. კვიტაიშვილი (46. ტ. კუკულაძე), გ. კვერენჩხილაძე, იაგო დეისაძე

*სათადარიგოები: დ. კეკელიძე, გ. შენირული, ნ. ტოროტაძე, ლ. რუსიეშვილი*

მწვრთნელი: გ. იმნაძე

აეტი: ო. ბელელური, დ. ლობჟანიძე, გ. ბაგალიშვილი, გ. სოსელია (46. ლ. არაყიშვილი), გ. მარგიანი, ლ. ბიწაძე, ი. ჭაბუკიანი, გ. ჯაჭვლიანი, თ. ქართლელიშვილი (46. პ. კვიკვინია), თ. მეტრეველი, გ. გრიგალაშვილი (46. გ. ბაბულაიძე)

*სათადარიგოები: ნ. ზაქარიაძე, გ. ყულიჯანიშვილი*

*მწვრთნელი: ო. სოხაძე*

გაფრთხილება: ი. კილაძე; გ. სოსელია

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

**ადელი–ჩიხურა 0:4**

01. 10. ბათუმი. „ადელი". 200 მაყურებელი

**0:1 თ. მუმლაძე (22), 0:2 ლ. ბაკურაძე (28, პენალტით), 0:3 თ. მუმლაძე (32), 0:4 ლ. ვაშაკიძე (85)**

ადელი: თ. ცინცაბაძე, მ. ფუტკარაძე, გ. ხაჩიძე, ს. კახიძე, ნ. წულუკიძე, გ. ფალავანდიშვილი (46. ნ. დავითაძე), დ. ჯალალანია, გ. ქოქოლაძე, ლ. მამეიშვილი (33. ა. ლორია) ა. აბუსერიძე, გ. სირაბიძე

*სათადარიგოები: ზ. მჟავანაძე, გ. რომანაძე, გ. ზოიძე, ს. მამისეიშვილი, ა. დევაძე*

მწვრთნელი: გ. ჯორბენაძე

ჩიხურა: რ. თევდორაძე, ლ. ჭელიძე, ჯ. ბერიანიძე, ნ. გუშარაშვილი (37. გ. ქიმაძე), ლ. ჩიკვაიძე, ი. ზაბახიძე (48. ლ. ვაშაკიძე), ლ. ბაკურაძე, ნ. კვასხვაძე, გ. სილაგავა, ა. ივანიშვილი (68. ი. ლილუაშვილი), თ. მუმლაძე

სათადარიგოები: ზ. მწყერაშვილი, ლ. ნოზაძე, ე. ზივზივაძე

მწვრთნელი: ს. ფრუიძე

არბიტრი: თ. ხუჭუა

**სულორი–ზოოვეტი 1:0**

01. 10. ვანი. „გ. ნიკოლეიშვილი". 300 მაყურებელი

**1:0 ბ. სულაბერიძე (45, პენალტით)**

სულორი: დ. ხურციძე, ვ. ნუცუბიძე, ა. ქებულაძე, ლ. გაბუნია, ბ. ბელექანია, გ. ნიკოლეიშვილი (68. გ. ორბელაძე), ნ. გიორგაძე (62. თ. მაღლაკელიძე), პ. ბელთაძე, ბ. სულაბერიძე, მ. [illegible], კ. კვიმსაძე (90. ნ. ბრეგვაძე)

*სათადარიგოები: ი. დვალიშვილი, მ. დვალიშვილი, თ. ძაგნიძე, გ. ბრეგვაძე*

მწვრთნელი: გ. ბრეგვაძე

ზოოვეტი: მ. ძიძიგური, შ. გალეგაშვილი, გ. პატარქალიშვილი, გ. ჭოველიძე (46. ლ. ლობჟანიძე), შ. ფარულავა, გ. ჯოხაძე, უ. მამულაშვილი, თ. მოსიაშვილი, ზ. ტიელიძე (81. გ. კუხალაშვილი), ლ. ჯოხაძე, ი. სვანიძე

სათადარიგოები: თ. ჯიმშელეიშვილი, ი. ჯოჯიშვილი, ს. ლორთქიფანიძე, გ. ხუციშვილი

მწვრთნელი: ე. გუგუშვილი

გაფრთხილება: მ. ნუცუბიძე, პ. ბელთაძე; გ. ძიძიგური, ი. სვანიძე

არბიტრი: მ. ურუშაძე

**ნ. დინამოელი–სქური 4:1**

02. 10. თბილისი. „შატილი". 100 მაყურებელი

**1:0, 2:0 ი. ქავთარაძე (30, 59), 3:0 გ. ოქრუაშვილი (60), 3:1 ა. სოხინი (67), 4:1 ი. ქავთარაძე**

ნ. დინამოელი: მ. ნონოსი, გ. კვანტალიანი, გ. ლომიძე, ა. ჩუენსუ, გ. ქვარაია, ლ. ელიზბარაშვილი (69. ი. ხელაძე), თ. ჩარგეიშვილი, ლ. ლაბარტყავა (75. ვ. ჭანტურიშვილი), ი. ქავთარაძე, გ. ოქრუაშვილი, ზ. ძაგანია (69. ბ. შუბითიძე)

*სათადარიგოები: ა. ბილიხოძე, გ. ჩუბინიძე, ა. შენგელია, დ. ვაშაკიძე*

მწვრთნელი: ი. შენგელია

სქური: ნ. ჯოლოგუა, ა. მიქენაია, ი. ფაცაცია, გ. გაბუნია, ბ. სვანიძე, გ. სართანია (81. ზ. გახარია), ლ. გაბუნია, ა. სოხინი, ზ. მოლაშხია (62. გ. შელია), ლ. ბოჯგუა, გ. ჭკუასელი (84. გ. კვირკვია)

*სათადარიგოები: ტ. ხარჩილავა, ზ. ლარიბაშვილი, ჯ. ყურუა, გ. წურწუმია*

*მწვრთნელი: ნ. ბოჯგუა*

გაფრთხილება: ლ. ელიზბარაშვილი, თ. ჩარგეიშვილი

არბიტრი: ა. გუნთაძე

**სამგურალი–იმერეთი 1:2**

01. 10. წყალტუბო. „26 მაისი". 200 მაყურებელი

**0:1 იაკობ დეისაძე (52), 0:2 ლ. გაჩეჩილაძე (86), 1:2 გ. ბუხაიძე (90).**

სამგურალი: ლ. გორდეზიანი, ზ. ჩიხლაძე, ბ. ბიბილაშვილი, კ. ძაგანია, ნ. უგრეხელიძე, ხ. უგრეხელიძე, ი. შალიკაშვილი, ლ. ცხადაძე (79. ლ. ნავერიანი), რ. ჩიხლაძე (29. ლ. ხოხონიშვილი), გ. გელენიძე (46. ზ. კუხალაშვილი), გ. ბუხაიძე

*სათადარიგოები: დ. მემარნიშვილი, გ. ჩიხლაძე, გ. გორგოძე, თ. შეყრილაძე*

მწვრთნელი: გ. გოგიაშვილი

იმერეთი: ს. მეძველია (62. გ. ნიქაბაძე), ლ. გაჩეჩილაძე, გ. გენძეხაძე, რ. კაშია, ვ. ბრეგაძე, თ. დანელია, გ. გოდერიძე, ბ. ჩხეტიანი, დ. კუხალაშვილი, ნ. ჩიხლაძე, იაკობ დეისაძე (90. დ. სულაბერიძე).

*სათადარიგოები: გ. ხელაძე, დ. ხაბურძანია, ნ. ჩაჩიბაია, დ. ქუთათელაძე*

მწვრთნელი: დ. ჭელიძე

გაფრთხილება: ზ. კუხალაშვილი, ი. შალიკაშვილი; თ. დანელია, რ. კაშია, ბ. ჩხეტიანი

არბიტრი: ზ. ანიაშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 7 | 6 | 1 | 0 | 17-1 | 19 |
| 2. გურია | 7 | 5 | 2 | 0 | 21-6 | 17 |
| 3. ნ/დინამოელი | 7 | 4 | 1 | 2 | 15-6 | 13 |
| 4. ზოოვეტი | 7 | 4 | 0 | 3 | 9-11 | 12 |
| 5. იმერეთი | 7 | 3 | 1 | 3 | 7-9 | 10 |
| 6. ადელი | 7 | 2 | 1 | 4 | 8-10 | 7 |
| 7. სქური | 7 | 2 | 1 | 4 | 6-13 | 7 |
| 8. სამგურალი | 7 | 1 | 4 | 2 | 5-6 | 7 |
| 9. სულორი | 7 | 1 | 1 | 5 | 2-18 | 4 |
| 10. აეტი | 7 | 1 | 0 | 6 | 4-14 | 3 |

**მომდევნო ტური**

**5 ოქტომბერი**

იმერეთი (ხონი)-ზოოვეტი (თბილისი)
სამგურალი (წყალტუბო)-ადელი (ბათუმი)
აეტი (სოხუმი)-ნ. დინამოელი (თბილისი)
ჩიხურა (საჩხერე)-გურია (ლანჩხუთი)

**6 ოქტომბერი**

სქური (წალენჯიხა)-სულორი (ვანი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

● იტალია. სერია A. VI ტურის შეჯამება

# ნეაპოლელთა დომინირება

## და იღბლიანი გმირი

### ტურის სიმბოლური ნაკრები

**სორენტინო** (კიევო) - **მაჯო** (ნაპოლი), **ბენეტია** (უდინეზე), **კანავარო** (ნაპოლი) - **არმერო** (უდინეზე), **მარკიზიო** (იუვენტუსი), **ლოდი** (კატანია), **ინლერი** (ნაპოლი) - **კლოზე** (ლაციო), **ჯოვინკო** (პარმა), **გომესი** (კატანია).

მიუხედავად იმისა, რომ ტურის ცენტრალურ შეხვედრაში „იუვენტუსმა" „მილანი" დაამარცხა, ტურინული გრანდის მოთამაშეთაგან, სიმბოლურ გუნდში მხოლოდ ერთი ფეხბურთელი, **კლაუდიო მარკიზიო** მოხვდა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან მარკიზიომ დუბლი მიითვალა აქტივში და განაპირობა კიდეც მისი გუნდის გამარჯვება. სხვა მხრივ, თამაში დაახლოებით თანაბარი იყო და „იუვეს" ფეხბურთელთა გამორჩევა აშკარად გაგვიჭირდება. სამაგიეროდ, მრავლად არიან რჩეულთა შორის „ნაპოლის" მოთამაშეები, რომლებმაც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტურის ყველაზე ხმაურიანი გამარჯვება მოიპოვეს, გაანადგურეს რა გასვლაზე „ინტერი". სიმბოლურ გუნდში ერთბაშად სამი ნეაპოლელია: დაცვაში **პაოლო კანავარო** და **კრისტიან მაჯო**, ნახევარდაცვაში კი **გეკჰან ინლერი**.

თავდასხმაში **მიროსლავ კლოზეს** ვხედავთ, რომელმაც „ფიორენტინას" გამარჯვების გოლი გაუტანა; იქვეა **სებასტიან ჯოვინკო**, „პარმას" მიერ „ჯენოას" დამარცხების მთავარი შემოქმედი და **გომესი** „კატანიადან", რომელმაც „ნოვარას" გამათანაბრებელი გოლი გაუტანა და მთლიანობაში, შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ რჩეულთა შორის „უდინეზეს" ორი მოთამაშეა: **ბენეტია** და **არმერო**. სწორედ მათ იასპარეზეს ყველაზე უკეთ უდინელთაგან და „ბოლონიას" ძლევაში ლომის წილი დაიდეს.

### ტურის გმირი

კლაუდიო მარკიზიომ „მილანს" ორი გოლი გაუტანა, რითაც „იუვენტუსს" უმნიშვნელოვანეს შეხვედრაში გაამარჯვებინა და ტურინული გრანდი სერია A-ს ჩაუდგა სათავეში. ყველამ კარგად ვიცით, რომ მარკიზიოს იღბალიც დაეხმარა - პირველ შემთხვევაში, მოხვდა ბურთი და ისე შეგორდა **კრიატიან აბიატის** კარში, მეორე გოლისას კი არცთუ ძლიერი დარტყმის მიუხედავად, კიპერს ფეხებს შორის გაუძვრა ბურთი. ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ტურის გმირი მაინც კლაუდიო მარკიზიოა და თანაც, უდავოდ. შესაძლოა, ტურის საუკეთესო ფეხბურთელი სხვა იყოს, მაგრამ გმირის წოდება ნამდვილად „იუვეს" შუახაზელს ეკუთვნის.

გოლების შესახებ ორი სიტყვით უკვე ვთქვით და უმჯობესია, სიტყვა კლაუდიოს გადავცეთ, რომელიც ნამატჩევს ემოციებს ვერ ფარავდა: *„საოცარი შეხვედრა იყო, რომელიც ჩვენი გამარჯვებით დავასრულეთ და დავრწმუნდით, რომ მიმდინარე სეზონში სკუდეტოსთვის ბრძოლა ხელგვეწიფება. რაც შეეხება ჩემს გოლებს, ცოტათი გამიმართლა, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ „მილანს" თამაშით ვჯობდით და სამი ქულა სწორედ ჩვენ დავიმსახურეთ".*


კლაუდიო მარკიზიო

### ტურის მოულოდნელობა

მიუხედავად იმისა, რომ „ნაპოლის" წარმატებები უკვე კარგა ხანია აღარ გვიკვირს, სამხრეთელთა მილანური ტრიუმფი მაინც მოულოდნელთა კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ. თუ მეხსიერება არ გვღალატობს, ასეთი დიდი ანგარიშით „ნერაძურიმ" ბოლოს „შალკესთან" წააგო ჩემპიონთა ლიგაში, აი სერია A-ში კი მსგავსი რამ და კიდევ უფრო უარესი მხოლოდ ათი წლის წინათ მოხდა. ნეაპოლელებმა ყველა კომპონენტში დაჯაბნეს მილანური გრანდი და მეტოქეს სამი უპასუხო ბურთი მიართვეს.

ბევრი ითქვა და კიდევ უფრო მეტი დაიწერა მსაჯობის შესახებ, მაგრამ ერთი ფაქტია, „ნაპოლიმ" თამაშით აჯობა „ინტერს". რაც შეეხება არბიტრ **ჯანლუკა როკის**, რომელმაც ჯერ კიდევ პირველ ტაიმში მოედნიდან **ობი** გააგდო, მისი გარჯა სამსაჯო კომიტეტში განიხილება და დასკვნა უახლოეს დღეებში დაიდება. თვითონ როკი ალიარებს, რომ შეხვედრის მსვლელობისას რამდენიმე შეცდომა დაუშვა:

*„შეცდომები მართლაც დავუშვი, მაგრამ ვფიქრობ, რომ გამოწვეული აჟიოტაჟი მაინც გადამეტებული გახლავთ. ერთმა გუნდმა აჯობა მეორეს და სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვა, დანარჩენი კი დღეს უკვე აღარ არის მნიშვნელოვანი. ფეხბურთში შეცდომისგან არავინაა დაზღვეული, მათ შორის არც არბიტრი".*

### ტურის ფრაზა

**მასიმო მორატი („ინტერის" პრეზიდენტი):** *„კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, ჯანლუკა როკის არ ჰყოფნის კვალიფიკაცია საიმისოდ, რომ ასეთი დონის შეხვედრები განსაჯოს. უკვე მერამდენეჯერ ხდება, რომ მისი მცდარი გადაწყვეტილებების შედეგად ვზარალდებით და ქულებს ვკარგავთ. დიდი იმედი მაქვს, რომ როკის „ინტერის" მატჩებზე აღარ დანიშნავენ, მეტიც, იმედია, ამ ადამიანს აღარასოდეს ვიხილავ. სიმართლე გითხრათ, ასეთი იმედგაცრუებული კარგა ხანია არ ვყოფილვარ"*

### ციფრები და ფაქტები

- „იუვენტუსს" „მილანი" 2008 წლის დეკემბრის შემდეგ არ ჰყავდა დამარცხებული;

■ ■ ■

- კლაუდიო მარკიზიომ პირველად შეასრულა დუბლი კარიერაში, მის ანგარიშზე 89 შეხვედრა და 13 შედეგიანი დარტყმაა;

■ ■ ■

- „ინტერი" ერთადერთი გუნდია სერია A-ში, რომელსაც ჯერ კიდევ არ აქვს საკუთარ მოედანზე გოლი გატანილი;

■ ■ ■

- „ინტერი" ბოლოს 2001 წელს დამარცხდა სერია A-ში სამი და მეტი ბურთის სხვაობით, როდესაც „მილანისგან" ექვსი უპასუხო გოლი მიიღო;

■ ■ ■

- **კლაუდიო რანიერის** კარიერის განმავლობაში არც ერთხელ არ მოუგია **ვალტერ მაძარის** გუნდებისთვის: 9 შეხვედრა, 6 ფრე და 3 მარცხი;

■ ■ ■

- ვალტერ მაძარის გაწვრთნილმა გუნდმა პირველად დაამარცხა „ინტერი";

■ ■ ■

- ჯანლუკა როკიმ 16 მატჩი განსაჯა „ინტერის" მონაწილეობით და მილანურ გრანდს 7 ფეხბურთელი გაუძევა;

■ ■ ■

- „ნაპოლის" „ინტერი" გასვლით პაექრობაში ბოლოს 1994 წელს ჰყავდა დამარცხებული;

■ ■ ■

- **ფაბიო სიმპლისიომ** მე-40 გოლი გაიტანა სერია A-ში;

■ ■ ■

- ბოლო 30 გასვლითი პაექრობიდან ყველა ტურნირზე, „კატანიას" მხოლოდ ერთი გამარჯვება აქვს მოპოვებული;

■ ■ ■

- „კიევოს" არც ერთხელ არ მოუგია „ჩეზენასთან" გასვლით პაექრობაში;

■ ■ ■

- „ლაციოს" ბოლო 10 საგარეო შეხვედრაში მოედანი უგოლოდ არ დაუტოვებია;

■ ■ ■

- „ლეჩემ" მიჯრით წააგო 5 შეხვედრა საკუთარ მოედანზე სერია A-სა და იტალიის თასის პაექრობებში, ასეთი უარყოფითი შედეგი გუნდს 1994 წლის შემდეგ აღარ ჰქონია;

■ ■ ■

- „ჯენოას" მცველმა **ჩეზარე ბოვომ** მე-200 შეხვედრა ჩაატარა სერია A-ში;

### გლობალური სტატისტიკა

საუკეთესო დასწრება: **VI ტური, ინტერი-ნაპოლი, 64 824 გულშემატკივარი**

ყველაზე დაბალი დასწრება: **II ტური, კიევო-ნოვარა, 7 000 გულშემატკივარი**

ყველაზე დიდი საშინაო გამარჯვება: **იუვენტუსი-პარმა 4:1 (II ტური), ფიორენტინა-პარმა 3:0 (IV), ჯენოა-კატანია 3:0 (IV), სიენა-ლეჩე 3:0 (V).**

ყველაზე დიდი საგარეო გამარჯვება: **ინტერი-ნაპოლი 0:3 (VI ტური).**

ყველაზე უხვგოლიანი თამაში: **პალერმო-ინტერი 4:3 (II ტური).**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 5 | 3 | 2 | 0 | 9-3 | 11 |
| 2. უდინეზე | 5 | 3 | 2 | 0 | 7-1 | 11 |
| 3. პალერმო | 5 | 3 | 1 | 1 | 9-6 | 10 |
| 4. ნაპოლი | 5 | 3 | 1 | 1 | 9-3 | 10 |
| 5. კალიარი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-5 | 10 |
| 6. რომა | 5 | 2 | 2 | 1 | 6-4 | 8 |
| 7. ლაციო | 5 | 2 | 2 | 1 | 7-6 | 8 |
| 8. კიევო | 5 | 2 | 2 | 1 | 6-5 | 8 |
| 9. ფიორენტინა | 5 | 2 | 1 | 2 | 6-4 | 7 |
| 10. ჯენოა | 5 | 2 | 1 | 2 | 9-8 | 7 |
| 11. კატანია | 5 | 1 | 3 | 1 | 5-7 | 6 |
| 12. პარმა | 5 | 2 | 0 | 3 | 6-10 | 6 |
| 13. ნოვარა | 5 | 1 | 2 | 2 | 10-10 | 5 |
| 14. სიენა | 5 | 1 | 2 | 2 | 4-4 | 5 |
| 15. მილანი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-8 | 5 |
| 16. ატალანტა | 5 | 3 | 1 | 1 | 8-7 | 4 |
| 17. ინტერი | 5 | 1 | 1 | 3 | 7-11 | 4 |
| 18. ლეჩე | 5 | 1 | 0 | 4 | 3-9 | 3 |
| 19. ჩეზენა | 5 | 0 | 1 | 4 | 2-7 | 1 |
| 20. ბოლონია | 5 | 0 | 1 | 4 | 2-10 | 1 |

შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა

### მომდევნო ტური

**15 ოქტომბერი:** კატანია-ინტერი, მილანი-პალერმო, ნაპოლი-პარმა;

**16 ოქტომბერი:** ჩეზენა-ფიორენტინა, ატალანტა-უდინეზე, კალიარი-სიენა, კიევო-იუვენტუსი, ჯენოა-ლეჩე, ნოვარა-ბოლონია, ლაციო-რომა.

### ბომბარდირები:

5 - პალასიო (ჯენოა), ჯოვინკო (პარმა); 4 – დენისი (ატალანტა), დი ნატალე (უდინეზე); 3 - მიკოლი (პალერმო), მილიტო (ინტერი), ოსვალდო (რომა), რიგონი (ნოვარა), ჩერჩი (ფიორენტინა), კლოზე (ლაციო), კავანი (ნაპოლი).

● იტალიის ნაკრები


პრანდელიმ ბარცალი დააბრუნა

# პრანდელის ნაცადი შემადგენლობა

**ჩეზარე პრანდელიმ** იმ ფეხბურთელთა გვარები ჩამოთვალა, რომლებსაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის უახლოეს ორ შეხვედრაში დაეყრდნობა. აქვე ვთქვათ, რომ „სკუადრა აძურას" სერბეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდებთან მოუწევს დაპირისპირება. პრანდელის სიაში ერთი ახალწვეულია, ბერგამოს „ატალანტას" ნახევარმცველი **ლუკა ჩიგარინი**, რომელმაც სერია A-ს განვლილი პაექრობები მაღალ დონეზე ჩაატარა. აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ნაკრებში ბრუნდება „იუვენტუსის" ცენტრალური მცველი **ანდრეა ბარცალი**, რომელსაც „აძურაში" 2008 წლის შემდეგ აღარ უასპარეზია. სხვა მხრივ, პრანდელიმ ნაცად შემადგენლობას მოუყარა თავი და ეს მიუხედავად იმისა, რომ იტალიის ნაკრებმა მთავარ მიზანს უკვე მიაღწია და ევროფორუმის საგზური ნაადრევად მოიპოვა.

**მეკარეები:** ბუფონი (იუვენტუსი), დე სანქტისი (ნაპოლი), სირიგუ (პსჟ, საფრანგეთი).

**მცველები:** ასტორი (კალიარი), ბალძარეტი (პალერმო), ბარცალი, ბონუჩი, კიელინი (ყველა იუვენტუსი), კასანი (ფიორენტინა), კრიშიტო (ზენიტი, რუსეთი), მაჯო (ნაპოლი).

**ნახევარმცველები:** აკვილანი, ნოჩერინო (ორივე მილანი), ჩიგარინი (ატალანტა), დე როსი (რომა), მარკიზიო, პირლო (ორივე იუვენტუსი), მონტოლივო (ფიორენტინა).

**თავდამსხმელები:** ბალოტელი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), კასანო (მილანი), ჯოვინკო (პარმა), პაცინი (ინტერი), როსი (ვილიარეალი).

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



ექსპერტის აზრით



## გრემ პოლი ამბობს

პრემიერლიგის მე-7 ტურის ერთ-ერთი ყველაზე საკამათო ეპიზოდი მერსისაიდურ დერბიში მოხდა - ლივერპულელი **ლუის სუარესის** წინააღმდეგ უხეშობისთვის მსაჯმა, **მარტინ ატკინსონმა** მოედნიდან „ევერტონის" 20 წლის ნახევარმცველი, **ჯეკ როდუელი** გააძევა. არბიტრის ამ გადაწყვეტილების გამო მასპინძელთა მწვრთნელმა **დევიდ მოიესმა**, რომლის გუნდმაც მეორე ტაიმში ორი გოლი გაუშვა, დიდი პროტესტი გამოთქვა. ის დარწმუნებულია, რომ ატკინსონის შეცდომა რომ არა, „ლივერპული" ვერ მოიგებდა. მოიესმა თქვა, რომ როდუელი მსაჯს წითელი ბარათით არ უნდა დაესაჯა, მეტიც საერთოდ ჯარიმა არ უნდა დაენიშნა — ყვითელი ბარათიც კი გადაჭარბება იქნებოდაო. საკამათო ეპიზოდის შეფასება თავის ტრადიციულ სვეტში ფიფას არბიტრმა, **გრემ პოლმა** ითავა.

*„დევიდ მოიესმა ისიც კი თქვა, რომ მარტინ ატკინსონს „ევერტონისა" და „ლივერპულის" შეხვედრა არ უნდა ემსაჯა. მე ამ მოსაზრებას ვერაფრით გავიზიარებ - დაწერა პოლმა - მერსისაიდური დერბი უმაღლესი დონის შეხვედრაა, ატკინსონი კი ერთ-ერთი საუკეთესო ინგლისელი მსაჯია, რომელსაც როგორც ევროპაში ასევე აქ, სამშობლოში, დიდ პატივს სცემენ. სხვა საქმეა, რომ ის მართლაც შეცდა, როდესაც ჯეკ როდუელს წითელი ბარათი ამოუღო. ფაქტია: ამ გადაწყვეტილებამ შეხვედრას დაღი დაასვა. ორთაბრძოლა აგრესიული არ ყოფილა და ჩანაწერიდან კარგად ჩანს, რომ ევერტონელი თავის მოძრაობას სრულად აკონტროლებდა. მან ბურთს „სუფთად" გაჰკრა ფეხი.*

*ამ ეპიზოდში ატკინსონი ახლოს იმყოფებოდა, და არც ვინმე ეფარებოდა. ის კარგად ხედავდა როდუელსა და სუარესს, თუმცა, ხანდახან ზედმეტად ახლოს ყოფნაც არვარგა. ჯობს მსაჯმა ეპიზოდი პერსპექტივაშიც აღიქვას. და კიდევ, ატკინსონმა წითელი ბარათის ამოღება ძალიან იჩქარა".*

დერბისშემდგომი ვნებანი

## ვენგერმა ხელი არ ჩამოართვა

ჩრდილოლონდონური დერბი ანუ „ტოტენჰემ ჰოთსპურისა" და „არსენალის" დაპირისპირება ყოველთვის დაძაბულია და თან მოედანს მიღმა ამბებიც სდევს. კვირას, „დეზებმა" „მეთოფეებს" 2:1 მოუგეს. ამ შეხვედრაში რამდენიმე ისეთი ინციდენტი მოხდა, რომელზეც ყურადღების გამახვილება უპრიანია. დავიწყოთ იმით, რასაც ყველა ელოდა, მაგრამ „სფურზის" თავკაცი **ჰარი რედნაპი** მაინც აღაშფოთა. საქმე მისი გუნდის ახალ შენაძენს, 27 წლის ტოგოელ თავდამსხმელ **ემანუელ ადებაიორს** ეხება. მოგეხსენებათ, ადებაიორი წლების წინ „არსენალის" ფეხბურთელი იყო და კლუბიდან კონფლიქტით წავიდა, ამიტომაც ყოფილი გუნდის ფანებს ის მთელი შეხვედრის განმავლობაში მიზანში ჰყავდათ ამოღებული. თან, განრისხებულმა გულშემატკივრებმა დანდობა არ იციან, ადამიანისთვის ყველაზე მტკივნეულ საკითხს ეხებიან. „უაით ჰართ ლეინზე" სტუმარი გუნდის ქომაგები ადებაიორს ერთხმად უყვიროდნენ, რომ ის აფრიკის თასზე, ტოგოს ნაკრების თავს გადახდენილი ტრაგიკული ამბის დროს უნდა მომკვდარიყო — ტოგოელთა ავტობუსს თავს შეიარაღებული რაზმი დაესხა, ცეცხლი გაუხსნა და რამდენიმე ადამიანი იმსხვერპლა.



რედნაპმა თქვა: *„ეს ულირსი საქციელია. როგორ შეიძლება ვინმეს ასეთი ტრაგედია წამოაძახო და გამოაჯავრო? ვინც ამას აკეთებს, სულიერად ჯანსაღი არ უნდა იყოს. „არსენალის" ფანები მეც მიყვიროდნენ რაღაცებს და ცდილობდნენ, რაც შეიძლება მწარედ გამოსვლოდათ. ასეთ საქციელს ვერ ვამართლებ. ანდა, რა სინდისი აძლევს ბევრ ადამიანს ნებას „მანჩესტერ იუნაიტედს" ბასბის გუნდის ავიაკატასტროფაზე უმღეროს? იქ ხომ თითქმის მთელი გუნდი დაიღუპა, გუნდი, რომელიც მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესოთა შორის გამორჩეულ ადგილს იკავებს. ხანდახან ვხედავ ხოლმე, რომ ტრიბუნაზე ზის ოთხი წლის ბავშვი და „მანჩესტერ იუნაიტედზე" ასეთ საზიზღრობას მღერის. რა უნდა გამოვიდეს იმ ბავშვისგან, დიდი რომ გაიზრდება?"*

„არსენალის" თავკაც **არსენ ვენგერს** კი „ტოტენჰემის" ერთ-ერთ მწვრთნელ **კლაივ ალენთან** მოუვიდა უსიამოვნება. ამბობენ, რომ ალენი ვენგერის მატჩის მსვლელობისას უყვიროდა გამაღიზიანებელ ფრაზებს. შეხვედრა რომ დამთავრდა „არსენალის" ფრანგმა თავკაცმა რედნაპსა და მის მოადგილეს, **ჯოი ჯორდანს** ხელი ჩამოართვა, ალენს კი ზედაც არ შეხედა და როდესაც მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებმა ჰკითხეს, უპასუხა, მწვრთნელს და მის ასისტენტს ჩამოვართვი ხელი, მთელ კლუბს კი ნამდვილად ვერ ჩამოვართმევდიო. გაბრაზებულმა ალენმა ვენგერს ორპირა უწოდა:

*„ის ამბობს, რომ ვერ დამინახა? ორპირა და მატყუარა ადამიანია. მან, უბრალოდ, ხელი არ ჩამომართვა".*

ამასთან, ალენმა კატეგორიულად უარყო, რომ მან და ვენგერმა ერთმანეთს უშვერი სიტყვები აკადრეს.

ვენგერი: *„თუ დღევანდელი მატჩის მთავარი გმირი ალენია, მაშინ მას ჰკითხეთ როგორ მოიქცა. ვფიქრობ, ასეთი ხმაურით ის ცნობილი ადამიანი გახდა. ახლა ხალხმა მისი არსებობის შესახებ იცის".*

რედნაპმა თქვა, რომ ვენგერმა მას და ჯორდანს ხელი ჩამოართვა და ეს სრულიად საკმარისი იყო.

*„ვფიქრობ, არსენმა კლაივი უბრალოდ ვერ დაინახა. მან ჩვენ ჩამოგვართვა ხელი და გასახდელისკენ შეტრიალდა. შესაძლოა ალენი სწორედ მაშინ მიადგა, როდესაც ის უკვე ზურგით იყო და ჩქარობდა"* — თქვა „სფურზის" თავკაცმა.

ამბობენ, რომ ვენგერსა და ალენს შორის შელაპარაკება შარშან აპრილში გამართული ჩრდილოლონდონირი დერბის დროსაც მოხდა. ის შეხვედრაც უკიდურესად დაძაბული იყო და 3:3 დასრულდა.

დაბოლოს, **რაფაელ ვან დერ ვაარტის** გოლის შესახებ, რომლითაც ამ დღეს ანგარიში გაიხსნა. ვენგერი ამტკიცებს, რომ ჰოლანდიელმა ვარსკვლავმა ბურთი ხელით გააჩერა და მსაჯს არათუ გოლი არ უნდა ჩაეთვალა, არამედ ვან დერ ვაარტი, რომელსაც ერთი ყვითელი უკვე ჰქონდა, მოედნიდან უნდა გაეგდო. თავის მწვრთნელს ეთანხმება **ჯეკ უილშირიც**, რომელიც ამტკიცებს, რომ ვან დერ ვაარტს კიდევ ერთი ყვითელი ტრიბუნასთან მივარდნისა და მაყურებელთან ერთად ზეიმის გამო ეკუთვნოდა.

ინგლისის ნაკრები



## კაპელომ რიო არ წაიყვანა

პარასკევს ინგლისის ნაკრები ჩერნოგორიას ეთამაშება. ეს ევრო 2012-ის შესარჩევი შეხვედრაა და მასში „მანჩესტერ იუნაიტედის" ვეტერანი, 32 წლის **რიო ფერდინანდი** ვერ ითამაშებს. მიზეზი: მწვრთნელმა, **ფაბიო კაპელომ** ის განაცხადში არ შეიყვანა. ინგლისელი ჟურნალისტები ამბობენ, რომ ახლა ფერდინანდი ნაკრებიდან სამუდამო მოკვეთის საშიშროების წინაშე დგას. კაპელო მიიჩნევს, რომ ორთავა კუნთის ბოლო ტრავმის შემდეგ ფერდინანდი ადრინდელივით მწვავედ ველარ თამაშობს.

„მანჩესტერ იუნაიტედში" როგორღა მიდის რიო ფერდინანდის საქმე? ბოლო ტურში, „ნორვიჩთან", ფერდინანდი სერ **ალექს ფერგიუსონსაც** არ ჰყავდა თერთმეტ კაცში, თუმცა წინა ორ შეხვედრაში, „სტოკ სიტისა" და „ბაზელთან", ის ძირითადის წევრი გახლდათ. აღსანიშნავია, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" ვეტერანი მცველი კაპელოს არც ბულგარეთსა და უელსთან წინა ორ შეხვედრაში ჰყავდა შეკრებაზე. სტატისტიკა მეტყველებს, რომ მას ბოლო თხუთმეტი სანაკრებო შეხვედრიდან მხოლოდ სამში აქვს ნათამაშები. სავარაუდოდ, მის არყოფნაში **ჯონ ტერის** დაცვის ცენტრში **გარი კეჰილი** შეუწყვილდება.

პარასკევს ინგლისის ნაკრებმა ერთი ქულაც რომ მოიპოვოს, ევრო 2012-ში მონაწილეობა გარანტირებული ექნება.

ნოტინგემ ფორესტი

## სტივ მაკლარენი წავიდა

„ნოტინგემ ფორესტი" მწვრთნელმა, **სტივ მაკლარენმა** დატოვა. ამბობენ, რომ სეზონის ბოლოს მაკლარენის გზას მისი თავმჯდომარე, **ნაიჯელ დაფტიც** გაუდგება.



„ფორესტი" ჩემპიონშიფში ბოლოდან მეოთხე ადგილზეა. კვირას მან „ბირმინგემთან" 3:1 წააგო, ხოლო ამ ამბიდან სამი საათის შემდეგ ინგლისის ნაკრების ყოფილმა თავკაცმა ის დატოვა. მაკლარენი ნოტინგემის გუნდს 111 დღის განმავლობაში ხელმძღვანელობდა.

სტივ მაკლარენმა განაცხადა: *„მე მივდივარ, რადგან კლუბის ხელმძღვანელობა იმ ენთუზიაზმს, რომლითაც მე საქმეს შევუდექი, არ იზიარებს".*

გაზეთები წერენ, რომ მწვრთნელმა კლუბი ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე დატოვა. თავად „ფორესტმა" გაავრცელა ოფიციალური განცხადება, სადაც წერია:

*„ჩვენ ვადასტურებთ, რომ სტივ მაკლარენი თანამდებობიდან გადადგა. ათწლიანი მსახურების შემდეგ, სეზონის ბოლოს თანამდებობიდან წასვლის სურვილი გამოთქვა ბატონმა ნაიჯელ დაფტმაც. გადადგომის მიუხედავად ის კლუბის ფინანსურ მხარდაჭერას მომავალშიც განაგრძობს".*

მაკლარენს გამოექომაგა „ნოტინგემ ფორესტის" ლეგენდა, **გერი ბრიტლსი**, რომელმაც გუნდის შემადგენლობაში 1979 და 1980 წლებში ევროპის ჩემპიონთა თასი მოიგო. ბრიტლსმა თქვა:

*„სანამ სამსახურში აიყვანდნენ, გასაუბრების დროს, სტივს სულ სხვა რაღაც უთხრეს. საერთოდაც, კლუბის ამბიციის შესახებ ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ, მაგრამ თუ ფული არ ჰქონდათ, რა საჭირო იყო ამხელა ხმაურის ატეხვა?"*

ჩემპიონთა თასის კიდევ ერთმა ორგზის გამარჯვებულმა **კენი ბერნსმა** თქვა: *„ხალხი მარტინ ო'ნილის დაბრუნებაზე ლაპარაკობს, მაგრამ თუ მატერიალურ გარანტიებს ვერ მიიღებს, ძალიან მეეჭვება ო'ნილმა საქმეს ხელი მოჰკიდოს".*

ჩელსი

## ანდრე ვილაშ-ბოაში მანჩესტერელებს ემუქრება

„ჩელსის" ახალგაზრდა მწვრთნელი, **ანდრე ვილაშ-ბოაში** ამბობს, რომ მისი გუნდი მზად არის პრემიერლიგაში მანჩესტერული კლუბების ჰეგემონიას სერიოზული დარტყმა მიაყენოს. მოგეხსენებათ, მე-7 ტურში, დასავლეთლონდონელებმა **ფრენკ ლემპარდის** სამი და **დენიელ სტარიჯის** ორი გოლის წყალობით „ბოლტონს" 5:1 მოუგეს და დიდ გულზე არიან. ამ გამარჯვების შედეგად „ლურჯებმა" მანჩესტერულ გუნდებთან სამქულიანი სხვაობა შეინარჩუნეს, ასე რომ ვილაშ-ბოაშს თვის ბოლოსთვის **ალექს ფერგიუსონთან** და **რობერტო მანჩინისთან** გატოლების იმედი გაუჩნდა.

*„სანაკრებო პაუზის წინ ასეთმა თამაშმა ძალიან გამახარა. შემდეგ ტურში ერთმანეთს ჩემპიონობის ორი მაძიებელი, „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ლივერპული" ხვდება, რასაც, კიდევ ერთ კვირაში, მანჩესტერული დერბი მოსდევს. ეს, რასაკვირველია, შანსს გვაძლევს, თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანია თავადაც შევინარჩუნოთ ფორმა. თავადაც საკმაოდ რთული თამაშები გვაქვს, ჯერ „ევერტონთან", შემდეგ კი „ქუინზ პარკ რეინჯერსთან". დიდი იმედი მაქვს, რომ ამ ორ შეხვედრაში ექვს ქულას მოვიპოვებთ და თვის ბოლოს ცხრილში უკეთეს პოზიციაზე ვიქნებით.*



*ის ფეხბურთი, რომელიც „ბოლტონთან" ვითამაშეთ სიამაყით აღგვავსებს. ბუნებრივია, ჩვენ ადრეც ვცადეთ ასე თამაში, მაგრამ ფეხბურთი მოულოდნელობებით არის სავსე. ხან იღბალი არ გვწყალობდა, ხან სხვა მიზეზი იჩენდა თავს და მაშინაც კი, როდესაც ვიგებდით, ასეთ ფეხბურთს ვერ ვაჩვენებდით".*

შემდეგ, „სტემფორდ ბრიჯის" შეფმა **ფრენკ ლემპარდის** წარმატებაზე გაამახვილა ყურადღება. მოგეხსენებათ, ინგლისში ამბობდნენ, რომ ვილაშ-ბოაში ვეტერანის (ისინი ტოლები არიან, ორივე 33 წლისაა) გუნდიდან გაგდებას ცდილობს და ამიტომ აღარ ათამაშებდა ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ, აი, პორტუგალიელი „ბოლტონთან" ლემპარდს ენდო და მანაც სამი გოლი შეაგდო.

*„ეს მისთვის დიდებული შედეგია. ფრენკმა დანარჩენ ბიჭებთან ერთად შესანიშნავად ითამაშა. მან გოლები ისე გაიტანა, გეგონება მთელი ცხოვრება ფორვარდი იყო. ლემპარდის ნიჭი აშკარაა. ის ჩინებულად თამაშობს".*

არსენალი




„არსენალის" მარჯვენა მცველმა, 28 წლის ფრანგმა, **ბაკარი სანიამ** ჩრდილოლონდონური დერბის დროს ისეთი ტრავმა მიიღო, რომ სამი თვის განმავლობაში მკურნალობა მოუწევს. სანია „ტოტენჰემ ჰოთსპურთან" შეხვედრის დროს სარეკლამო დაფას დაეჯახა და ფეხი მოიტეხა.

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშემ განაცხადა: *„ჩვენი ნაკრების ექიმს, დოქტორ ფაბრის ბრიანდს, არსენალელმა კოლეგებმა შეატყობინეს კონკრეტულად რა სჭირს ბაკარი სანიას. მცველს დღეს ოპერაციას გაუკეთებენ, რის შემდეგაც მას სამთვიანი სარეაბილიტაციო პერიოდი დასჭირდება".*

მეთოფეთა თავკაცმა, **არსენ ვენგერმა** თქვა: *„სანიას ასუ-ეკოტო მთელი ძალით დაეჯახა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ორივენი პატიოსნად იბრძოდნენ ბურთისთვის".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა ლიგა. VI ტურის შეჯამება

# საკუთარი ნახევრიდან გატანილი გოლი

## აკრობატი ჟულიო ბაპტიშტა, ყველაზე მწარე გოლი კარიერაში და სუპერვარსკვლავები ჩრდილში

**ინიგო მარტინესი** გახსოვთ? გაგახსენებთ: 1-ელ სექტემბრის ქუთაისური საღამოა, ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრები სასტიკად უსწორდება **ოთარ გაბელიას** გუნდს, გულშემატკივარი მხოლოდ გოლებს ითვლის ჩვენს კარში და უცბად... ყველაზე ლამაზი გოლი 20 წლის ბასკმა ინიგო მარტინესმა გაიტანა, რითაც პირდაღებული დატოვა... **დავიდ დე ხეა**. დიახ, გაიხსენებდით, ამ ფეხბურთელმა მართლაც ულამაზესი ავტოგოლი გაიტანა („იუთუბზე" ამ გოლს ასეც ჰქვია - ისტორიაში საუკეთესო ავტოგოლი).

ახლა რატომ გაგახსენეთ ეს ფეხბურთელი. იმიტომ, რომ მან მე-6 ტურის და ახლახან დაწყებული ჩემპიონატის ყველაზე საოცარი გოლი გაიტანა - ბასკურ დერბიში „რეალ სოსიედადის" მცველმა კარგად დაინახა წინ გამოსული **გორკა ირაისოსი** და ცაციათი „ბილბაოს" კარი აიღო, ეს მისი პირველი გოლია ლალიგურ კარიერაში. მთავარი კი ისაა, რომ დარტყმისას ინიგო საკუთარ ნახევარზე იმყოფებოდა და კარამდე 54 მეტრი იყო!

ბუნებრივია, ეს ტური მხოლოდ ამ არაჩვეულებრივი გოლით არ იყო გამორჩეული. იგივე ბასკური დერბი, ინიგოს სუპერმცველობის მიუხედავად ბილბაოს „ატლეტიკმა" მოიგო და ეს იყო **მარსელო ბიელსას** პირველი საკლუბო გამარჯვება 1998 წლის შემდეგ! „მენ ინ ბლექ" - შავებში ჩაცმულმა „ბარსელონამ" და „რეალმა" წყვილად მოიგეს და შავ დღეში ჩააყენეს მეტოქეები, თუმცა უფრო დამაჯერებელი „რეალი" იყო, რომლის რიგებშიც ჰეთ თრიკის იმტაზე მოვიდა არგენტინელი **გონსალო იგუაინი**. სამწუხაროდ, არ გაამართლა მატჩმა „ვისენტე კალდერონზე", სტუმარი „სევილია" კი სჯობდა „ატლეტიკოს", მაგრამ გოლი ამ შეხვედრაში არ გასულა. „ბეტისის" ლიდერობას ბოლო მოეღო, მაგრამ თავი მეორე „მოფარფატე პეპელამ" გამოყო - „ლევანტემ". მოკლედ, ორი ბედაურის დოლად შერაცხილი ლა ლიგა უინტერესოდ არ დაწყებულა, ჩვენც ჯერ ამ გრანდებზე ვთქვათ...

### ბარსა-რეალობა

*„ყოველთვის ძალიან რთულია ხიხონში „სპორტინგთან" თამაში. მათი ფანები ძალიან ეხმარებიან გუნდს და თან ასტურიელებს ძალიან ძლიერი მცველები ჰყავთ"*, - თავს იმართლებდა მატჩის შემდეგ **ხოსეპ გვარდიოლა**, რადგან „ბარსამ" მხოლოდ 1:0 მოიგო.

ხიხონში „ბარსას" პირველად არ ჰყავდა **სესკ ფაბრეგასი**, რომელსაც შაბათის ვარჯიშზე კუნთი დაეჭიმა და გუნდს სამი კვირით დააკლდება. თითქოს ეს საკმარისი არ იყო და „სპორტინგთან" შეხვედრაში მცირე ტრავმა მიიღო **ერიკ აბიდალმა** და ის 10 დღეს ვერ ითამაშებს. მოკლედ, ცუდი ამბავი ცუდს მიეწყო, თუმცა მთავარი ისაა, რომ ჩემპიონმა მოიგო და **ადრიანოს** გოლის წყალობით გალიდერდა („ლევანტესთან" ერთად).

კატალონიურმა გრანდმა ამ მოგებით ესპანეთის პირველობის ახალი რეკორდი დაამყარა - ზედიზედ 24 საგარეო მატჩია, „ბარსას" ერთი გოლი მაინც გააქვს. ბოლოს, 2010 წლის აპრილში ვერ შეძლო გუნდმა სტუმრად გატანა - „ესპანიოლთან" 0:0 ითამაშა.

**ვიქტორ ვალდესმა** 301-ე მატჩი ითამაშა ლა ლიგაში და **ანდონი სუბისარეტას** რეკორდი გაიმეორა, შემდეგ ტურში ვიქტორი „ბარსას" ისტორიაში ყველაზე მეტი მატჩის ჩამტარებელი მეკარე იქნება.

სხვათა შორის, ამ სეზონში „ბარსამ" პირველად მოიგო სტუმრად - „ანოეტასა" და „მესტალიაზე" ფრეები ითამაშა.

ადრიანომ „ბარსელონას" მაისურით პირველი გოლი გაიტანა.

პეპმა კვლავ 3-კაციანი დაცვით ათამაშა გუნდი, მაგრამ **აბიდალის** ტრავმის შემდეგ **მაქსველი** და **პიკე** გამოვიდნენ და გუნდი 4-კაციან დაცვაზე გადაერთო.

„ბარსა" პირველ ტაიმში 79%-ით აკონტროლებდა ბურთს, მეორეში - 69%-ით. კატალონიელმა ფეხბურთელებმა 808 ზუსტი პასი გააკეთეს. **ჩავიმ** 145 პასიდან 132 ზუსტი გააკეთა და ეს მატჩში საუკეთესო შედეგია.

**ხავიერ მასკერანომ** 16-ჯერ მოუპოვა გუნდს ბურთი.

ახლა გადავინაცვლოთ ბარსელონაში, სადაც კოხტა „კორნელია ელ პრატზე" „რეალმა" 4:0 მოუგო „ესპანიოლს". ტრავმირებული **ქარიმ ბენზემას** ნაცვლად **ჟოზე მოურინიო** იძულებული იყო ეულ ცენტრფორვარდად გონსალო იგუაინი დაეყენებინა. ინატრონ მსოფლიოს მწვრთნელებმა ასეთი იძულებითი ნაბიჯები - იგუაინმა დაამტკიცა, რომ სხვაზე ნაკლები არაა და სეზონში პირველი ჰეთ თრიკი გაიტანა.

ამ მატჩში „რეალის" ახალწვეულმა **ხოსე კალეხონმა** ყოფილ გუნდს გაუტანა. კალეხონმა პუბლიკას პატივი სცა და გოლი არ აღუნიშნავს, შემდეგ კი თქვა: *„ძალიან გახარებული ვარ, რომ გოლი გავიტანე. მაგრამ მინდა აქვე ვთქვა, რომ ეს იყო ჩემს კარიერაში გატანილი ყველაზე მწარე გოლი, მე ხომ იმ გუნდის კარი დავლაშქრე, რომელიც კარგა ხანს ჩემი სახლი იყო. ამიტომაც არ მიზეიმია და მინდა ყველამ იცოდეს, რომ „ესპანიოლს" ახლაც ვგულშემატკივრობ"*.

„ესპანიოლთან" მატჩი მე-200 იყო „რეალის" ლალიგურ კარიერაში მსოფლიოს ჩემპიონ **სერხიო რამოსისთვის**. რამოსი მე-7 სეზონია, რაც „სამეფო კლუბში" ირიცხება. 200 მატჩში მცველმა 25 გოლი გაიტანა - დიდებული შედეგია.

გახარებულია მოურინიო, რომელიც ამბობს, რომ „რეალისთვის" ნეგატიური კვირა პოზიტიურით შეიცვალა: *„ჩვენ ვინარჩუნებთ თამაშის მაღალ ხარისხს. ფსიქოლოგიურად ძალზე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ - ვაჩვენეთ ყველას, რომ რთული დრო წარსულს ჩაჰბარდა. ბოლო სამ გამარჯვებაში 13 გოლი გავიტანეთ, ვფიქრობ, კითხვები აღარ უნდა გაჩნდეს"*.

### მესი VS რონი

იშვიათი ტური იყო თუნდაც იმ გაგებით, რომ **ლეო მესი** და **კრიშტიანო რონალდო** არათუ ტურში, თავიანთ თამაშებშიც კი არ ყოფილან მთავარი მოქმედი გმირები. არადა, ორივე ჯანზეა და 90 წუთიც ორივემ ითამაშა.

მაშ ასე, ვინ რა გააკეთა ამ ტურში - მესიმ „სპორტინგთან" 5-ჯერ დაარტყა კარისკენ, აქედან 2-ჯერ ზუსტად, 2-ჯერ მოხვდა თამაშგარეში და 6-ჯერ ეუხეშნენ. ერთხელ მისი შესვლის შემდეგ ეპიზოდი პენალტს წააგავდა, მაგრამ მსაჯმა არ დანიშნა. ხშირად არ იყო ბურთით და „სპორტინგის" მცველებმა შეძლეს მისი განეიტრალება - goal.com-მა 6,5 ბალი დაუწერა არგენტინელ ჯადოქარს.

კრიშტიანო რონალდომ 7-ჯერ დაარტყა „ესპანიოლის" კარისკენ, 2-ჯერ ზუსტად, გააკეთა 2 საგოლე პასი, მის წინააღმდეგ 2-ჯერ დაჯარიმდნენ და პორტუგალიელი ერთხელ მოხვდა თამაშგარე მდგომარეობაში. goal.com- 8.

აქამდე მესი იყო წინ ჩვენს დუელში - 4:2. არგენტინელი ისევ წინაა, მაგრამ პორტუგალიელმა ჩამორჩენა შეამცირა - 4:3.




### ტურის სიმბოლური ნაკრები

GOAL.COM 3-4-3

**მეკარე**

**რობერტო** (გრანადა, 1): რომ არა ის, „ვალენსია" აუტსაიდერს გაცილებით დიდი ანგარიშით მოუგებდა. რობერტო პირველად მოხვდა სიმბოლურში.

**მცველები**

**ადილ რამი** (ვალენსია, 3): ნელ-ნელა ფრანგი ახალწვეული „ვალენსიას" დაცვის ლიდერად ყალიბდება. „გრანადასთან" მატჩში ის იყო ძლიერი, უშეცდომო და მამაცი.

**ხავიერ მასკერანო** (ბარსელონა, 1): რაც რამიზე დავწერეთ, იმავეს გამეორება შეგვიძლია არგენტინელის შემთხვევაში, რომელიც ხიხონში უდავოდ საუკეთესო იყო.

**ალვარო არბელოა** (რეალი, 1): მშვიდი და უშეცდომო, მიითვალა საგოლე პასი.

**ნახევარმცველები**

**რაულ გარსია** (ოსასუნა, 1): „მალიორკას" კარში დუბლის ავტორი და პამპლონელთა თითქმის ყველა შეტევის წამომწყები.

**სერხიო კანალესი** (ვალენსია, 1): პირველად ითამაშა მაღალ დონეზე, რაც „ვალენსიაში" გაანათხოვრეს.

**პედრო მუნიტისი** (რასინგი, 1): ვეტერანი, რომლის გამოცდილებამაც დიდწილად განაპირობა ის, რომ „რასინგმა" არ წააგო მასზე გაცილებით უკეთ მოთამაშე მეტოქესთან.

**კრიშტიანო რონალდო** (რეალი, 4): არ გაუტანია, მაგრამ ორი საგოლე პასის ავტორია.

**თავდამსხმელები**

**ფერნანდო ლორენტე** (ბილბაო, 1): ბასკურ დერბიში დუბლი შეასრულა და „ბილბაოს" „ანოეტაზე" მოაგებინა.

**გონსალო იგუაინი** (რეალი, 1): ჰეთ თრიკი

**ჟულიო ბაპტიშტა** (მალაგა, 1): გაიტანა გადამწყვეტი გოლი „ხეტაფეს" კარში, რომელიც ფინალურ სასტვენამდე 2 წუთით ადრე უგებდა „მალაგას".

### ტურის გმირი

ჟულიო ბაპტიშტა (მალაგა)

გაიტანა ძალზე მნიშვნელოვანი გოლი, რომელმაც გუნდს, რომელიც 88-ე წუთზე 1:2-ს აგებდა 3:2 მოაგებინა. ისე გოლიც არის და გოლიც - მისი „მაკრატელა" ნებისმიერ ტურს დაამშვენებდა და საუკეთესო იქნებოდა, მაგრამ ახლა ინიგო მარტინესმა აჯობა.

### პირველი

ინიგო მარტინესმა პირველი გოლი გაიტანა ლა ლიგაში, თანაც როგორი!

ადრიანო კორეიამ „ბარსელონას" მაისურით პირველი გოლი გაიტანა.

**ერნან პერესს** დებიუტი ჰქონდა „ვილიარეალში" და დებიუტი პარაგვაელმა გოლით აღნიშნა.

### ტურის მსხვერპლნი

**ერიკ აბიდალმა** (ბარესლონა) ხიხონში 54-ე წუთზე ფეხზე უკანა კუნთი გაიჭიმა და 7-10 დღეს გამოტოვებს.

**ხავი მარტინესმა** (ბილბაო) ბასკურ დერბიში საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო.

**ნილმარმა** (ვილიარეალი) ტურამდე მიიღო ტრავმა და ახლა სამშაბათს ოპერაციას იკეთებს და დიდხანს დააკლდება ფეხბურთს.

**სესკ ფაბრეგასმა** (ბარსელონა) ვარჯიშზე იტკინა ფეხი და 3 კვირას ვერ ითამაშებს.

**ალეხანდრო არიბასი** (რაიო ვალეკანო) „რასინგთან" მატჩის პირველ ტაიმში დაშავდა და მეორეში აღარ გამოსულა.

**მარიო** (ბეტისი) „ლევანტესთან" მატჩის მე-5 წუთზე შესაცვლელი გახდა.

### ტურის ფრაზები

**ადრიანო კორეია** (ბარსელონა): *„ჩემი გოლი რა მოსატანია, მთავარია, რომ ჩვენ ოქროს სამი ქულა მოვიპოვეთ"*, - „სპორტინგის" მისი ერთადერთი გოლით დამარცხების შემდეგ.

**გონსალო იგუაინი** (რეალი): *„სწორედ ასეთი თამაში მჭირდებოდა ძველი თავდაჯერებულობის დასაბრუნებლად"*, - „ესპანიოლის" კარში ჰეთ თრიკის შესრულების შემდეგ.

**ჟოზე მოურინიო** (რეალი): *„ბარსა" ერთი ქულით გვისწრებს, ეს კი არაფერია"*.

**ექტორ კუპერი** (რასინგი): *„არ მიყვარს ფრეები. არც მე და არც ჩემს გუნდს"*, - „რაიო ვალეკანოსთან" 1:1 დასრულებული მატჩის მერე.

**ხუან კარლოს გარიდო** (ვილიარეალი): *„ჩვენ აშკარად მეტს ვიმსახურებდით"*, - „სარაგოსასთან" 2:2-ის შემდეგ.

**მიგელ ანხელ ნადალი** (მალიორკა): *„თუკი რამე კარგი გავაკეთეთ მოედანზე, ყველაფერი ლაუდრუპის დამსახურებაა"*, - „ოსასუნასთან" მატჩის შემდეგ.

**უნაი ემერი** (ვალენსია): „ეს ის ქულებია, რომლებიც სეზონის ბოლოსკენ ბონუსად გვექცევა".

### ტურის სტატისტიკა

25 გოლი ტურში (2,5 მატჩში). 2 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, 4 ფრით დასრულდა, სტუმრებმაც 4 მოიგეს. ტურში მსაჯებმა 61 ყვითელი და 3 წითელი ბარათი დაარიგეს.

ჰეთ თრიკი - **გონსალო იგუაინი** (რეალი).

დუბლი - **რაულ გარსია** (ოსასუნა), **ფერნანდო ლორენტე** (ბილბაო), **ტომერ ჰემედი** (მალიორკა)

ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **ხაირო სამპერიო** (რასინგი, 18 წლის)

ყველაზე მეტი მაყურებელი: 50 000 - „ვისენტე კალდერონი"

ყველაზე ნაკლები მაყურებელი: 9 000 - „ელ სარდინერო"

ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: 25 - ვილიარეალი

ყველაზე მეტი დარტყმა კარში: 12 - ვილიარეალი

ყველაზე მეტი ჯარიმა: 25 - ესპანიოლი

ყველაზე მეტი კუთხური: 13 - ვილიარეალი

ყველაზე მეტი თამაშგარე: 8 - ბარსელონა

ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: 74% - ბარსელონა

**P.S.** *წუხელ ცნობილი გახდა, რომ მალიორკა ახალ მწვრთნელს შეუთანხმდა - მიქაელ ლაუდრუპს ხოაკინ კაპაროსი შეცვლის, რომელიც სეზონის ბოლომდე 1.3 მილიონ ევროს მიიღებს*

ამბები

### დელ ბოსკე ფაბრეგასს არ ცვლის

მოგეხსენებათ, 24 წლის **სესკ ფაბრეგასი** შაბათს „ბარსელონას" ვარჯიშზე დაშავდა და 3 კვირას ვერ გაეკარება მწვანე მინდორს. ამასობაში კი ესპანეთის ნაკრებს ორი საკვალიფიკაციო მატჩი ელის: 7 ოქტომბერს ჩეხეთის ნაკრებს ესტუმრება, ხოლო 11 ოქტომბერს შოტლანდიას უმასპინძლებს. შეგახსენებთ, რომ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონებს ევრო-2012-ის ფინალური ეტაპის საგზური უკვე გარანტირებული აქვთ.

ესპანეთის ნაკრების თავკაცმა **ვისენტე დელ ბოსკემ** გადაწყვიტა, რომ ტრავმირებული ფაბრეგასის ნაცვლად არავინ მიიწვიოს და ფონს არსებული შემადგენლობით გავიდეს. *„ჩვენ სწორედ ამიტომ მოვიწვიეთ ნაკრებში 23 ფეხბურთელი, რომ მსგავსი ინციდენტები შეიძლებოდა მომხდარიყო"*, - განაცხადა დელ ბოსკემ.



რონალდო პიჩიჩით

### მარკას რჩეულნი: მესი, რონალდო, ჟოზე...

გუშინ ესპანეთის ყველაზე მაღალტირაჟიანმა გამოცემა „მარკამ" ტრადიციული, ყოველწლიური დაჯილდოება მოაწყო: „პიჩიჩის" პრიზი, რომელიც სეზონის საუკეთესო ბომბარდირს ეკუთვნის, **კრიშტიანო რონალდომ** მიიღო, რომელმაც გასულ სეზონში 40 გოლი გაიტანა („მარკა" ჯიუტად 41-ს უთვლის). ზამორას ტროფი, რომელიც საუკეთესო მეკარეს ენიჭება, **ვიქტორ ვალდესმა** მიიღო. საუკეთესო ფეხბურთელისთვის დაწესებული დი სტეფანოს ტროფი **ლეო მესიმ** ჩაიბარა. მიგელ მუნიოსის სახელობის თასი კი - **ჟოზე მოურინიომ**.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

lariwin.com
the better way to play
მეტი, ვიდრე თამაში
რეპორტაჟების სპონსორი
ონლაინ კაზინო „ლარი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელოს სპეციალური კორესპონდენტი ბესიკ ჭანგავაძე პალმერსტონიდან

რაგბი. ინტერვიუ რიჩი დიქსონთან

# 2011 წლის მსოფლიოს თასი – ხიდი წარსულსა და მომავალს შორის

ახალ ზელანდიაში მიმდინარე მსოფლიოს თასის გათამაშება საქართველოს მორაგბეთა ნაკრებისთვის უკვე ისტორიაა. ჩვენმა გუნდმა ოთხიდან ერთი თამაში მოიგო და სამი წააგო, თუმცა "ბორჯღალოსნებმა" თავისი თამაშით მსოფლიოს რაგბის მამები დააფიქრა. ყველა, ჟურნალისტიც და სარაგბო ფუნქციონერიც, თანხმდება იმაზე, რომ დროა მსოფლიოს რაგბის შეჯიბრებათა სისტემაში ცვლილებები შევიდეს. ხშირად ისმოდა შეფასება, - საქართველოს ნაკრებმა წააგო იმიტომ, რომ ელიტარულ გუნდებთან თამაშის გამოცდილება არ ჰყოფნისო.

ეს და სხვა ეპითეტები საქართველოს ნაკრების მიმართ უცხოელებს არ დაუშურებიათ, თუმცა, ვფიქრობთ, რაგბის ქართველი გულშემატკივრისთვის ყველაზე საინტერესო საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის, რიჩი დიქსონის შეფასება იქნება.


რიჩი დიქსონი და ილია ზედგინიძე

**- უწინარესად, საინტერესოა თქვენი მოსაზრება ზოგადად ახალ ზელანდიაში მიმდინარე მსოფლიოს თასის გათამაშებაზე. ამაღლდა თუ არა მსოფლიოში სათამაშო დონე?**

- სათამაშო დონემ საყოველთაოდ აიწია. ზოგადად ძალიან მაღალია თამაშის ხარისხი. გაიზარდა კონკურენტუნარიანი გუნდების რაოდენობაც. მოხარული ვარ, რომ იმ გუნდებს შორის, რომლებიც ელიტარულ სარაგბო ქვეყნებს ცხოვრებას ურთულებენ, საქართველოს ნაკრებიცაა.

ცხადია, ძალიან კარგია, რომ რუმინეთის ნაკრებს მოვუგეთ, მაგრამ ის ჩვენთვის კარგად ნაცნობი გუნდია და მე უფრო მეტად ის მაინტერესებდა, ელიტარულ გუნდებთან როგორ ვითამაშებდით.

**- მოდით, თანმიმდევრობით მივყვეთ. შოტლანდიის ნაკრებთან გუნდი თითქოს შებოჭილი გამოიყურებოდა.**

- შოტლანდიასთან მატჩში ძალიან შეგვიშალა ხელი პირველი მატჩის სინდრომმა. მოთამაშეები დიდი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იმყოფებოდნენ. ყველა მათგანს გათავისებული ჰქონდა, რომ კარგად უნდა ეთამაშა და შედეგიც შესაბამისი მიეღოთ.

"სკოტებს" ლელო არ გავატანინეთ და მთელი თამაშის განმავლობაში დიდ წინააღმდეგობას ვუწევდით. მაგრამ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე ელიტური და მეორე დივიზიონის გუნდების თამაშისას, ჯარიმების დიდმა რაოდენობამ საშუალება არ მოგვცა ჩვენთვის სასურველი შედეგი მიგვეღო.

**- თამაშის ხარისხი ინგლისის ნაკრებთან მატჩში ბევრად უკეთესი იყო, ჯარიმებიც მეტოქეზე ნაკლები გვქონდა. "პომებს" ბევრ სხვა სტატისტიკურ მაჩვენებელშიც ვაჯობეთ, ანგარიშში კი ვერა. რატომ მოხდა ასე?**

- შეტევაში ჩვენ უკეთ ვითამაშეთ, მაგრამ "პომები" მაღალი კლასის გუნდია და კარგად ეხერხებათ თამაშის გაშლა. თანაც ორი თუ სამი ლელო ელემენტარული შეცდომების გამო გავუშვით.

როგორც უკვე აღვნიშნე, ამ შეხვედრაში ცუდად არ გვითამაშია, თუმცა გადამწყვეტ მომენტებში უპირატესობას ქარს ვატანდით. მარტინ ჯონსონმა და მისმა სამწვრთნელო შტაბმა აღიარა, რომ უმძიმესი თამაში ჰოქნდათ ჩვენს ნაკრებთან და შვება იგრძნეს, როცა მათთვის საამო შედეგი დაფიქსირდა. "პომებისთვის" ანგარიში კარგი იყო, მაგრამ დაუმსახურებელი.

ერთი სიტყვით, ამ მატჩში ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ინგლისის დარი მაღალი დონის გუნდების წინააღმდეგ ღირსეული თამაში შეგვიძლია.

**- ბოლო შეხვედრაში არგენტინის ნაკრებს პირველი ტაიმი მოვუგეთ. მეორეში კი, ისევე როგორც ინგლისთან და შოტლანდიასთან, პირწმიდნად დავმარცხდით...**

- არგენტინასთან მატჩში ვერ შევძელით ჩვენი პოტენციალის სრულად წარმოჩენა. ჯარიმების დიდმა რაოდენობამ







როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

## რაგბი

გვიჩვენა, რომ ამ პრობლემაზე ბევრი სამუშაო გვაქვს. გული მწყდება იმაზე, რომ გუნდმა ვერ მიილო იმის შესატყვისი შედეგი, რა ენერგია ჩააქსოვეს ბიჭებმა თამაშში. თუმცა, ვფიქრობ, რომ გადამწყვეტი, ამ მსოფლიოს საუკეთესო ათეულში შემავალ გუნდებთან დაპირისპირებაში, ჩვენი გუნდის გამოუცდელობა გამოდგა. საამისოდ საჭიროა, ელიტარულ გუნდებს რეგულარულად შევხვდეთ.

ვფიქრობ, ქართველი გულშემატკივრები ამაყები არიან თავისი გუნდით. რა თქმა უნდა, გულდასაწყვეტია, როცა ოთხიდან სამი თამაში წავაგეთ, მაგრამ გარწმუნებთ, ჩვენი პოზიცია მსოფლიოს რაგბიში უმჯობესდება. ამას შენარჩუნება და კიდევ უფრო გამყარება სჭირდება.

**- როგორ ფიქრობთ, რა უნდა გაკეთდეს საამისოდ?**

- უნდა გაგრძელდეს განვითარების პროგრამის განხორციელება, მწვრთნელთა და ფიზმომზადების სპეციალისტთა აღზრდა. ამასთან გვჭირდება მსაჯთა პროფესიონალიზმის ამაღლებაზე ზრუნვა. ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიმუშაოთ, რათა ქართულმა რაგბიმ მიაღწიოს თანამედროვე სტანდარტებს. დარწმუნებული ვარ, რომ პატარა საქართველოს დიდი ნახტომის გაკეთება შეუძლია მსოფლიოს რაგბიში.

2011 წლის მსოფლიოს თასზე ჩვენი გუნდის გამოსვლა უნდა იყოს ხიდი წარსულსა და აწმყოს შორის. ყურადღებით უნდა ვიყოთ, იმავე ჟინით და შემართებით გვმართებს მუშაობა, უნდა ვიბრძოლოთ, რომ განვვითარდეთ, რათა კარგი მომავალი გვქონდეს.

ნაკრების ამჟამინდელ მოთამაშეთა უმრავლესობა, ალბათ მომავალ მსოფლიოს თასზეც იასპარეზებს. ჩვენი ამოცანა კი ისაა, რომ ყველამ ერთად, მუხლჩაუხრელი შრომით განვაგრძოთ განვითარება.

**- ანუ უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ნაკრებს 2015 წლის მსოფლიოს თასზეც თქვენ დამოძღვრავთ?**

- ეს დამოკიდებულია საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტისა და გამგეობის გადაწყვეტილებაზე. რაც უნდა გადაწყვიტონ, მე ნებისმიერ შემთხვევაში ვრჩები და სანაკრებო რაგბის განვითარების კონსულტანტად განვაგრძობ მუშაობას.

ამასთან არ ვაპირებ მწვრთნელობას თავი დავანებო. ვხედავ, რომ ქართულ რაგბის აქვს დიდი პოტენციალი და წინ დიდი პერსპექტივა იშლება.

**- ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ნაკრების დაცვის მწვრთნელი ჯონ მაგლტონი ტოვებს "ბორჯღალოსანთა" სამწვრთნელო შტაბს. მან ზე რაგბის ახალ გუნდ "მელბურნ რებლზთან" გააფორმა კონტრაქტი. ეს ჩვენთვის საკმაოდ სერიოზული დანაკარგია.**

- ჯონ მაგლტონი ძალიან მაღალი დონის სპეციალისტია. მან კარგი გავლენა იქონია გუნდის თამაშზე. დიდი ცოდნა გადმოგვცა დაცვის ორგანიზების საქმეში. უნდა ვეცადოთ, რომ არ დავუკარგოთ, წყალში არ ჩავუყაროთ ნამუშევარი და რაც გვასწავლა, კარგად დავიმახსოვროთ.

აქვე მინდა აღვნიშნო გუნდის სხვა მწვრთნელებიც, დონ კასკი და გარეთ ადამსონი, რომლებმაც მათზე დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეასრულეს. მთლიანობაში კი ჩვენ მწვრთნელთა ერთი გუნდი ვიყავით და ფაქტობრივად, ყველაფერს ერთად ვაკეთებდით.

**- ბოლოს ნაკრების მოთამაშეებზეც მინდა გკითხოთ. როგორ ფიქრობთ, ვინ იყო გამორჩეული მსოფლიოს თასის ამ გათამაშებაში, ვინ გაგიმართლათ იმედი და ვინ პირიქით?**

- არ მინდა ვინმე გამოვყო. თითოეული აკეთებდა მაქსიმუმს. ჩვენ ერთი გუნდი ვართ და ყველანი ერთნაირად ვმუშაობთ. ცხადია, ზოგმა მეტი ითამაშა, ზოგმა ნაკლები. ეს ბუნებრივიცაა, როცა შერჩეული მოთამაშეები კარგად თამაშობენ, ცდილობ მათ დაეყრდნო და მიეხმარო უფრო განვითარდნენ, პროგრესი განიცადონ. თუმცა, ვფიქრობ, ყველა ჩვენი მოთამაშე ამაყია იმით, რომ ახალ ზელანდიაში იყო და მსოფლიოს თასზე ითამაშა.

მსოფლიოს თასის ეს გათამაშება ჩვენთვის დამთავრდა. მალე ერთა თასი დაიწყება და ვნახოთ, ამ გუნდიდან რამდენი მოთამაშე დარჩება ნაკრებში. შინ რომ დავბრუნდებით, უნდა დავსხდეთ და მოვიფიქროთ, როგორ მოვიქცეთ. მალე 2015 წლის მსოფლიოს თასზე გასვლისთვის ბრძოლა დაიწყება. ასე რომ, წარსულზე მეტად მომავალზე ფიქრი გვმართებს.

● რაგბი. მსოფლიოს თასი

# დენ კარტერი მსოფლიოს თასს გამოეთხოვა

ახალი ზელანდიის ნაკრების მგეზავი, თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მორაგბე **დენ კარტერი** მსოფლიოს თასზე ასპარეზობის გაგრძელებას ვერ შეძლებს.

კარტერი საზარდულმა შეაწუხა და გუნდის ექიმებმა, მისთვის და "ოლ ბლექსის" ქომაგთათვის წარმოუდგენელი გადაწყვეტილება მიიღეს. დენი ვებ ელისის თასის მოპოვებაში ნაკრებს ველარ დაეხმარება. მის ნაცვლად "ოლ ბლექსის" თავკაცმა **გრემ ჰენრიმ** მანავატუელი **აარონ კრადენი** გამოიძახა.

*"დენ კარტერი საუკეთესოა იმ მოთამაშეთა შორის, რომლებიც ოდესმე ახალ ზელანდიაში დაბადებულან. ის უდიდესი დანაკლისია გუნდისთვის, მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს, ჩვენ წინსვლა უნდა განვაგრძოთ"*, – თქვა ახალი ზელანდიის ნაკრების მწვრთნელმა გრემ ჰენრიმ.




## ქართული სპორტი

● ჩოგბურთი

# შაფათავა პიკს დაუბრუნდა


სოფიო შაფათავა

გუშინ WTA-ის და ATP-ის რეიტინგლისტები განახლდა. ქართველ ქალთა 8-ეულს ცვლილებები შეეხო და ახლა მათზე მოგითხრობთ: მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **ანა ტატიშვილმა** ლას ვეგასში შარშანდელი მიღწევა გაიმეორა და ქულები ვერ შეიმატა - 21 წლის ქართველი 758 ქულით მსოფლიოს 91-ე ჩოგანია ანუ მან ორი საფეხურით უკან დაიხია. 6 ადგილით წინ წავიდა 28 წლის **მაკა ჩახნაშვილი,** რომელიც 375 ქულით მსოფლიოს 167-ე ჩოგანია. ყველაზე დიდი სიახლე კი 22 წლის **სოფიო შაფათავას** შეეხო, ის საქართველოს მესამე ჩოგანი გახდა, 229 ქულით 243-ე ადგილზე (+12) დამკვიდრდა, ეს კი მისი კარიერის საუკეთესო შედეგის (2009 წლის მარტი) გამეორებაა). ტრავმირებული **ოქსანა კალაშნიკოვა** კი უკვე ქვეყნის მე-4 ჩოგნობამდე ჩამოქვეითდა - 21 წლის ოქსანა მსოფლიოს 244-ე ჩოგანია (-13).

სხვები: 418 (+22) **თათია მიქაძე** - 96 ქულა; 428 (+1) **ეკა გორგოძე** - 91; 429 (+15) **სოფიო ქვაბაია** - 91; 1233 (+11) **ანა ჯიქია** - 3. წყვილთა რეიტინგი: 87 (-1) ანა ტატიშვილი - 990 ქულა; 197 (208) სოფიო შაფათავა - 364; 211 (-9) ოქსანა კალაშნიკოვა - 335; 242 (-15) მაკა ჩახნაშვილი - 277; 375 (+25) თათია მიქაძე - 157; 411 (-26) სოფიო ქვაცაბაია - 132; 423 (+119) ეკა გორგოძე - 125; 1134 (+7) **მაგდა ოქრუაშვილი** - 12; 1157 (+24) ანა ჯიქია - 10; 1193 (+8) **ბაბილინა მაჩაიძე** - 8; 1193 (+8) **ნინო სუჯაშვილი** - 8. 1249 (-) **ნათია გეგია** - 3.

ვაჟები: 1253 (-5) **გიორგი ცივაძე** - 3; 1 363 (-106) **ლადო ჩიხლაძე** - 2; 1 855 (-7) **ალექსანდრე მეტრეველი** - 1.

თურქმენეთის ქალაქ აშხაბადში მე-5 კატეგორიის ტურნირის ფინალში 16 წლის **მიხეილ ხმიადაშვილი** რუს **სერგეი დოროჟკინთან** დამარცხდა - 3:6, 0:6 და ერთეულებში კარიერაში მესამე ახალგაზრდულ (18 წლამდელთა) ტიტულს ვერ შესწვდა.

ზედიზედ სამი ქართული ტურნირის (თბილისი - 10 ათასი დოლარი, თბილისი - 25 ათასი, თელავი - 50 ათასი) ქართველ და ჩვენს ქვეყანაში ნასტუმრევ ჩოგბურთელთა პელეტონი სომხეთის დედაქალაქში გაემგზავრა - ერევანში 25-ათასიანი ტურნირი დაიწყო.

სომხური ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში 8 ჩვენებური ჩაება. აქედან სამმა ძირითადი ბადის საგზური მოიპოვა: **ანი გოგვაძემ, თამარ ჭალაგანიძემ** და ნათია გეგიამ. ძირითად ბადეში კიდევ სამი ქართველია - მე-4 ნომრად განთესილი შაფათავა პირველ წრეში უკრაინელ **ანა შკუდუნს** (428) ხვდება; თათია მიქაძე ხვდება „უაილდ ქარდით" მიწვეულ ბერძენ **მარია საკარის**; გორგოძე - მე-2 ნომრად განთესილ ამერიკელ **ჯულია კოენს** (197); გეგიას მეტოქე ბელარუსი **ლიდია მაროზავაა** (829). საკვალიფიკაციოდან გასულები, გოგვაძე და ჭალაგანიძე ერთმანეთს შეხვდნენ და 15 წლის გოგვაძემ მოიგო - 6:4, 6:2.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ხასავიურტ 2011

# საკონტინენტთაშორისო თასზე – პირველი გუნდით

12 ოქტომბერს დაღესტნურ ხასავიურტში ტარდება საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში. ტურნირში საქართველოს ნაკრებიც მიიღებს მონაწილეობას. ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, **ზაზა თურმანიძეს** იქ უძლიერესი შემადგენლობა მიჰყავს: **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55), **მალხაზ ზარქუა** (60), **შალვა მუზიაშვილი** (66), **გიორგი მარსაგიშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84), **ელიზბარ ოდიკაძე** (96), **დავით მოძმანაშვილი** (120).

**ირაკლი თავაძე**







ეროვნული ბიბლიოთეკა

● თავისუფალი ჭიდაობა. უკრაინის ტურნირი

1/2



# ახალგაზრდების ახალი გუნდი

## პირველი ნაბიჯი დამაიმედებელია - უკრაინული გამოცდა წარმატებით ჩავაბარეთ

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა წარმატებით იასპარეზა უკრაინულ კოლომიეში ჩატარებულ ალექსეი დოვბუშის სახელობის 46-ე საერთაშორისო ტურნირში - 2-2 ოქრო-ვერცხლი და 1 ბრინჯაო მოიპოვეს. ჩემპიონები **ბექა ბუჯიაშვილი** (50) და მძიმეწონოსანი **გენო პეტრიაშვილი** გახდნენ, ხოლო **სანდრო ამინაშვილმა** (84) და **ომარ გუსოშვილმა** (96) ფინალური შეხვედრები დათმეს. 96 კილოგრამი წონითი კატეგორია ჩვენთვის ყველაზე წარმატებული გამოდგა, რადგან აქ მეორე მედალიც მოვიპოვეთ - **გიორგი მეშვილდიშვილი** მესამეზე გავიდა.

ტურნირი საკმაოდ ძლიერი და წარმომადგენლობითი გამოდგა. მასპინძლები ხომ გაფართოებული შემადგენლობით და რამდენიმე გუნდით გამოდიოდნენ, რუსეთიდანაც ოთხი ნაკრები ჩავიდა - მთავარ გუნდს ავტონომიური რესპუბლიკებიც დაემატნენ, აგრეთვე მონაწილენი საქართველოდან, პოლონეთიდან, ბულგარეთიდან და მოლდოვიდან. ფალავანთა შორის ბევრი იყო ახალგაზრდებსა თუ ჭაბუკებში სხვადასხვა ტიტულის მფლობელი.

ჩვენი ნაკრები უკრაინაში გადახალისებული შემადგენლობით წავიდა - იცით, რომ ბოლო ორი წელიწადია, გუნდში თაობათა ცვლა მიმდინარეობს. ჯერ კიდევ შარშან მათ ორი ლიდერი დააკლდათ - **დავით ხუციშვილი** (74) და მძიმეწონოსანი **გიორგი საკანდელიძე**, წლეულს კიდევ ორი მიჰყვა - **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55) და **დავით მარსაგიშვილი** (84). ეს ის ხალხია, რომლებიც ახალგაზრდებში სეზონს დუბლით ასრულებდნენ, უფროსებში კი უკვე მოასწრეს ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე მედლების მოპოვება. ნაკრების თავკაცმა **ნუგზარ სხირელმაც** აქცენტი ახალ თაობაზე აიღო და გამოცდილების მისაღებად ისინი წაიყვანა. ბევრ მათგანს აქამდე მხოლოდ ჭაბუკებში თუ უჭიდავია, ახალგაზრდებში კი ახლა ცდის ძალებს.

კოლომიეში ჩვენი მოჭიდავეებიდან თუ ვინმესგან ველოდით წარმატებას, უპირველესად - პეტრიაშვილისგან. ის ჯერ კიდევ ჭაბუკთა ნაკრების წევრია, თუმცა წლეულს ახალგაზრდებში ევროპის პირველობაზეც აჭიდავეს და ბრინჯაო მოიპოვა, მერე კი ჭაბუკთა ნაკრებს დაუბრუნდა და იქაც ისახელა თავი - ევროპის ჩემპიონი გახდა, მსოფლიოს პირველობის ფინალში კი სასწაულებრივად წააგო ამერიკელ **ადამ კუნთან.** პეტრიაშვილს ამჯერად ისეთი მიუტევებელი შეცდომები აღარ დაუშვია, ყველა შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარა და ფავორიტის იმიჯი სრულად გაამართლა. მან წილისყრით ერთი წრე დაისვენა, მერე კი ერთმანეთის მიყოლებით დაჯაბნა რუსი **თეიმურაზ კოცოევი**, სომეხი **ჰამლეტ აბრამიანი** და ფინალში რუსი **არსენ ცორაევი.**

კიდევ უფრო დამაჯერებლად იჭიდავა ბუჯიაშვილმა, რომელმაც შეხვედრათა უმეტესობა მშრალი ანგარიშით მოიგო. ბულგარელ **ვლადიმირ ტუმპაროვსა** და მომავალ მესამე პრიზიორს, რუს **საიდმაგომედ მურადინგაჯიევს** ერთნაირი ანგარიშით - 12:0 მოუგო, უკრაინელ **მაქსიმ ბლიაძეს** კი კიდევ უფრო დიდი ანგარიშით - 14:0 აჯობა. მას ჯეროვანი წინააღმდეგობა მხოლოდ ფინალში გაუწია მასპინძელმა **ოლეგ ლიტვინჩუკმა**, რომელიც სხვებზე გამოცდილია - წლეულს ევროპის პირველობაზეც იჭიდავა. პირველი პერიოდი ფრედ დასრულდა - 2:2, თუმცა დამატებითი მაჩვენებლებით მაინც ჩვენებურმა მოიგო, რომელმაც მეორეში ალალად იმარჯვა - 2:0 და ოქროსაც დაეუფლა.

ამინაშვილმა წინასწარ შეხვედრებში უკრაინელ **არტემ გორდაშს**, რუსებს - **ვლადისლავ გაბარაევს, თეიმურაზ კომბოლაევს** და სომეხ **ვაგე ტამრაზიანს** მოუგო, გადამწყვეტი შეხვედრა კი რუს **ვლადისლავ ვალიევთან** დათმო. ამავე წონაში ერთი შეხვედრა მოიგო **ლევან გოგრიჭიანმა**, მაგრამ მერე წააგო და გავარდა.

96-ში ორივე ქართველი რუს **გიორგი ჯუკაევთან** დამარცხდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ გუსოშვილი მას ფინალში შეხვდა, მეშვილდიშვილი - ნახევარფინალში. ფინალამდე გუსოშვილმა ბულგარელი **ევტიმ ევტიმოვი** და რუსეთის სახელით მოჭიდავე ქართველი **თორნიკე კვიტატიანი** დაჯაბნა. ჯუკაევთან წაგებამდე ორი შეხვედრა მოიგო მეშვილდიშვილმაც - უკრაინელ **გლიბ კუცეისთან** და რუს **საიდ ომარისთან**, ბრინჯაოსთვის ბრძოლაში კი უკრაინელ **ივან ფილობოკს** მოუგო.

ჩვენი გუნდის სხვა წევრებისგან მედლისთვის მხოლოდ **კონსტანტინე ხაბალაშვილმა** (66) იჭიდავა, თუმცა ბრინჯაოსთვის შეხვედრა დათმო და მეხუთეზე დარჩა. მან პირველი წრე წარმატებით გაიარა - უკრაინელ **რომან კავას** აჯობა, მაგრამ მეორეში მომავალ ვერცხლის მედალოსანთან, რუს **ხეტაგ ხუბეჟტისთან** დამარცხდა. სანუგეშოში მოლდოველ **იონ პლოტედიალეს** კი მოუგო, მაგრამ უკრაინელ **იგორ ვასილიშინთან** ვერაფერს გახდა.

სამწუხაროდ, წარუმატებლად გამოვიდა **ლაშა ტალახაძე** (55), რომელმაც წლეულს წონითი კატეგორია შეიცვალა. შარშან ის 50-ში გამოდიოდა და ახალგაზრდებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი და ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, მაგრამ წლეულს წონის დაკლება იმდენად გაუჭირდა, ევროპის პირველობაზე ცუდად გახდა და ბრინჯაოსთვის შეხვედრაში საჭიდაოდ გასვლა ველარ შეძლო. ის ახალ წონაში ჯერჯერობით ადაპტაციას გადის და, ალბათ, ამას უნდა მივაწეროთ მისი მარცხი პირველივე წრეში უკრაინელ **გორ ოგანესიანთან**, რომელსაც ჩვენებურმა მხოლოდ ერთი ქულა აართვა. ამ შეჯიბრებაზე ახალ წონაში იასპარეზა ახალგაზრდებში მსოფლიოს წლევანდელმა მესამე პრიზიორმა **დავით გალეგაშვილმაც**, რომელმაც ამჯერად 66-ში იჭიდავა. ორი შეხვედრაც მოიგო და საკმაოდ კარგი შედეგებითაც - უკრაინელ **ვოლოდიმირ იურკევიჩს** 14:0, მის თანაგუნდელ **ოლეგ დანილენკოს** კი 18:4 აჯობა, მაგრამ მესამე უკრაინელთან, ხაბალაშვილის მძლეველ მომავალ მესამე პრიზიორ ვასილიშინთან ვერც ეს გახდა ვერაფერს.

ჭაბუკებში ევროპის მესამე პრიზიორი **დავით ბუზიაშვილი** (60) პირველივე წრეში მომავალ ჩემპიონთან, უკრაინელ **ვასილ შუპტართან** დამარცხდა და სანუგეშოში გადაინაცვლა, სადაც მოგებას წაგება მიაყოლა და საბოლოოდ უმედლოდ დარჩა, როგორც ევროპის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონი **ბექა პეტრიაშვილი** (74) - პირველივე წრეში წააგო სომეხ **ვალტერ მარგარიანთან.**

**ირაკლი თავაძე**

● ჭადრაკი

# ქართული დუეტი ჩინურ ტურნირზე

გასულ უქმეებზე ჩინეთში დაიწყო მოჭადრაკეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 7 ქვეყნის 78 წარმომადგენელი მონაწილეობს, მათ შორის 33 დიდოსტატი და 13 საერთაშორისო ოსტატი. მთავარი პრიზისთვის მებრძოლთა შორის არიან თბილისელები - **ლევან ფანცულაია** (რეიტინგი - 2614) და **დავით არუთინიანი** (2577). ასპარეზობის რეიტინგფავორიტია ვიეტნამელი ლი ქუანგ ლიემი (2717). მის გარდა, შეჯიბრებაში 2700-იანი კლუბის კიდევ ორი წევრი მონაწილეობს: ჩინელები - ვან იუე (2716) და ლი ჩაო (2710).

ჩვენებურთგან არუთინიანმა პირველი ორ ტურში ჩინელებს - მუ კენსა და მო ჟაის სძლია, ფანცულაია სტარტზე ჩინელ იუ ვანს დაუზავდა, მეორეში კი ვიეტნამელი დიდოსტატი ქალბატონი ნგუენ თი თან ანი დაამარცხა.

მე-3 ტურში არუთინიანმა პარიმარიან ნეგისთან (ინდოეთი) წააგო, ფანცულაიამ კი ქინგნან ლიუს (ჩინეთი) სძლია.

გუშინ მე-4 ტურში ლევან ფანცულაია თეთრი ფიგურებით ჩინელ დეშენ ქსიუს დაუზავდა და 3 ქულას მოუყარა თავი. სამწუხაროდ, თეთრებით დამარცხდა დავით არუთინიანი - მას მასპინძელმა ძიან ჟანმა აჯობა. დავითს ორი ქულა აქვს. შეჯიბრებას 3,5-3,5 ქულით პარიმარიან ნეგი (ინდოეთი), ვეიქი ჟოუ (ჩინეთი) და ნგუენ ნგოკ თრონგ სონი (ვიეტნამი) მეწინავეობენ.

დღეს მე-5 ტურის პარტიები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

# ოსლოში მოგებით დაიწყეს

ნორვეგიაში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში 58 მონაწილეს შორის ორი ქართველია: დიდოსტატები - **ნინო ბაციაშვილი** და ქალთა ეროვნული ნაკრების წევრი **ნაზი პაიკიძე.** პირველ ტურში ჩვენებურებმა წარმატებას მიაღწიეს: ნინომ შავი ფიგურებით ჰოლანდიელ იააფ ვოგელს აჯობა, ნაზიმ კი თეთრებით ნორვეგიელი როჯერ ანდერსენი დაჯაბნა.

ტურნირის გამარჯვებული 1500 ევროს დაიმსახურებს, მეორე-მეშვიდე ადგილოსნები კი, შესაბამისად, 1000, 500, 400, 300, 200 და 100 ევროს.

**ვაჟა დანელია**



ტიმიშოარა: მარცხნიდან - ანასტასია ბოდნარუკი, ნანა ძაგნიძე, ანა ზატონსკიხი, ლელა ჯავახიშვილი და ქრისტინა-ადელა ფოიშორი

# ვერცხლს დასჯერდნენ

ევროპის მოჭადრაკეთა საკლუბო ჩემპიონატებში **ნანა ძაგნიძესა** და **ლელა ჯავახიშვილს** არაერთხელ მოუპოვებიათ ოქროს მედლები სხვადასხვა გუნდის შემადგენლობაში. წლეულს კი სლოვენიაში ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ, თანაც უცხო დროშის ქვეშ. როგორც გაუწყეთ, საქართველომ ვერ შეძლო შეჯიბრებაზე საკუთარი გუნდის წარდგენა, ამიტომ ჩვენი დიდოსტატები რუმინეთის „ტიმიშოარას" სპორტულ ღირსებას იცავდნენ. ბოლო ტურის წინ ისინი კრასნოტურინსკელებთან ერთად პირველ-მეორე ადგილებს იყოფდნენ. მე-7 ტურში „ტიმიშოარა" ევროპის უკვე ექსჩემპიონ მონტე კარლოსთან 1,5:2,5 დამარცხდა (ძაგნიძემ მსოფლიოს ჩემპიონ ჰოუ იფანს დანებდა, ხოლო ანა ზატონსკიხი-ანა მუზიჩუკი, პია კრამლინგი-ლელა ჯავახიშვილი, ქრისტინა-ადელა ფოიშორი - მონიკა სოჩკო დაზავდნენ) და 10 ქულით მე-2 ადგილი დაიკავა. ამდენივე ქულას მოუყარა თავი ერევნის „მიკამ", მაგრამ „ტიმიშორასთან" წაგების გამო მას მე-3 ადგილი ხვდა. ჩემპიონობა კი 12 ქულით კრასნოტურინსკის AVS-მა მოიპოვა, რომელმაც ბოლო ტურში მოსკოვის „გიპრორეჩტრანსს" აჯობა 2,5:1,5.

ვაჟებში 13 ქულით სანქტ-პეტერბურგელები გავიდნენ პირველ ადგილზე. მათ ქულით ჩამორჩა ბაქოს „სოკარი". 11 ქულით მესამე ადგილი ჩეხეთის ნოვი-ბორს ერგო.

ბაადურ ჯობავას „A DAN DZO" (ჩერნიგოვი), რომელიც უკრაინის ჩემპიონი და შარშანდელი საკლუბო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია, 10 ქულით მე-10 ადგილს დაჰყაბულდა.

**ვაჟა დანელია**

● კრივი

# მსოფლიოს ეს ჩემპიონატი ქართველებისთვის დამთავრდა

აზერბაიჯანის დედაქალაქში პლანეტის უძლიერესი მოკრივეები მედლებსა და 2012 წლის ოლიმპიური თამაშების საგზურებს უჩვენოდ გაინაწილებენ.

ბაქოში მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გუშინ მე-2 წრის შეხვედრები გაიმართა. ქართველები რინგს მხოლოდ სამ წონით კატეგორიაში იყვნენ შემორჩენილი. სამწუხაროდ, ვერც ერთმა მათგანმა მეორე ბარიერი ვერ გადალახა. **ავთანდილ ჭუბაბრია** (49 კგ) იტალიელ ალექს ფერამოსკას დანებდა - 8:15. უფრო დიდი ანგარიშით დამარცხდა წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის მე-3 პრიზიორი **ჯაბა ხოსიტაშვილი** (75) - მან გერმანელ შტეფან ჰარტელთან უშანსოდ წააგო - 6:22, ხოლო 91 კილოში მოასპარეზე **დავით გოგიშვილს** ეკვადორელმა ხულიო კასტილიომ სძლია - 12:5.

ამდენად, ათივე ქართველი მოკრივე მსოფლიოს ჩემპიონატს დაემშვიდობა, ამგვარ წარუმატებლობას კი მათგან არავინ ელოდა.

**ვაჟა დანელია**

● სპორტის უჩინარი მსახურნი

# სიკეთითაც ცნობილი

უჩინარი მსახურნი არიან თვით სპორტში და მის გარეთაც. თავის გამოსაჩენად, მით უფრო მოსაჩვენებლად ეს ადამიანები არასდროს არაფერს აკეთებენ. აკადემიკოსსა და გენერალ-ლეიტენანტ **როინ ლიპარტელიანს** ბევრი იცნობს, როგორც მეცნიერს და ორგანიზატორს, რომელსაც სიკეთე ცხოვრების სხვადასხვა სფეროში დაუთესავს. ფეხბურთის, ჭადრაკისა და მთების სიყვარულს ყმაწვილობიდან ნაზიარები, წარმატების მიუხედავად, პროფესიულ სპორტს არ გაჰყვა, სწავლას და მეცნიერებას ჩაუღრმავდა, მაგრამ ბევრს გაუკვალა გზა დიდი სპორტისკენ.

**მაია ჩიბურდანიძე** და **ნანა იოსელიანი, ჯიბილო ნიჟარაძე, ოლეგ** და **სოსო ლიპარტელიანები** საქვეყნოდ აღიარებული სპორტსმენები რომ გახდნენ, თავის დროზე მოკრძალებული წვლილი ბატონმა როინმაც შეიტანა. არასდროს გაუხმაურებია, მაგრამ არაერთმა ახალგაზრდა სპორსტმენმა საკუთარ თავზე გამოცადა ის სიკეთე და თანადგომა, რომელიც როინ ლიპარტელიანის ცხოვრების წესადაა ქცეული. ერთი ახალგაზრდა, რომელიც შემდეგ ცნობილი სპორტსმენი და სახელოვანი კაცი დადგა, ციხისკენ მიმავალი გზიდანაც დაუხსნია. ერთმაც, უკვე მსოფლიოში ცნობილმა სპორტსმენმა, ბინას მართმევენო და... გასაღები მას ჩააბარა. ის სპორტსმენი დღესაც ცხოვრობს თავის ბინაში...

როინ ლიპარტელიანის დაფუძნებულია თავის დროზე თენგიზ სულაქველიძის ბავშვთა სახელობის საერთაშორისო საფეხბურთო აკადემია; გახდა მისი საპატიო პრეზიდენტი, ამავე აკადემიის საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტი. ბიზნესმენი არ არის, მაგრამ ბევრგან გააშენა და ბავშვებს საჩუქრადაც გადასცა ფეხბურთის სათამაშო მოედნები.



მარცხნიდან: მურთაზ ხურცილავა, როინ ლიპარტელიანი და თენგიზ სულაქველიძე

მხარში ედგა **ლეილა მესხს** საჩოგბურთო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში. თავის დროზე „ნორჩ დინამოელს" დიდი ძალისხმევით შეუნარჩუნა საფეხბურთო მოედანი. არაერთ სპორტსმენს დახმარებია მატერიალურად. არ ღირს სალაპარაკოდო", - მოკლედ მოჭრის ხოლმე, როცა ნაამაგარს შეახსენებენ.

რაც ითქვა, ალბათ, წვეთია ზღვაში იმ სიკეთესთან, რაც ამ ადამიანს გაუკეთებია და არა მხოლოდ სპორტში. ეს ფაქტები სხვადასხვა წყაროდან მოვიძიეთ, არ დავწერდით, მაგრამ საბაბი გაჩნდა - ბატონ როინს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა.

ვულოცავთ!

**თენგიზ თომაშვილი**

ევროჩელენჯი. სპორტის სასახლე. სოხუმი-მინსკი 19:00

# ევროპისა–კენ



სამწლიანი შესვენების შემდეგ ქართული კლუბები დღეს დაუბრუნდებიან ევროსარბიელს - „სოხუმი" ბელარუსის ჩემპიონ „მინსკს" დაუპირისპირდება. მატჩი თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება. ქართული გუნდის პრესსამსახურის ცნობით, რადგან ეს „სოხუმისთვის" პირველი საერთაშორისო მატჩია, მასზე დასწრება უფასოა. იმედი დავიტოვოთ, რომ ქართველი ქომაგი დარბაზს შეავსებს და „მინსკის" ბარიერის დაძლევაში დაეხმარება.

შეგახსენებთ, რომ ევროჩელენჯის საკვალიფიკაციო ეტაპზე გუნდები ორ მატჩს ატარებენ - შინ და გარეთ. „სოხუმი"-"მინსკის" განმეორებითი შეხვედრა ბელარუსში 11 ოქტომბერს გაიმართება. ორი მატჩის ჯამში გამარჯვებული ითამაშებს ევროჩელენჯის ჯგუფურ ეტაპზე, სადაც უკვე ცნობილია ორი მეტოქე: თურქეთის „ტურკ ტელეკომი" და გერმანიის „ბონი". მესამე გუნდი, რომელიც G ჯგუფში მოხვდება, სადღეისოდ ევროთასის შესარჩევს თამაშობს: თურქეთის „კარშიაკასა" და საფრანგეთის „ლე მანის" წყვილში უპირატესობა ფრანგების მხარესაა, რომლებმაც პირველი მატჩი თურქეთში 80:73 მოიგეს. ევროჩელენჯზე ამ წყვილში დამარცხებული იასპარეზებს.

თუმცა ჩვენთვის გაცილებით საინტერესოა „სოხუმი"-"მინსკის" დაპირისპირება. ბელარუსებზე ცალკე სტატიაში მოგითხრობთ, აქ კი მოგახსენებთ ქართველთა მზადებასა და მის შემადგენლობაზე.

## მზადება

მწვრთნელმა **აინარს ბაგაცკისმა** შემადგენლობა ლატვიაში შეკრიბა და ხუთი საკონტროლო მატჩი გამართა. „სოხუმელები" ეთამაშნენ როგორც რიგით ლატვიურ გუნდებს, ასევე ევროლიგის წარმომადგენლებს - რუსეთის „უნიქსი" ჯგუფურ ეტაპზე თამაშობს, ხოლო უკრაინის „დნიპრომ" ევროლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე **თორნიკე შენგელიას** „შარლერუასთან" წააგო.

სწორედ „დნიპრომ" აჯობა სოხუმელებს ლიეპაიას საერთაშორისო ტურნირის ფინალში და მეორე ადგილი აკმარა.

გუშინ, „მინსკთან" ოფიციალური შეხვედრის წინ აინარს ბაგაცკისმა ვარჯიში სპორტის სასახლეში 12 საათზე გამართა. მწვრთნელს გუნდის მზადყოფნაზე ვკითხეთ, თუმცა კომენტარისგან თავი შეიკავა, ყველაფერი ხვალ გამოჩნდებაო.

ბაგაცკისმა შეგირდები ჯერ ტაქტიკურად ავარჯიშა, შემდეგ სროლებში, ბოლოს კალათბურთი ათამაშა. დღეს დილას გუნდი მატჩისწინა მსუბუქ ვარჯიშს ჩაატარებს.

მოსამზადებელ ეტაპზე გამართული შეხვედრების შედეგებს ამავე გვერდზე გაეცნობით.

## ვინ?

ახლა ორიოდე სიტყვა ვთქვათ მათზე, ვისი იმედიც დღევანდელ მატჩში უნდა გვქონდეს. გუნდში ოთხი გამთამაშებლია: **ლაშა ფარლალავა, პიერ პირსი, გიორგი გაფრინდაშვილი** და **ირაკლი ჩლაიძე**.

ლაშამ საქართველოს ნაკრებთან ერთად ევრობასკეტზე ითამაშა და სათანადო ფორმით შეუერთდა. მწვრთნელს სწრაფი ფარლალავას გამოყენება შეუძლია როგორც გამთამაშებლად, ასევე მსროლელად.

პუერ პირსი 193 სმ სიმაღლის, 27 წლის გამთამაშებელია, რომელიც 2008-10 წლებში ფრანგულ „ტულონში" გამოდიოდა, შარშანდელი სეზონი ბერძნულ „არისში" დაიწყო და უკრაინულ „აზოვმაშში" დაამთავდა. აზოვისპირელთა შემადგენლობაში 21 წუთში 8.5 ქულასა და 2.6 პასს აგროვებდა.

გიორგი გაფრინდაშვილი გამთამაშებელია, შარშან თსუ-ს ღირსებას იცავდა და მისი დიდი წვლილია, გუნდმა ჩემპიონატში მეორე ადგილი რომ დაიკავა.

შარშანდელ ჩემპიონატში აინარს ბაგაცკისმა ირაკლი ჩლაიძე აღმოაჩინა, სათამაშო დროსაც უხვად აძლევდა. ვნახოთ, ამერიკელების ჩამოსვლის შემდეგ რა დრო ერგება ახალგაზრდა ირაკლის.

„სოხუმის" ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო კალათბურთელი **ფრენკ რობინსონია** (27 წლის), რომელსაც სხვადასხვა დროს „ატლანტასა" და სლოვენიის „ოლიმპიაში" უთამაშია. „სოხუმში" ჰაიფას „მაქაბიდან" გადმოვიდა. ფრენკი ფლანგის მოთამაშეა, ცაციაა და ეფექტური ჩატენებიც ეხერხება. ამაში გუშინაც დავრწმუნდით.

ასევე მსროლელ-ფორვარდია **ლევან ფაცაცია,** რომელიც შარშან ამერიკის კოლეჯების ლიგაში ასპარეზობდა. იგი 20 აგვისტომდე საქართველოს ნაკრებში ვარჯიშობდა.

მსუბუქი ფორვარდის პოზიციაზე სოხუმელთა ძირითად შემადგენლობაში **ბრენდონ გაი** ითამაშებს. იგი ყველაზე გამოცდილია, გუნდური ტიპის ჭკვიანი მოთამაშეა. გასულ სეზონში ბრენდონი შენგელიასთან ერთად ბელგიური „პეპინსტერის" ღირსებას იცავდა.

ფორვარდებში უნდა ვახსენოთ **მიხეილ ბერიშვილი.** თუმცა მას კოჭი აწუხებს და დღეს გუნდს ვერ დაეხმარება. ასეთივე ტრავმა აქვს უკანახაზელ **ირაკლი სორდიას.**

გუნდისთვის დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია **მარკ სალიარსს**. მას ბაგაცკისი მძიმე ფორვარდად ათამაშებს. მარკი ფარქვეშაც კარგად იბრძვის და მეტოქის პერიმეტრიდან შეწუხებაც შეუძლია. შარშან იგი იტალიის ჩემპიონატში „ბიელაში" გამოდიოდა.

ლატვიურ შეკრებაზე „სოხუმს" ახლდა კიდევ ერთი ლეგიონერი, წინახაზელი **სტიემსმა,** თუმცა იგი ამჟამად გუნდში აღარ არის. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მწვრთნელმა დაიმატა 222 სმ სიმაღლის **სერგო ათუაშვილი,** რომელიც გასულ სეზონში „არმიასთან" ერთად ქვეყნის ჩემპიონი გახდა, თუმცა სერგოს სათამაშო დრო არასაკმარისად ჰქონდა.

კიდევ ერთი წინახაზელი ამერიკიდან ჩამოვიდა, ოღონდ ისიც ქართველია - **ვახტანგ ქადარია.** იგი აშშ-ის კოლეჯების იუნიორთა ლიგაში ასპარეზობდა.

## კომენტარები

რადგან მთავარმა მწვრთნელმა კომენტარისგან თავი შეიკავა, კალათბურთელთა მოსაზრებებს შემოგთავაზებთ.

**ლევან ფაცაცია:**

- „მინსკთან" მატჩისთვის საბრძოლველად ვართ შემართულნი. ვაცნობიერებთ, რომ ჩვენი ქვეყნის ღირსების დაცვა გვიწევს, რაც დამატებითი სტიმულია. პირველ მატჩს შინ ვატარებთ და გვინდა შანსი მაქსიმალურად გამოვიყენოთ, რათა განმეორებით შეხვედრას უკეთეს სიტუაციაში შევხვდეთ.

**ბრენდონ გაი:**

- საინტერესო მატჩი გველის. რაც ჩვენზე იქნება დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ქართველი გულშემატკივარი გავახაროთ. დანარჩენს შეხვედრა გვიჩვენებს.

**ლაშა ფარლალავა:**

- იმედი გვაქვს, ქართველი ქომაგი მოვა და, როგორც სჩვევია, მხარს ისე დაგვიჭერს. მნიშვნელოვანი მატჩია როგორც ერთი, ასევე მეორე გუნდისთვის, რადგან ორი მატჩის ჯამში წაგებული ევროსარბიელს ემშვიდობება.

### სოხუმის საკონტროლო მატჩები

**ლიეპაიას საერთაშორისო ტურნირი**

**სოხუმი (საქართველო)–დნიპრო (უკრაინა) 88:99**

23:27, 17:16, 23:29, 25:27

**სოხუმი:** ფარლალავა (20 წთ, 15ქ, 3მ, 4პ), რობინსონი (16 წთ, 7ქ), პირსი (22 წთ, 21ქ, 9პ), ბერიშვილი (16 წთ, 4მ), ჩლაიძე (17 წთ, 19ქ, 3მ), გაი (24 წთ, 21ქ, 6მ), ქადარია (5 წთ, 2ქ), ფაცაცია (14 წთ), გაფრინდაშვილი (6 წთ), სალიერსი (21 წთ, 3ქ).

**ჯგუფური ეტაპი**

**სოხუმი (საქართველო)–ლიეპაია (ლატვია) 80:68**

20:19, 21:17, 19:16, 20:16

**სოხუმი:** პირსი (27 წთ, 12ქ, 5მ, 3ჩ), ფარლალავა (30 წთ, 21ქ, 6მ, 3პ, 5ჩ, 2დ), გაი (32 წთ, 10ქ, 5მ), რობინსონი (27 წთ, 8ქ, 3მ, 2პ), ქადარია (5 წთ), მ. ბერიშვილი (12 წთ, 2ქ, 3მ), ჩლაიძე (3 წთ), ფაცაცია (30 წთ, 2ქ, 6მ), გაფრინდაშვილი (6 წთ), სალიერსი (27 წთ, 25ქ, 12მ).

**სოხუმი (საქართველო)–სევეროსტალი (რუსეთი) 85:90**

20:22, 27:34, 21:19, 17:15

**სოხუმი:** ფარლალავა (29 წთ, 21ქ, 2პ, 2ჩ), რობინსონი (22 წთ, 11ქ, 4მ), პირსი (27 წთ, 14ქ, 4მ, 4პ, 2ჩ), მ. ბერიშვილი (21 წთ, 4ქ, 4მ), ჩლაიძე (15 წთ, 3ქ), გაი (12 წთ, 3ქ), ფაცაცია (26 წთ, 7ქ, 4მ, 4პ), გაფრინდაშვილი (7 წთ, 3ქ), სტიემსმა (16 წთ, 4ქ, 4მ), სალიერსი (24 წთ, 15ქ, 5მ, 3პ)

**ამხანაგური მატჩი**

**სოხუმი (საქართველო)–უნიქსი (რუსეთი) 81:101**

21:17, 25:32, 21:24, 14:28

**სოხუმი:** რობინსონი (34 წთ, 15ქ, 3მ, 3პ), პირსი (29 წთ, 8ქ, 6მ, 6პ), ჩლაიძე (13 წთ), გაი (28 წთ, 14ქ, 4მ), სორდია (3 წთ, 5ქ), ფაცაცია (29 წთ, 4ქ, 2პ), გაფრინდაშვილი (12 წთ, 1ქ), სტიესმა (23 წთ, 10ქ, 9მ, 2ჩ, 4დ), სალიერსი (29 წთ, 24ქ, 2ჩ).

**უნიქსი:** სამოილენკო (6ქ), ლიდაი (4ქ), გოლოვინი (8ქ), ზამანსკი (2ქ), პაშუტინი (11ქ), ვერემეენკო (9ქ), სავრასენკო (9ქ), მაკკარტი (6ქ), ჯავაი (20ქ), დომერკანტი (13ქ), უილკინსონი (13ქ).

**ამხანაგური მატჩი**

**სოხუმი (საქართველო)–ტრიუმფი (რუსეთი) 67:83**

**სოხუმი**

| მოთამაშე | პოზიცია | სიმ. | დაბ.თარ. | 2010-11 |
|---|---|---|---|---|
| სერგო ათუაშვილი | ცენტრი | 220 | 28.03.1985 | არმია |
| მიხეილ ბერიშვილი | ფორვარდი | 203 | 12.04.1987 | თსუ |
| ირაკლი ჩლაიძე | უკანახაზელი | 198 | 07.12.1989 | სოხუმი |
| გიორგი გაფრინდაშვილი | გამთამაშებელი | 188 | 25.03.1988 | თსუ |
| ბრენდონ გაი | ფორვარდი | 203 | 08.08.1982 | პეპინსტერი (ბელგია) |
| ვახტანგ ქადარია | ცენტრი | 206 | 20.07.1989 | მინერალ არეა (NJCAA, აშშ) |
| ლაშა ფარლალავა | უკანახაზელი | 190 | 07.02.1987 | სოხუმი |
| ლევან ფაცაცია | მსროლელი | 198 | 24.09.1988 | სოხუმი |
| პიერ პირსი | გამთამაშებელი | 192 | 07.06.1983 | აზოვმაში (უკრაინა) |
| ფრენკ რობინსონი | მსროლელი | 194 | 01.06.1984 | მაქაბი (ჰაიფა, ისრაელი) |
| მარკ სალიერსი | ფორვარდი | 204 | 28.02.1979 | ბიელა (იტალია) |
| ირაკლი სორდია | უკანახაზელი | 190 | 20.11.1985 | სოხუმი |

*მწვრთნელი: აინარს ბაგაცკისი*

მეტოქე. მინსკი

# მინსკელებს ვეფხვები აშინებთ



ბელარუსების ორი გამთამაშებელი - კუდრიავცევი და ჰოჯი

„სოხუმის" მეტოქე „მინსკი" თბილისში 3 ოქტომბერს ღამით ჩამოვიდა, დაისვენა და სპორტის სასახლეში 19:30 საათზე ივარჯიშა.

ერთი შეხედვით, ბელარუსებს კარგი ლეგიონერები ჰყავთ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შემადგენლობა თანდათან შეივსო და რამდენად მოასწრეს შეთამაშება, ეს უშუალოდ მატჩისას გამოჩნდება.

ბელარუსი ჟურნალისტისგან ექსკლუზიურად მოვიპოვეთ ინფორმაცია, რომლის თანახმად მინსკელებს გული სწყდებათ, რომ შარშანდელი სეზონის შემდეგ გუნდიდან ოთხი წამყვანი კალათბურთელი წავიდა: **კორშჩუკი, კინგი, მაკკი** და **სენდერსი**.

წლეულს ყველა უცხოელი ახალწვეულია (მათ გვარებს განაცხადში იხილავთ), რომელთა შორის ყველაზე მეტად **ჯულიუს ჰოჯის** ეიმედებათ. აი, რას ამბობს ეს ამერიკელი („დენვერში" აქვს ნათამაშები):

*- მოხარული ვარ, რომ ბელარუსებმა გუნდში კარგად მიმიღეს. მწვრთნელი მეუბნება, რომ ჩემგან ლიდერის თვისებების გამოვლენას ელის. ამისთვის მზად ვარ. სასიამოვნოა ისიც, რომ ძირითადად პლეიმეიკერის პოზიციაზე მომიწევს თამაში. ამ ამპლუაში თავს შესანიშნავად ვგრძნობ. „სოხუმთან" მატჩებში ვეცდები „მინსკს" მოვახმარო NBA-ში მიღებული გამოცდილება.*

ბელარუსთა გენერალური მენეჯერი **ნიკოლაი შერევერია** ყურადღებას ამახვილებს ფინანსურ საკითხებზე:

*- გვქონდა გარკვეული პრობლემები, თუმცა სიტუაცია დასტაბილურდა და ახლა ვმუშაობთ მეტი სპონსორის მოზიდვაზე. რაც შეეხება თბილისურ მატჩს, ვიცი, იოლი არ იქნება: საქართველოში გულშემატკივრები ვეფხვებივით არიან. იქაური ენაც რომ არ იცოდე, მაინც შესაძლებელია „ატომური შეძახილების" გაგება. თბილისში ჩვენი კალათბურთელების მებრძოლი თვისებების იმედად ვიქნებით.*

„მინსკის" მთავარმა მწვრთნელმა **ანდრეი კრივონოსმა** დაიჩივლა:

- „სოხუმის" მატჩების მხოლოდ ორი ვიდეოჩანაწერი გვაქვს, „უნიქსთან" და „დნიპროსთან". სასურველია, მეტი გვენახა, მაგრამ არა უშავს. მეტოქეზე ზოგადი წარმოდგენა შეგვექმნა. რაც შეეხება „მინსკს", ახალი შეკრებილი გუნდია და თანდათან ვუმატებთ. ახალწვეულებით კმაყოფილი ვარ.

გვერდი მოამზადა
ვაჟა **სიმონიშვილმა**

**მინსკი**

| მოთამაშე | პოზიცია | სიმ. | დაბ.თარ. | 2010-11 |
|---|---|---|---|---|
| ვლადიმირ ჩარკო | უკანახაზელი | 200 | 1974 | მინსკი |
| დე ვონ ჰარდინი | ცენტრი | 211 | 1986 | იავნე (ისრაელი) |
| ჯასტინ ჰოუკინსი | ფორვარდი | 201 | 1985 | სტრასბური (საფრანგეთი) |
| ჯულიუს ჰოჯი | ფორვარდი | 1983 | 1989 | ჯიანგსუ (ჩინეთი) |
| ვალიასტინ იჰნატჩუკი | უკანახაზელი | 192 | 1991 | მინსკი |
| ჯასტინ კნოქსი | ფორვარდი | 205 | 1989 | მიუნხენი (გერმანია) |
| ალექსანდრე კოჟენეცი | ცენტრი | 207 | 1977 | მინსკი |
| ალექსანდრე კუდრიავცევი | გამთამაშებელი | 190 | 1980 | მინსკი |
| ალექსანდრე ლაშკევიჩი | ფორვარდი | 204 | 1978 | მინსკი |
| ვერდან ნაკიჩი | გამთამაშებელი | 184 | 1989 | ბროტნიო (ბოსნია) |
| ალექსანდრე სემიანიუკი | ფორვარდი | 205 | 1993 | მინსკი |
| ალექსანდრე ტრატსინეტსკი | ფორვარდი | 200 | 1986 | მინსკი |
| როსტისლავ ვერგუნი | უკანახაზელი | 196 | 1982 | მინსკი |

*მწვრთნელი: ანდრეი კრივონოსი*

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ლიგა 1. IX ტური. გამოხმაურება

# არგენტინელის პარიზული ტანგო

## ტურის მატჩი

ამ შემთხვევაში ორი აზრი არ არსებობს, პსჟ-ისა და "ლიონის" დაპირისპირებას ტურში კონკურენტი არც შეიძლებოდა ჰყოლოდა. მით უფრო, რომ მატჩს მთელი საფრანგეთი მოუთმენლად ელოდა. წარუმატებელი 1-ლი ტურის შემდეგ ორივე გუნდი დიდებულად ათამაშდა და 8 ტურის შემდეგ სწორედ ისინი იყოფდნენ პირველ-მეორე ადგილებს ცხრილში. შეხვედრას ბევრი შეკითხვისთვის შეეძლო პასუხის გაცემა და ეს ასეც მოხდა. **ანტუან კომბუარეს** გუნდმა დაამტკიცა, რომ ის მართლა ძალიან ძლიერია. მან "ლიონი" ისე დაამარცხა, რომ პრაქტიკულად შანსი არ დაუტოვა. თამაშის შემდეგ ლიონელები დალონებულები იყვნენ, თუმცა



იხტიბარს მაინც არ იტეხდნენ. **მიშელ ბასტოსის** თქმით, პარიზული მარცხი კატასტროფა სულაც არ არის. *"მოხდა ის, რაც ძალიან არ გვინდოდა, რომ ჩვენს თავს მომხდარიყო. სამომავლოდ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად მალე მოვახერხებთ წელში გამართვას. ეს ჯერ კიდევ არ არის ჩემპიონატის დასასრული. ოქროს მედლებამდე გზა ჯერ კიდევ დიდია. კარგია, რომ რამდენიმე კარგი მომენტი გვქონდა. ნაგების მიუხედავად, აშკარაა, რომ "ლიონი" სწორი მიმართულებით მიდის. მეტოქეს რაც შეეხება, უნდა ითქვას, რომ დიდებულად ითამაშა და მოგებაც ალალად დაიმსახურა,"* – განუცხადა "ფრანს ფუტბოლს" მიშელ ბასტოსმა.

## ტურის გმირი

**ხავიერ პასტორემ** მორიგი ალიარება მოიპოვა. აშკარაა, რომ 22 წლის არგენტინელი ნელ-ნელა პოულობს საკუთარ თავს საფრანგეთის ჩემპიონატში და მის წინააღმდეგ თამაში მეტოქეებს უფრო და უფრო უჭირთ. "ლიონთან" შეხვედრაში მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი კლასი, როცა პარიზელთა შეტევების სული და გული იყო. ის შეტევებსაც იწყებდა და ამთავრებდა კიდეც. მართალია მას **უგო ლორისი** დიდხანს ღირსეულ წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ არგენტინელმა თავისი მაინც გაიტანა და 5 ბურთით, **კევინ გამეიროსთან** ერთად, გუნდის საუკეთესო ბომბარდირის სტატუსს იყოფს. ამ მაჩვენებლით მას მთელ ჩემპიონატში ორად ორი კაცი უსწრებს - **ბაფეტიმბი გომისი** (ლიონი) და **ალენ ტრაორე** (ოსერი).

## ტურის მოვლენები

საინტერესოდ განვითარდა მოვლენები "ბორდოსა" და "მონპელიეს" მატჩში. ჟირონდელები 25-ე წუთისთვის 1:0-ს იგებდნენ, როცა მსაჯმა გამოცდილი **მარკ პლანიუ** მინდვრიდან მიაბრძანა. ამის მიუხედავად ისინი არ გატყდნენ და მეორე ტაიმის დებიუტში მეორე გოლიც გაიტანეს. არაფერი შეცვლილა იქამდე, ვიდრე მე-80 წუთზე მსაჯმა **მაპუ იანგა-მბივაც** ნაადრევად არ გაუშვა გასახდელში. "მონპელიე" რიცხობრივ უპირატესობას ვერ იყენებდა და როცა შემადგენლობები გათანაბრდა, რაღა უნდა გააწყოსო, შეიძლება იფიქრა გულშემატკივარმა, მაგრამ **რენე ჟირარის** გუნდმა სწორედ ამ დროს მოიქნია კუდი. 88-ე წუთზე ჯერ **იუნეს ბელჰანდამ**, 90-ე კი **ვიტორინო ილტონმა** "ბორდოს" კარი თითოჯერ აიღეს და ანგარიში გაათანაბრეს.

სენსაცია თუ არა, მოულოდნელობა მაინც შეიძლება ვუწოდოთ "სოშოს" მიერ "ტულუზის" განადგურებას. **მეჰმედ ბაზდარევიჩის** მიერ დამოძღვრილმა მასპინძლებმა იქამდე ლიგა 1-ის ცხრილში მე-3 ადგილზე წამოსკუპებული გუნდი მიწას გააკრეს.

უკვე აღარავის უკვირს ჩემპიონატში "მარსელის" წარუმატებლობები. სეზონის დაწყებამდე ჩემპიონობის მაძიებელთა შორის დასახელებულმა გუნდმა ამჯერად შინ "ბრესტი" ვერ დაამარცხა. ტურის ანტიგმირის წოდებაც ამ გუნდის წევრს უნდა მიენიჭოს. ლაპარაკია **სტივ მანდანდაზე**. თუკი ინტერნეტში მოიძიებთ და ნახავთ ამ შეხვედრის მიმოხილვას, წამითაც კი არ გაგიჩნდებათ შეკითხვა, თუ რატომ გახდა ის ტურის ყველაზე ცუდი ფეხბურთელი. იქამდე კი უბრალოდ გეტყვით, რომ **რომან პოიეს** არცთუ ძლიერად დარტყმული გამოცდილ გოლკიპერს ტანსქვემოთ გაუძვრა.

ცოტა უცნაურია, რომ ეს საფრანგეთში მოხდა, მაგრამ "კანისა" და "ნიცას" შეხვედრაში მატჩის 87-ე წუთზე შუქი ჩაქრა. მასპინძელი ამ დროს 1:0-ს იგებდა. მაყურებელმა 15 წუთს იცადა მანამდე, ვიდრე ელექტროენერგიის მიწოდება აღდგებოდა. მატჩის განახლებიდან 2 წუთში კი **ერიკ მულუნგუიმ** ანგარიშში სხვაობა აღადგინა.

## ტურის ნაკრები

**ოჩოა** (აიაჩო) – **ბერია** (ლილი) **ბაისი** (ბრესტი), **კარლაო** (სოშო), **დებიუში** (ლილი) – **ბოდმერი** (პსჟ), **პასტორე** (პსჟ), **ბელჰანდა** (მონპელიე), **გუფრანი** (ბორდო) – **მაიგა** (სოშო), **სოვი** (ლილი)

● აიაქსი

# შეცდომები, გაუგებრობა და უსამართლობა



ერედივიზიეს მე-8 ტურში "გრონინგენთან" წაგების შემდეგ **ფრანკ დე ბური** იმდენად აღშფოთებული იყო, რომ თავდაპირველად უარი თქვა, კომენტარი გაეკეთებინა განვლილ მატჩზე, თუმცა მოგვიანებით ის მაინც შეხვდა ჟურნალისტებს და განუცხადა: *"მას შემდეგ, რაც მინდორზე 10 კაცით დავრჩით (გრეგორი ვან დერ ვილმა 61 წუთზე წითელი ბარათი მიიღო. რედ), ჩვენ უფრო ენერგიულად და აგრესიულად ავთამაშდით. თუკი თამაშს ვაგებთ, გამოდის, რომ რაღაც არ გამოგვივიდა ტექნიკურად, ტაქტიკურად. მეორედ მსგავსი რამ აღარ უნდა განმეორდეს. აუცილებელია, რომ დასაწყისიდანვე მეტი ვიფიქროთ. საშინელება იყო, რომ ფეხბურთელებმა სირბილი მხოლოდ მას მერე დაიწყეს, რაც ვან დერ ვილი გაგვიძევეს. ასე უნდა გვეთამაშა ზუსტად პირველი წუთებიდან. თუკი სათამაშოდ გამოხვედი, ეს ნიშნავს, რომ უნდა ითამაშო, ჩვენ კი რეაქცია მხოლოდ მას მერე გვაქვს ხოლმე, როცა რაღაც განსაკუთრებული შეგვემთხვევა. ეს ცუდი მაგალითია და ამის შესახებ ბიჭებს გასახდელში უკვე ველაპარაკე. მათ ნამდვილად მართებთ დაფიქრება"*.

დე ბურმა ცალკე კომენტარი გააკეთა **ვან დერ ვილის** წითელ ბარათთან დაკავშირებით. აი, რას ფიქრობს ის: *"გრეგორის ბურთი ხელში შემთხვევით მოხვდა. მატჩის არბიტრის რიჩარდ ლისველდის გადაწყვეტილების არ მესმის. რატომ დანიშნა პენალტი? აუცილებლად გავუგებდი, სხვა სიტუაციაში უბრალოდ მეორე ყვითელი ბარათი რომ მიეცა, მაგრამ ასეთ დროს პენალტი? თუკი ასეა, მაშინ ყველა მსაჯი ასე უნდა მოიქცეს. "ტვენტესთან" ანალოგიური რამ შეგვემთხვა, ლეროი ფერს ხელზე მოხვდა, პენალტი დაინიშნა, მაგრამ მისთვის მეორე ყვითელი არ უჩვენებიათ"*.

● საფეხბურთო ხულიგნები

# არეულობა შვეიცარიაში



ლეტცგრუნდის ტრიბუნებზე დიდი შეტაკება იყო

კვირას, 2 ოქტომბერს, შვეიცარიის სუპერლიგის 11-ე ტურის შეხვედრაში ციურიხის "ლეტცგრუნდზე" ერთმანეთს მასპინძელი "გრასჰოპერი" და "ციურიხი" დაუპირისპირდნენ. 70-ე წუთისთვის მასპინძელმა გულშემატკივრებმა ცალკე სექტორში განთავსებული თანაქალაქელები, ასე ვთქვათ, დუელში გამოიწვიეს და მათ დასანახად "ციურიხის" სიმბოლიკიანი საგნების დახევასა და დაწვას შეუდგნენ. სტუმრებმა საპასუხოდ მეტოქის სექტორში გადაინაცვლეს და "მტყუან-მართლის გარჩევას" შეუდგნენ. ასეთ გარჩევებს კი რა მოსდევს ხოლმე, მშვენივრად მოგეხსენებათ. შედეგად დაშავებულები ორივე მხრიდან არიან. სულ სხვადასხვა სიმძიმის დაზიანება ექვსმა ადამიანმა მიიღო. პოლიციის წარმომადგენლის **მარკო ბიზას** განცხადებით, ლაპარაკია მხოლოდ მსუბუქ ტრავმებზე. რაც შეეხება ხულიგნებს, სამართალდამცავებმა 4 ყველაზე აქტიური მოჩხუბარი დააკავეს. ერთ-ერთ მათგანს ბრალად ედება სხეულის განზრახ მსუბუქი დაზიანება.

რაც შეეხება თავად მატჩს, ის შეხვედრის მთავარი მსაჯის **საშა კევერის** გადაწყვეტილებით 77-ე წუთზე შეწყდა. ამ დროისთვის "გრასჰოპერი" 2:1-ს იგებდა. შვეიცარიის სუპერლიგის სადიციპლინო კომიტეტი მატჩის შესახებ გადაწყვეტილებას რამდენიმე დღეში მიიღებს.

● ამბები

## ისევ დეშამი

ლიგა 1-ის ყოველი წარუმატებელი ტურის შემდეგ "მარსელის" მთავარი მწვრთნელის, 43 წლის **დიდიე დეშამის** შესახებ ვრცელდება ხმები, რომ მას თანამდებობიდან ხსნიან. ჯერჯერობით ეს ხმები არ დასტურდება. მეტიც, ყოველი ასეთი განცხადების შემდეგ კლუბის ადმინისტრაციის რომელიმე წარმომადგენელი გამოდის და დეშამს სრულ მხარდაჭერას უცხადებს. ამჯერად ეს მისია საკუთარ თავზე პრეზიდენტმა **ვენსან ლაბრუინმა** აიღო. *"აქ სალაპარაკოც კი არაფერია. დეშამი რჩება,* - განუცხადა ლაბრუინმა "ეკიპს". - *ჩვენ გვესმის, რომ უკან დასახევი გზა უკვე მოჭრილი გვაქვს, რადგან წინ ურთულესი სეზონი გველის. თუმცა ძალიან რთული სეზონი გადავიტანეთ შარშანაც და ამის დავიწყება არ ღირს"*.

ცხრა ტურის შემდეგ "მარსელი" 8 ქულით ცხრილში მე-13 ადგილს იკავებს და ლიგა 1-ის ერთპიროვნულ ლიდერ "პარი სენ-ჟერმენს" უკვე 12 ქულით ჩამორჩება, რაც "მარსელის" ერთგული გულშემატკივრებისთვის ყველაზე აუტანელია. მოგეხსენებათ, ხსენებულ კლუბებს შორის მტრულ დამოკიდებულებას უკვე ათეული წლების ტრადიცია აქვს.

## გარდი კონტრაქტს გააგრძელებს

"ლიონის" მთავარმა მწვრთნელმა **რემი გარდმა** შესაძლოა უახლოეს დღეებში კლუბთან დადებული კონტრაქტი გაახანგრძლივოსო, - წერს იტალიური გამოცემა "ტუტო მერკატო". მოქმედი ხელშეკრულება მას სეზონის ბოლოს ეწურება. მიუხედავად მცირე დროისა, დებიუტანტი მწვრთნელის მუშაობით პრეზიდენტი **ჟან-მიშელ ოლა** იმდენად კმაყოფილია, რომ მან მწვრთნელს სამუშაო ხელშეკრულების 2013 წლამდე გაგრძელება შესთავაზა. 9 ტურის შემდეგ "ლიონი" 17 ქულით მესამე ადგილზეა.

შეგახსენებთ, რომ რემი გარდი მთავარ მწვრთნელად დანიშვნამდე **კლოდ პიუელის** თანაშემწე გახლდათ, იქამდე კი წლების განმავლობაში ბავშვთა ფეხბურთში მუშაობდა.

## ზიდანი: რატომაც არა?!



**ზინედინ ზიდანი** მწვრთნელობას აპირებს. ამის შესახებ სპეციალური განცხადება მან კვირას ტელეკომპანია "კანალ პლუსის" ეთერში გააკეთა. გუშინდლიდან მოყოლებული, 39 წლის ვარსკვლავი საფრანგეთის პატარა ქალაქ ლიმოჟში სპეციალური სამწვრთნელო კურსების მსმენელი გახდა. *"ჩემთვის ახალი ეტაპი იწყება. რა თქმა, უნდა ზოგიერთს შეიძლება გაეცინოს, მაგრამ პირადად ჩემთვის ეს ლოგიკური გაგრძელებაა იმ გზისა, რითაც აქამდე მოვდიოდი. ჩემი მიზანია, ახალი და ახალი მწვერვალები დავიპყრო. სამი წლის წინ შეკითხვაზე, მინდოდა თუ არა მწვრთნელად მუშაობა, კატეგორიულ უარს ვიტყოდი, მაგრამ დღეს ამას სულაც არ გამოვრიცხავ. უახლოეს 3 წელიწადში ალბათ უკვე მზად ვიქნები იმისთვის, რომ ახალგაზრდა თაობას მთელი ის ჩემი გამოცდილება გადავცე, რაც კარიერის განმავლობაში დავაგროვე,"* – აცხადებს ლეგენდა.

ფრანგმა ჟურნალისტებმა გაიხსენეს, რომ ზიზუ პირველად სამწვრთნელო კარიერაზე ზუსტად 1 წლის წინ, 2010 წლის ოქტომბერში ალაპარაკდა.

## მორიგი სასჯელი საბერძნეთში

საბერძნეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა უმაღლესი ლიგის მონაწილე "ასტერესი" ქვედა ლიგაში დააქვეითა, მის ყოფილ პრეზიდენტ **გეორგიოს ბოროვილოსუს** კი ფეხბურთში საქმიანობა 3 წლით აუკრძალა და ჯარიმის სახით 300 ათასი ევროს გადახდაც დააკისრა. ესოდენ მკაცრი სასჯელის მიზეზი, თავადაც მიხვდებოდით, რომ გარიგებულ მატჩებში მონაწილეობაა.

როგორც გაირკვა, ბოროვილოსუმ "ოლიმპიაკოსის" მფლობელ **აქილეს ბეოსს** ნახევარი მილიონი ევრო გადაუხადა, რათა ამ გუნდების დაპირისპირებაში სტუმრებს თავი მაინცდამაინც არ მოეკლათ. შეხვედრა წინასწარი გეგმის მიხედვით ნარიმართა და "ასტერესის" გამარჯვებით 2:1 დასრულდა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გერმანია. ბუნდესლიგა. VIII ტურის გამოხმაურება

# ასეთები არიან ჰოლანდიელები

## რობენს ხასიათი წაუხდა, ჰუნტელაარი სტევენსის ხელში აბობოქრდა

გოლები ამ ტურშიც მრავლად გავიდა, თავდამსხმელებმა მაგრად გაიხარეს და ერთადერთი მეკარე, რომელიც ზეიმობდა, ისევ **მანუელ ნოიერი** გახლდათ. „შალკეს“ ახალმა ძველმა მწვრთნელმა **ჰუუბ სტევენსმა** გელზენკირხენულ კლუბს ჰამბურგიდან სამი ქულა წამოაღებინა და მე-4 ადგილამდე აიყვანა, მერე კი თქვა, „შალკე“ ჩემი არასდროს ყოფილა და არც ახლაა, მე აქ მუშაობა უბრალოდ ძალიან მსიამოვნებსო. არადა, სტევენსი „შალკეში“ საუკუნის მწვრთნელადაა დასახელებული – იცით, რატომაც.

სხვა ჰოლანდიელმა მიუნხენში დიდი აურზაური გამოიწვია, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დისკუსია თავის როლზე: **არიენ რობენმა** „ჰოფენჰაიმთან“ მხოლოდ 45 წუთი ითამაშა და მატჩის შემდეგ არაფერი უთქვამს. მე-8 ტურმა შესანიშნავ ხასიათზე დააყენა „დორტმუნდის“ თავდამსხმელი **რობერტ ლევანდოვსკი** და „ლევერკუზენის“ ფორვარდი **ერენ დერდიოკი**. პირველმა „აუგსბურგთან“ ჰეთ-თრიკი შეასრულა, მეორემ კი „ვოლფსბურგს“ ერთი გაუტანა, მაგრამ ისეთი, ლევანდოვსკის სამივეს რომ სჯობდა.

თქვენ წინაშეა გერმანიის ჩემპიონატის მე-8 ტურის გამოხმაურება.


არიენ რობენი ძალიან უკმაყოფილოა


კლაას-იან ჰუნტელაარმა გატანა დაიწყო

### დერდიოკის ფანტასტიკა

მარცხნივ, მარჯვნივ, კიდევ მარჯვნივ, აჩქარება, მოტრიალება, მაკრატელა დარტყმა და გოლი: **ერენ დერდიოკმა** საფეხბურთო გერმანია ულამაზესი გოლით აღაფრთოვანა – გოლით, რომლის ზუსტად აღწერა შეუძლებელია. ბავშვობაში ამდაგვარი გოლი გატანილი მაქვს, მაგრამ მას მერე, რაც პროფესიონალი ფეხბურთელი გავხდი, ასეთი ლამაზი გოლი პირველად გავიტანეო, ამბობდა ახალგაზრდა შვეიცარიელი. ერთადერთი სულიერი, ვისაც ეს გოლი სიამოვნებას არ მოჰგვრიდა, კრისტიან ტრეში იქნებოდა, რომელიც დერდიოკის დარტყმის დროს სტატისტის როლში იყო.

მატჩის შემდეგ „ლევერკუზენის“ სპორტულმა დირექტორმა **რუდი ფიოლერმა** ერენს ასეთი გოლის ხშირად გატანა შეუკვეთა...

### ლევანდოვსკიმ გაილვიძა

*„ბოლოს და ბოლოს, როდის დაბრუნდება ლუკას ბარიოსი?“* - სეზონის დაწყებიდან დღემდე, დორტმუნდში ეს ყველაზე ხშირად დასმული კითხვა იყო. გაპარაგვაელებულ არგენტინელს ამ ხნის მანძილზე ცენტრფორვარდის პოზიციაზე **რობერტ ლევანდოვსკი** ცვლიდა ხოლმე, რომლის იმედი დორტმუნდში კაციშვილს არ ჰქონდა. არა, იქ ყველამ იცის, რომ პოლონელი კარგი თავდამსხმელია, მაგრამ მთლად მის იმედზე ყოფნის პერსპექტივა არავის ხიბლავდა. ლევანდოვსკის აქამდე გოლები მხოლოდ შეცვლაზე თამაშის დროს გაჰქონდა და ისიც ცოტა; ახლა კი, „აუგსბურგთან“ შესრულებული ჰეთ-თრიკით ლევანდოვსკიმ იმიჯი შეიცვალა. თანაც, მას მერე, რაც ფეხბურთს პროფესიონალის დონეზე თამაშობს, ერთ მატჩში სამი გოლი პირველად გაიტანა და რა საკვირველია, უბედნიერესი იყო.

*„ამ მატჩმა რობერტი გამოაფხიზლა. ეს ჰეთ-თრიკი მასზეც და გუნდზეც ძალიან კარგად იმოქმედებს,“* - თქვა „ბორუსიას“ თავკაცმა **იურგენ კლოპმა**.

სხვათა შორის, კლოპს ძალიან უნდა, რომ ლევანდოვსკი ათიანის პოზიციაზე „ჩააინსტალიროს“ - ეს მაშინ უნდა მოხდეს, როცა ბარიოსი ფორმაში შევა და ძირითად შემადგენლობაში თამაშს დაიმსახურებს. რაკი **შინჯი კაგავა** ძველებურად ველარ ბრწყინავს, ხოლო **მარიო გიოტცესთვის** იდეალური პოზიცია მარჯვენა გარემარბობაა, კლოპს ლევანდოვსკის იმედი გაუჩნდა. თავად რობერტი სკეპტიკურადაა განწყობილი, ამბობს, მე უფრო ცენტრფორვარდი ვარ, ვიდრე გამთამაშებელიო, თუმცა იქვე ამატებს, ოღონდ ვითამაშო და სადაც მწვრთნელი გამამწესებს, ყველგან დავდგები და თავს არ დავზოგავო.

*„ბარიოსს ფორმის სრულად აღდგენისთვის ალბათ კიდევ გარკვეული ხანი დასჭირდება,“* - თქვა ლევანდოვსკიმ და ალბათ უნდოდა ეთქვა, იმედია (!), გარკვეული დრო დასჭირდებაო.

### ვინ იქნება ის ბედნიერი?..

...ვინც **მანუელ ნოიერს** გოლს გაუტანს? სხვა საქმეა ის, რომ მანუელს „ბაიერნის“ მატჩების დროს ბევრი საქმე არ აქვს ხოლმე, მაგრამ სტატისტიკაში ასე იწერება: მანუელ ნოიერს ბუნდესლიგაში 658-წუთიანი მშრალი სერია აქვს, ოფიციალურ მატჩებში კი 1018-წუთიანი. ასე რომ, მთლიანად მისი დამსახურებაა, თუ არა, ფაქტია, რომ რეკორდმაისტერის მეკარე რეკორდებს უმიზნებს. ბუნდესლიგის მაჩვენებლით მანუელი რეკორდსმენების რეიტინგში მეოთხე ადგილზეა: მასზე დიდხანს გერმანიის ჩემპიონატში კარი მშრალად მხოლოდ **ტიმო ჰილდებრანდმა** და **ოლივერ კანმა** (ორჯერ) შეინახეს. თვითონ ნოიერი თავმდაბლობს და ამბობს, რეკორდი რომ დავამყარო, დარწმუნებული ვარ, ეს **მარიო გომესსაც** ჩემზე არანაკლებ გაუხარდებაო.

თავდამსხმელს 0:0 გაახარებს? რა ვიცით, რა ვიცით...

| მეკარე | კლუბი | დრო | სეზონი |
|---|---|---|---|
| 1. ტიმო ჰილდებრანდი | შტუტგ. | 884 წთ | 02/03, 03/04 |
| 2. ოლივერ კანი | ბაიერნი | 802 წთ | 02/03 |
| 3. ოლივერ კანი | ბაიერნი | 736 წთ | 98/99 |
| 4. მანუელ ნოიერი | ბაიერნი | 658 წთ | 11/12 |
| 5. ფრანკ როსტი | შალკე | 647 წთ | 03/04 |
| 6. ოლივერ რეკი | ვერდერი | 641 წთ | 87/88 |
| 7. ტიმ ვიზე | ვერდერი | 619 წთ | 09/10 |
| 8. ული შტაინი | ჰამბურგი | 603 წთ | 85/86 |
| 9. იენს ლემანი | შალკე | 601 წთ | 96/97 |

### ისევ გაშტერდა!

გაიტანს ეს ბიჭი გოლებს, ითამაშებს მართლა იდეალურად, გადაირევიან კიოლნელები, გავა ერთი კვირა და 90 წუთის მანძილზე ისევ თვლემს... წინა კვირას „კიოლნის“ მთავარმა მწვრთნელმა **სტალე სოლბაკენმა** თქვა, „პრინცი პოლდი“ უკვე კაიზერიაო და იმედია, მისი ეს განცხადება ნალდ კაიზერს, **ფრანც ბეკენბაუერს** არ გაუგონია და არც წაუკითხავს, თორემ თმა ყალყზე დაუდგებოდა. სოლბაკენი იმასაც ამბობდა, ბუნდესლიგის საუკეთესო ფეხბურთელი **პოდოლსკიაო**. ეს კომენტარები რეალობისგან ძალიან შორს ნამდვილად არ იყო, რადგან ლუკასმა „ლევერკუზენთან“ და „ჰოფენჰაიმთან“ მართლა ძალიან კარგად ითამაშა. აი, ბერლინში კი, ამ უქმეებზე ისევ გაშტერდა!

არანაირი დინამიკა, არც ჭკვიანური პასები, არც მონდომება – პოლდის „ჰერტასთან“ ეძინა...

### ჰოლანდიელი ჰოლანდიელისთვის...

**არიენ რობენმა** ამ უქმეებზე ბევრს გაუცრუა იმედი – არა მარტო ცუდი თამაშით, არამედ ცუდი ქცევითაც. სამაგიეროდ, ძალიან კარგი იყო „შალკეს“ ჰოლანდიელი თავდამსხმელი **კლაას-იან ჰუნტელაარი**, რომელმაც „ჰამბურგს“ ორი გოლი გაუტანა და გელზენკირხენელთა წარმატება (2:1) განაპირობა. ჰუნტელაარს ამ სეზონში ყველა ოფიციალურ მატჩში უკვე 15 გოლი აქვს გატანილი. შედარებისთვის, შარშან მის ანგარიშზე მხოლოდ 13 გოლი იყო და თანაც, ეს ყველაფერი მთელი სეზონის მანძილზე.

კითხვაზე, რატომ მოიგო „შალკემ“ ჰამბურგში, ჰუნტელაარის თანამემამულე მწვრთნელმა **ჰუუბ სტევენსმა** ასე უპასუხა: *„ჩვენ გვყავს თავდამსხმელი, რომელმაც დღეს ორი გოლი გაიტანა, ჰამბურგს კი ჰყავს თავდამსხმელი, რომელმაც მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა!“*

აი, ასე მარტივად! ორმა ჰოლანდიელმა „შალკეში“ ერთმანეთი იპოვა...

**მე-8 ტურის სიმბოლური ნაკრები (3-4-3)**

**მანუელ ნოიერი** (ბაიერნი) – **ანდრეას ბეკი** (ჰოფენჰაიმი), **მასა** (ჰამბურგი), **ისააკ ვორსა** (ჰოფენჰაიმი) – **ლარს შტინდლი** (ჰანოვერი), **მიხაელ ბალაკი** (ლევერკუზენი), **მარიო გიოტცე** (ბორუსია დ), **ენის ბენ-ჰატირა** (ჰერტა) – **პიერ ლასოგა** (ჰერტა), **რობერტ ლევანდოვსკი** (ბორუსია დ), **მოჰამედ აბდელაუ** (ჰანოვერი)

არაჩვეულებრივი გოლის ავტორი ერენ დერდიოკი ტურის სიმბოლურ ნაკრებში ვერ მოხვდა. ეს იმიტომ, რომ შვეიცარიელს მეტი არაფერი გაუკეთებია, სხვებმა კი ჰეთ-თრიკები (ლევანდოვსკი, აბდელაუ) და დუბლი (ლასოგა) შეასრულეს. ვეტერან მიხაელ ბალაკის სიმბოლურ ნაკრებში გამოჩენა სასიამოვნოა და ნახეთ, სიმბოლურს კიდევ ერთი დორტმუნდელი დაუბრუნდა – რა თქმა უნდა, მარიო გიოტცე.

### ტურის გმირი

**რობერტ ლევანდოვსკი (ბორუსია დ)**

„პოლონელ ტორესად“ წოდებულმა თავდამსხმელმა „აუგსბურგთან“ კარიერის საუკეთესო მატჩი ჩაატარა. რობერტ ლევანდოვსკი ბევრს მოძრაობდა და გარდა იმისა, რომ ჰეთ-თრიკი შეასრულა, გოლი გიოტცესაც გაატანინა – შესანიშნავი პასით.

**საუკეთესო ფეხბურთელები**

8 ტურის შემდეგ, „კიკერის“ შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | ს/შ. |
|---|---|---|
| 1. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 2.14 |
| 2. კლაუდიო პისარო | ვერდერი | 2.20 |
| 3. ჰოლგერ ბადშტუბერი | ბაიერნი | 2.21 |
| 4. მარკო როისი | ბორუსია (მ) | 2.29 |
| 5. მარიო გიოტცე | ბორუსია (დ) | 2.50 |
| 6. მარკ ტერ შტეგენი | ბორუსია (მ) | 2.50 |
| 7. ანატოლი ტიმოშჩუკი | ბაიერნი | 2.50 |
| 8. ვილიამ კვისტი | შტუტგარტი | 2.57 |
| 9. ლუის გუსტავო | ბაიერნი | 2.63 |
| 10. თომას მიულერი | ბაიერნი | 2.64 |

**გოლს პლუს პასის რეიტინგი**

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. პაპის დემბა სისე | ფრაიბურგი | 8 | 6 | 3 | 9 |
| 2. მარიო გომესი | ბაიერნი | 7 | 8 | 1 | 9 |
| 3. რობერტ ლევანდოვსკი | ბორუსია (დ) | 8 | 5 | 4 | 9 |
| 4. კლაუდიო პისარო | ვერდერი | 7 | 6 | 3 | 9 |
| 5. კლაას-იან ჰუნტელაარი | შალკე | 8 | 7 | 1 | 8 |
| 6. ლუკას პოდოლსკი | კიოლნი | 7 | 4 | 4 | 8 |
| 7. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 8 | 3 | 5 | 8 |
| 8. მოჰამედ აბდელაუ | ჰანოვერი | 5 | 6 | 1 | 7 |
| 9. რაული | შალკე | 8 | 4 | 3 | 7 |
| 10. მარიო გიოტცე | ბორუსია (დ) | 6 | 2 | 4 | 6 |

● ჰამბურგი


როდოლფო ესტებან კარდოსოს ჰამბურგში დიდხანს არ გააჩერებენ

# კარდოსო არა, ისა...

## არნესენი ახალ მწვრთნელს ამ კვირაში დანიშნავს

„ჰამბურგის“ სპორტული დირექტორი **ფრანკ არნესენი** შაბათ-კვირამდე სერიოზულად ფიქრობდა იმაზე, რომ დროებითი მწვრთნელი **როდოლფო ესტებან კარდოსო** თანამდებობაზე დიდი ხნით დაეტოვებინა, მაგრამ კვირას ჩრდილოგერმანულმა კლუბმა საკუთარ მოედანზე „შალკესთან“ 1:2 წააგო, რის შემდეგაც „ჰამბურგის“ ბოსმა ახალი მწვრთნელის დანიშვნა საბოლოოდ გადაწყვიტა.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, არნესენი ახალ სპეციალისტს უახლოეს მომავალში წარადგენს. ფაქტია, რომ ბუნდესლიგის მომდევნო ტურს (16 ოქტომბერს) HSV ახალი დამრიგებლით შეხვდება. *„ბევრი დრო ნამდვილად არ გვაქვს. თუ სწრაფად არ ვიმოქმედეთ, გუნდს კრიზისი გაუგრძელდება და გამოუვალ სიტუაციაში აღმოვჩნდებით. ერთი სიტყვით, მომდევნო ტურისთვის ახალი დამრიგებელი უნდა გვყავდეს – მწვრთნელი, რომელსაც არა მარტო ლიცენზია, არამედ გამოცდილებაც ექნება,“* - უთხრა არნესენმა „სქაის“.

შეგახსენებთ, რომ კარდოსოს, რომელიც „ჰამბურგს“ ორი კვირაა ავარჯიშებს, სამწვრთნელო ლიცენზია არ აქვს.

● ჰანოვერი

# აბდელაუ არ იყიდება!

## გააფორმებს ნორვეგიელი ახალ კონტრაქტს?

კვირას, „ჰანოვერმა“ „ვერდერს“ 3:2 მოუგო და „წითლებიდან“ სამივე გოლი ნორვეგიელმა თავდამსხმელმა **მოჰამედ აბდელაუმ** გაიტანა. ამ უკანასკნელს „ჰანოვერთან“ კონტრაქტი 2014 წლამდე აქვს გაფორმებული და წესით, ქვემოსაქსონიელები მისი დაკარგვის საშიშროებაზე არ უნდა ნერვიულობდნენ, მაგრამ ფაქტია, რომ ანერვიულდნენ და აბდელაუსთვის ახლავე ახალი კონტრაქტის გაფორმება სურთ.

*„ჩვენი მიზანი ახლა მოთმოსთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებაა. აბდელაუმ ბოლო დროს უდიდესი პროგრესი განიცადა და სულაც არ გამიკვირდება, იანვარში გრანდებმა თვალი რომ დაადგან, რაც ჩვენ არ გვაწყობს,“* - ეს „ჰანოვერის“ შეფის, **მარტინ კინდის** სიტყვებია.

ჯერჯერობით უცნობია, რას ფიქრობს წარმოშობით მაროკოელი გოლეადორი „ჰანოვერთან“ კონტრაქტის გაგრძელებაზე. ფაქტი ისაა, რომ ამ ეტაპზე მისი გადაბირება არავის სურს და 25 წლის ფორვარდი ჰანოვერული ყოფით კმაყოფილია.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩოგბურთი


ენდი მიურეი

# პეკინმა კერპი დაკარგა

შაბათს პეკინში სტარტი აიღო WTA-ის უმსხვილესმა ტურნირმა, რომელიც ბოლოა ამ სეზონში Premier Mandatory-ის სერიიდან. პირველი დღეების მთავარი მოულოდნელობა გახდა სასტარტო რაუნდში ადგილობრივი პუბლიკის კერპის **ნა ლის** მარცხი.

პეკინის გარდა, წელს Premier Mandatory-ის სტატუსი კიდევ სამ ტურნირს ჰქონდა: ინდიან უელსს, მაიამისა და მადრიდს. აქ შესაბამისად **კაროლინ ვოზნიაცკიმ, ვიქტორია აზარენკამ** და **პეტრა კვიტოვამ** გაიმარჯვეს.

ქალთა სეზონის დასრულებამდე არც ისე დიდი დრო დარჩენილი. ოქტომბრის ბოლოს გაიმართება წლის შემაჯამებელი ტურნირი სტამბოლში და იქ მოხვედრის მხრივ, პეკინის ტურნირი ძალიან მნიშვნელოვანია. დასკვნით ჩემპიონატში უკვე მოიპოვეს თამაშის უფლება ვოზნიაცკიმ, **მარია შარაპოვამ**, აზარენკამ და კვიტოვამ. ნა ლი, **ვერა ზვონარევა** და **სამანტა სტოსური** თითქმის თურქეთში არიან - ნაკლებად მოსალოდნელია, რომ მათ პოზიციებს საფრთხე დაემუქროს. ბოლო მერვე ადგილი კი ამ მომენტისთვის **მარიონ ბარტოლის** ეკუთვნის, თუმცა ამ პოზიციაზე სერიოზულ პრეტენზიას აცხადებენ **აგნიეშკა რადვანსკა, ანდრეა პეტკოვიჩი** და **ფრანჩესკა სკიავონე**. ისინი 500 ქულაზე მეტს აგებენ ფრანგთან, ამიტომაც პეკინში, რაც შეიძლება შორს უნდა გააღწიონ.

რაც შეეხება რეიტინგის ლიდერობისთვის ბრძოლას, ამ მხრივ ინტრიგა თითქმის აღარ არსებობს, რადგან მარია შარაპოვამ ტრავმის გამო უარი თქვა პეკინში თამაშზე. თეორიულად, კაროლინ ვოზნიაცკიმ შეიძლება დაკარგოს კლასიფიკაციაში პირველი ადგილი, მაგრამ ეს ნაკლებად მოსალოდნელია. თუმცა ნურც იმას დავივიწყებთ, რომ დანიელს პეკინში შარშან მოპოვებული ტიტულის გამო 1000 სარეიტინგო ქულა აქვს დასაცავი.

პირველი ორი დღის მთავარი მოვლენა იყო როლან გაროსის ჩემპიონის - ნა ლის მარცხი. ჩინელი ბრწყინვალე სეზონს ატარებს - ითამაშა ავსტრალიის ღიას ფინალში, მოიგო როლან გაროსი და მეხუთე ადგილს იკავებს კლასიფიკაციაში, მაგრამ შინ გამოსვლა ლის არ გამოუვიდა.

პირველ წრეში ის **მონიკა ნიკულესკუს** ხვდებოდა, რომელიც ძირითად ბადეში კვალიფიკაციის გავლით მოხვდა. რუმინელმა წელს ამერიკის ღიაზე აჩვენა კარგი თამაში, როცა მერვედფინალამდე მიაღწია. ამჯერადაც მაღალი დონის ჩოგბურთი ითამაშა, მრავალფეროვან კომბინაციებს ანვითარებდა, ლი კი ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდა. საბოლოოდ, ჩინელმა მხოლოდ ოთხი გეიმი მოიგო - 4:6, 0:6.

ეს ნაგება დაეტყობა ნა ლის მდგომარეობას რეიტინგში - შარშან მან აქ ფინალში ითამაშა. ასე რომ, ჩინელი 450 ქულას დაკარგავს და მეშვიდე ადგილამდე ჩამოქვეითდება. სხვათა შორის ტურნირს გამოეთიშა კიდევ ერთი შარშანდელი ნახევარფინალისტი **შაარ პეერი**.

ასევე განთესილთა სიას გამოაკლდა **ელენა იანკოვიჩი**, რომელიც **ტამირა პაჩეკთან** დამარცხდა, დანარჩენმა განთესილებმა კი შეძლეს პირველი წრის ბარიერის გადალახვა. სკიავონემ, სტოსურმა და **საბინ ლისიცკიმ** ეს საკმაოდ დამაჯერებლად გააკეთეს, პეტკოვიჩსა და ბარტოლის კი დიდმა ბრძოლამ მოუწიათ. განსაკუთრებით გაუჭირდა ბარტოლის **ივეტ ბენეშოვასთან** - ფრანგმა მესამე პარტიაში გამოსტაცა გამარჯვება ჩეხს - 3:6, 6:4, 7:5.

**WTA**

**China Open**

პეკინი (ჩინეთი). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 დოლარი

**I წრე**

**ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 7)**-ბოიანა იოვანოვსკი (სერ) 6:1, 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 16)**-ალექსანდრა დულგერუ (რუმ) 6:2, 4:1 უარი; **ტამირა პაჩეკი (ავსტრია)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 10) 7:5, 6:4; **სოფია არვიდსონი (შვედ)**-ალიონა ბონდარენკო (უკრ) 6:2, 5:7, 7:5; **ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 9)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ) 7:6(5), 6:4; **ანა ივანოვიჩი (სერ)**-კიმიკო დატე (იაპ) 6:1, 6:1; **კარლა სუარეს ნავარო (ესპ)**-ეკატერინა მაკაროვა (რუს) 7:5, 6:1; **მონიკა ნიკულესკუ (რუმ)**-ნა ლი (ჩინ, 4) 6:4, 6:0; **მარიონ ბარტოლი (საფ, 8)**-ივეტ ბენეშოვა (ჩეხ) 3:6, 6:4, 7:5; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 13)**-ბარბორა ზახვალოვა (ჩეხ) 7:5, 6:4; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 6)**-ცვეტანა პირონკოვა (ბულ) 6:4, 6:0.

# ენდი როჯერს მიუახლოვდა

გასულ კვირას მამაკაცი ჩოგბურთელები ორ ტურნირში არკვევდნენ ურთიერთობას. ბრიტანელმა **ენდი მიურეიმ** ბანგკოკში გაიმარჯვა და რეიტინგში **როჯერ ფედერერს** მიუახლოვდა. კუალა ლუმპურში კი კარიერაში პირველი ტიტული მოიპოვა **იანკო ტიპსარევიჩმა.**

მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა წამყვანმა ჩოგბურთელმა გასულ კვირას დასვენება გადაწყვიტა, ტაილანდსა და მალაიზიაში მაინც ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა, განსაკუთრებით ბანგკოკში, სადაც მაყურებელმა მიურეის გარდა **გაელ მონფილსი** და **ჟილ სიმონი** იხილა.

ამ ფრანგულმა დუეტმა ნახევარფინალში გასვლა მოახერხა, მაგრამ უფრო შორს ვერ წავიდა. მონფილსმა სამსაათიან ბრძოლაში წააგო ამერიკელ **დონალდ იანგთან** - 6:4, 6:7(5), 6:7(5), მიურეიმ კი სიმონის ბარიერი გაიარა.

მონფილსთან გადატანილი მარათონის შემდეგ იანგს ფინალისთვის ძალა აღარ ეყო. ენდიმ 47 წუთში მოიგო გადამწყვეტი მატჩი - 6:2, 6:0. ბრიტანელმა 5 ეისი ჩააწოდა, ამდენივე ბრეიკი მიითვალა და მეტოქეს ერთი ბრეიკ-პოინტის შანსიც არ მისცა. როგორც ჩანს, ასეთ მოკლე ფინალს ორგანიზატორებიც არ ელოდნენ და მათ ხუთი წუთით დააგვიანეს დაჯილდოების ცერემონიის დაწყება.

იანგმა პირველად ითამაშა ATP-ის ტურნირში და ასევე პირველად შევიდა რეიტინგში TOP50-ში. მიურეიმ კარიერაში მე-19, სეზონში კი მესამე ტიტული მოიგო და ტოპსამეულში შესვლის შანსი მიიღო. იმის გათვალისწინებით, რომ ფედერერმა გამოიტანა განაცხადა შანხაის მასტერსიდან, სადაც მას 600 ქულა ჰქონდა დასაცავი, ბრიტანელის შანსები მართლაც კარგად გამოიყურება.

■ ■ ■

კუალა ლუმპურში უფრო მოკრძალებული შემადგენლობა იყო. იქ შემდეგი ოთხეული გამოირჩეოდა: **ნიკოლას ალმაგრო**, იანკო ტიპსარევიჩი, **მარკოს ბაღდატისი** და **ვიქტორ ტროიცკი**.

თუ ბანგკოკში ორი ფრანგი ვიხილეთ ნახევარფინალში, კუალა ლუმპრუში სერბებს ჰყავდათ ზუსტად ასეთი წარმომადგენლობა საუკეთესო ოთხეულში. მათ გარდა, ამ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს ბაღდატისმა და **კეი ნიშიკორიმ**. იაპონელის წარმატება მოულოდნელი იყო, რადგან მეოთხედფინალში პირველ ნომრად განთესილი ალმაგროს დამარცხება შეძლო. თუმცა იაპონელმა ნახევარფინალში დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწია ტიპსარევიჩს - 4:6, 3:6. თანაც ეს ერთგვარ ტრადიციად იქცა - იანკომ ნიშიკორი წელს უკვე ხუთჯერ დაამარცხა. მეორე ნახევარფინალში ბაღდატისმა მოულოდნელად ძალიან იოლად მოუგო ტროიცკის - მხოლოდ ოთხი გეიმი დაუთმო სერბს.

საინტერესოა, რომ იანკოს აქამდე ოთხი ფინალი ჰქონდა ნათამაშები ATP-ის ტურში, თუმცა ერთი ტიტულიც ვერ მოიპოვა. კვიპროსელს ცხრიდან ოთხი ფინალი ჰქონდა მოგებული. მაგრამ ამჯერად სერბმა შეძლო უსიამოვნო ტრადიციის დარღვევა. პირველ სეტში მან დაიბრუნა სტარტზე დაკარგული ბრეიკი და საბოლოოდ 6:4 მოიგო. მეორეში პარტიის გადარჩენაზე ზრუნვა უკვე ბაღდატისს მოუწია. მარკოსმა ბოლო მომენტში მატჩზე არ ჩააწოდებინა ტიპსარევიჩს, დაიბრუნა მეორე ბრეიკი, მაგრამ იქვე ისევ დათმო საკუთარი გეიმი და იანკომ მესამე მატჩბოლიდან მოიპოვა გამარჯვება.

ტიპსარევიჩი წელს მეათე ჩოგბურთელი გახდა, ვინც კარიერაში პირველი ტიტული მოიპოვა. აი, ამ ჩოგბურთელთა სია:

1. ანდერსონი (ს. აფრ) - იოჰანესბურგი
2. დოდიგი (ხორ) - ზაგრები
3. რაონიჩი (კან) - სან ხოსე
4. სვიტინგი (აშშ) - ჰიუსტონი
5. ანდუხარი (ესპ) - კასაბლანკა
6. სეპი (იტა) - ისტბურნი
7. დოლგოპოლოვი (უკრ) - უმაგი
8. ჰაასე (ჰოლ) - კიტცბუელი
9. ფ. მაიერი (გერ) - ბუქარესტი
10. ტიპსარევიჩი (სერ) - კუალა ლუმპური

■ ■ ■

ამ კვირას ATP-ის ტურში ისევ ორი ტურნირი გაიმართება - ტოკიოსა და პეკინში. ჩინეთში განთესილთა სიას სათავეში უდგანან **ჟო-ვილფრიდ ცონგა** და **ტომაშ ბერდიხი**. იაპონიაში გაემგზავრნენ **რაფაელ ნადალი**, მიურეი, **დავიდ ფერერი, მარდი ფიში** და სხვა ძლიერი ჩოგბურთელები.

**ATP**

**Thailand Open**

ბანგკოკი (ტაილანდი). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 645 000 დოლარი

**ფინალი**

**ენდი მიურეი (ბრიტ, 1)**-დონალდ იანგი (აშშ) 6:2, 6:0.

**Malaysian Open**

კუალა ლუმპური (მალაიზია). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 948 000 დოლარი

**ფინალი**

**იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 3)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ) 6:4, 7:5.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ნა ლი

რეიტინგები

| ATP | |
|---|---|
| 1(1). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 14 720 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 10 575 |
| 3(3). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 8 380 |
| 4(4). ენდი მიურეი (ბრიტ) | 7 415 |
| 5(5). დავიდ ფერერი (ესპ) | 4 200 |
| 6(6). რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 3 770 |
| 7(7). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 2 870 |
| 8(8). მარდი ფიში (აშშ) | 2 820 |
| 9(9). გაელ მონფილსი (საფ) | 2 780 |
| 10(10). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 2 775 |
| 11(11). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 2 300 |
| 12(12). ჟილ სიმონი (საფ) | 2 255 |
| 13(17). იანკო ტიპსარევიჩი (სერ) | 2 075 |
| 14(13). ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 2 030 |
| 15(14). ენდი როდიკი (აშშ) | 1 995 |
| 16(15). ვიქტორ ტროიცკი (სერ) | 1 980 |
| 17(16). რიშარ გასკე (საფ) | 1 900 |
| 18(18). ჯონ ისნერი (აშშ) | 1 815 |
| 19(20). ა. დოლგოპოლოვი (უკრ) | 1 745 |
| 20(19). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 1 720 |

| WTA | |
|---|---|
| 1(1). კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 8 755 |
| 2(2). მარია შარაპოვა (რუს) | 6 450 |
| 3(4). ვერა ზვონარევა (რუს) | 6 315 |
| 4(3). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 6 055 |
| 5(6). პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 5 895 |
| 6(5). ნა ლი (ჩინ) | 5 870 |
| 7(7). სამანტა სტოსური (ავსტრა) | 5 380 |
| 8(9). კიმ კლაისტერსი (ბელ) | 4 501 |
| 9(8). ფრანჩესკა სკიავონე (იტა) | 4 380 |
| 10(10). მარიონ ბარტოლი (საფ) | 4 325 |
| 11(11). ანდრეა პეტკოვიჩი (გერ) | 4 020 |
| 12(13). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 3 945 |
| 13(12). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 3 270 |
| 14(14). სერენა უილიამსი (აშშ) | 3 180 |
| 15(15). შუაი პენგი (ჩინ) | 2 825 |
| 16(16). ა. პავლიუჩენკოვა (რუს) | 2 665 |
| 17(17). საბინ ლისიცკი (გერ) | 2 650 |
| 18(21). ანა ივანოვიჩი (სერ) | 2 470 |
| 19(20). იულია გორჯესი (გერ) | 2 435 |
| 20(18). რობერტა ვინჩი (იტა) | 2 420 |

| ATP. ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 10 609 318 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპ) | 6 251 514 |
| 3. ენდი მიურეი (ბრიტ) | 3 569 141 |
| 4. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 3 047 362 |
| 5. დავიდ ფერერი (ესპ) | 1 885 970 |
| 6. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 1 512 406 |
| 7. მარდი ფიში (აშშ) | 1 396 442 |
| 8. რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 1 323 473 |
| 9. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 1 225 839 |
| 10. ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 1 214 044 |
| 11. ჟილ სიმონი (საფ) | 1 127 042 |
| 12. ა. დოლგოპოლოვი (უკრ) | 1 022 245 |
| 13. იურგენ მელცერი (ავსტრია) | 1 017 748 |
| 14. იანკო ტიპსარევიჩი (სერ) | 1 006 145 |
| 15. ჯონ ისნერი (აშშ) | 992 958 |
| 16. ფილიპ პეტცშნერი (გერ) | 900 441 |
| 17. მიკაელ ლოდრა (საფ) | 898 047 |
| 18. გაელ მონფილსი (საფ) | 891 723 |
| 19. ენდი როდიკი (აშშ) | 879 890 |
| 20. ბობ ბრაიანი (აშშ) | 872 763 |
| 20. მაიკ ბრაიანი (აშშ) | 872 763 |

| WTA. ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 3 338 993 |
| 2. ნა ლი (ჩინ) | 3 247 322 |
| 3. მარია შარაპოვა (რუს) | 2 789 148 |
| 4. კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 2 766 131 |
| 5. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 2 692 132 |
| 6. სამანტა სტოსური (ავსტრა) | 2 667 203 |
| 7. კიმ კლაისტერსი (ბელ) | 2 325 741 |
| 8. სერენა უილიამსი (აშშ) | 1 978 930 |
| 9. ვერა ზვონარევა (რუს) | 1 637 193 |
| 10. ფრანჩესკა სკიავონე (იტა) | 1 527 351 |
| 11. მარიონ ბარტოლი (საფ) | 1 465 038 |
| 12. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 1 434 888 |
| 13. ანდრეა პეტკოვიჩი (გერ) | 1 214 521 |
| 14. ფლავია პენეტა (იტა) | 966 599 |
| 15. მარია კირილენკო (რუს) | 919 342 |
| 16. საბინ ლისიცკი (გერ) | 895 959 |
| 17. შუაი პენგი (ჩინ) | 869 311 |
| 18. ა. პავლიუჩენკოვა (რუს) | 823 609 |
| 19. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 800 851 |
| 20. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 792 385 |

მძლეოსნობა

# IAAF-მა ნომინანტები დაასახელა

მძლეოსნობის საერთაშორისო ასოციაციამ 2011 წლის სეზონის საუკეთესო ქალი და მამაკაცი მძლეოსნის ტიტულის მაძიებელი ათლეტების სია გამოაქვეყნა. თითოეულ სიაში ათ-ათი მძლეოსანია შესული.

ქალებს შორის სეზონის ლაურეატობაზე პრეტენზიას აცხადებენ: ბირთვის მკვრელი **ვალერი ადამსი**, მორბენლები **ვერონიკა კემპბელ-ბრაუნი, ვივიან ჩერუიოტი, კარმელიტა ჯეტერი, ამანტლ მონტშო** და **სალი პირსონი**, თარჯრბენში მორბენალი **ლაშინდა დემუსი**, სიმაღლეზე მხტომელი **ანა ჩიჩეროვა**, შვიდჭიდელი **ტატიანა ჩერნოვა** და შუბის მტყორცნელი **მარია აბაკუმოვა**.

კაცების ათეულმა ასეთი სახე მიიღო: სპრინტერები **უსაინ ბოლტი** და **იოჰან ბლეიკი**, საშუალო და გრძელ დისტანციებზე მორბენლები **მო ფარა, კირანი ჯეიმსი** და **დავიდ რუდიშა**, ბადროს მტყორცნელი **რობერტ ჰარტინგი**, მარათონელი **პატრიკ მაკაუ**, უროს მტყორცნელი **კოჯი მუროფუსი**, სიმაღლეზე მხტომელი **ჯესი უილიამსი** და სამხტომელი **კრისტიან ტეილორი**.

სამ-სამ ფინალისტს გულშემატკივრები გამოავლენენ. ასოციაციის ოფიციალურ ვებგვერდზე ხმის მიცემის პროცედურა გუშინ დაიწყო და 23 ოქტომბრამდე გაგრძელდება. ამის შემდეგ IAAF კაცებსა და ქალებს შორის სამ-სამი ფინალისტს დაასახელებს, გამარჯვებულებს კი 12 ნოემბერს გალა-წარმოდგენაზე გამოაცხადებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# უეიდსა და სტერნს უჩხუბიათ

გუშინ გვიან უნდა გაგრძელებულიყო მოლაპარაკებები NBA-ის კლუბების მფლობელებსა და მოთამაშეთა პროფკავშირს შორის. ამ შეხვედრის წინ ცნობილი გარდა, რომ ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებაზე მორიგი დიალოგი „სამი სამზე“ ფორმატში გაიმართებოდა.

ამ გადაწყვეტილებას კომენტარი გაუკეთა პროფკავშირების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **ბილ ჰანტერმა**.



სტერნი და უეიდი

*„როცა ოთახში 40-50 ადამიანი იმყოფება, ძალიან რთულია მოლაპარაკებების წარმართვა. ასეთ პირობებში მუდმივად იგრძნობა დაძაბულობა“*, - განაცხადა ჰანტერმა.

როგორც ირკვევა, ბოლო შეხვედრის დროს მცირე კონფლიქტი წარმოიშვა „მაიამი ჰიტის“ ვარსკვლავ **დუეინ უეიდსა** და ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარ **დევიდ სტერნს** შორის.

CBS Sports-ის ცნობით, ერთ მომენტში სტერნი უეიდს რაღაცას უხსნიდა და ხმას აუწია. პასუხად კალათბურთელმა ლიგის ხელმძღვანელს მოთხოვა - თითის ქნევით ნუ მელაპარაკები და საერთოდაც, ბავშვივით იქცევიო.

ამასობაში, საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა ერთ-ერთმა აგენტმა. მისი თქმით, NBA-ის ხელმძღვანელობა არ აპირებს 1998-99 წლების სცენარის გამეორებას. მაშინ კლუბების მფლობელები და პროფკავშირი დიდი ხანი ვერ ათანხმებდნენ ახალი კოლექტიური ხელშეკრულების პირობებს და სეზონის დაწყება მხოლოდ თებერვალში მოხერხდა.

იმ სეზონში გუნდებმა ორი თვის განმავლობაში 50-50 მატჩი ჩაატარეს. ჟურნალისტების აზრით, ამჯერად ლიგის ხელმძღვანელობა სრული ჩემპიონატის გამართვას აპირებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სეზონი გაუქმდება.

# ახალი ამბები კობიზე, ევროლიგაზე, საბონისზე...

ბოლონიას „ვირტუსის“ ხელმძღვანელობამ და **კობი ბრაიანტის** წარმომადგენლებმა ერთობლივი პრესრელიზი გაავრცელეს, რომელიც ამერიკელი კალათბურთელის იტალიურ კლუბში სავარაუდო გადასვლას ეხება.

*„ვაგრძელებთ მონდომებით მუშაობას კონტრაქტის გასაფორმებლად. კომპრომისის მიღწევა - ეს რთული პროცესია, რომელსაც თითოეულ ნიუანსში ორივე მხარის მონაწილეობა სჭირდება. მხარეები აპირებენ მოლაპარაკებების დასრულებას კონტრაქტზე, რომლის მიხედვითაც კობი ბრაიანტი იტალიაში ითამაშებს. ეს ტრანსფერი მთელ იტალიურ კალათბურთს მოუტანს სარგებლობას“*, - წერია პრესრელიზში.

■ ■ ■

„ბოსტონ სელტიქსი“ ლოკაუტის დასრულების შემდეგ შემადგენლობის გაძლიერებას გეგმავს. ამისთვის კლუბის ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ფორვარდ **ჯოშ ჰოვარდის** გაფორმება, რომელმაც სრულად მოირჩინა 2010 წლის თებერვალში მიღებული მუხლის ტრავმა.

შარშან ჰოვარდმა მხოლოდ 18 მატჩი ჩაატარა „ვაშინგტონ უიზარდსის“ შემადგენლობაში და საშუალოდ 8.4 ქულა დააგროვა.

■ ■ ■

ბელგიაში დასრულდა ევროლიგის საკვალიფიკაციო ტურნირი. მისი შედეგების მიხედვით გაირკვა ის ორი გუნდი, რომელიც მთავარი ევროტურნირის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებს.

პირველ ფინალში თურქეთის „გალათასარაიმ“ 71:63 დაამარცხა ლიტვის „ლეტუვოს რიტასი“ - 71:63. თურქები ჯგუფურ ეტაპზე D ჯგუფში „ბარსელონასთან“, „მონტეპასკისთან“, „პროკომთან“, „ოლიმპიასთან“ და „უნიქსთან“ მოხვდნენ.

მეორე ფინალში ბელგიურმა „შარლერუამ“ 26 ქულით გაანადგურა ჩეხეთის „ნიმბურკი“ - 79:53 და C ჯგუფში შეუერთდა „რეალს“, „მაკაბის“, „პარტიზანს“, „ეფეს პილსენსა“ და „მილანს“.

**ლ. რიტასი-გალათასარაი 63:71**

**21:13, 7:17, 12:22, 23:19**

**ლ-რ:** სეიბუტისი (15), იერეტინი (12), ბარბაუსკასი (10), ვალანჩუნასი (8+5 მოხსნა), რაისი (8+4 პასი), რობერტსი (8+10 მოხსნა).

**გ:** შუმპერტი (14), ანდრიჩი (12), შიპი (12+6 მოხსნა), ლაკოვიჩი (10+5 პასი), სონგაილა (8).

**შარლერუა-ნიმბურკი 79:53**

**15:13, 19:8, 20:15, 25:17**

**შ:** ჰილი (21+12 მოხსნა), მალეტი (18), გრინი (12+6 მოხსნა), ბეგინი (11+9 მოხსნა).

**ნ:** ლოურენსი (10), უილსონი (9), სიმონსი (8+5 მოხსნა).

■ ■ ■

ლეგენდარული ლიტველი კალათბურთელი **არვიდას საბონისი**, რომელმაც ცოტა ხნის წინ ინფარქტი გადაიტანა, საავადმყოფოდან გამოწერეს. 1988 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის მდგომარეობა იმაზე სწრაფად დასტაბილურდა, ვიდრე ამას ექიმები ელოდნენ. ამიტომაც მიიღეს გადაწყვეტილება საბონისი ამბულატორიულ მკურნალობაზე გადაეყვანათ.

ახლა არვიდასს რეაბილიტაციის კურსი ელის, რომელიც სამი-ოთხი კვირა გაგრძელდება.

ამბები

**ოლიმპიზმი**

## ოლიმპიური სტადიონი მზადაა

ლონდონში დასრულდა მძლეოსნობის სტადიონის მშენებლობა, სადაც შედგება 2012 წლის ოლიმპიური თამაშების სტარტები - იტყობინება BBC. სარბენი ბილიკი დაპროექტებულია იტალიური კომპანიის მიერ. ტრეკის შესაქმნელად გამოიყენეს სინთეტიკური მასალები იმისთვის, რომ სპორტსმენებმა მაქსიმალურად მაღალი შედეგები აჩვენონ.

ალსანიშნავია, რომ მსგავსი საფარი დაგებულია პეკინის ოლიმპიურ სტადიონზე, სადაც 2008 წლის ოლიმპიადაზე მსოფლიოს ხუთი რეკორდი დამყარდა.

სულ ლონდონის მთავარი სტადიონი 80 ათას მაყურებელს იტევს, მისი მშენებლობა 486 მილიონი ფუნტი დაჯდა. სწორედ ამ არენაზე გაიმართება მომავალი თამაშების გახსნის ცერემონია.

**ჩოგბურთი**

## მონფილსმა ჩინეთზე უარი თქვა

ფრანგული ჩოგბურთის ერთ-ერთმა ლიდერმა **გაელ მონფილსმა** უარი განაცხადა ამ კვირას პეკინის ტურნირში გამოსვლაზე, სადაც ის მეორე ნომრად იყო განთესილი. გარდა ამისა, მსოფლიოს მეცხრე ნომერი იძულებულია გამოტოვოს შანხაის მასტერსი, რომელიც 9 ოქტომბერს აიღებს სტარტს. მიზეზი გასულ კვირას ბანგკოკში მიღებულია ტრავმაა.

შანხაიში მონფილს ბელგიელი **ქსავიე მალისე** შეცვლის.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ფრენბურთი

# სერბეთი დომინირებს

კვირას დასრულდა ფრენბურთში ევროპის ჩემპიონატი ქალებს შორის. ისტორიაში პირველად კონტინენტის ჩემპიონი სერბეთის ნაკრები გახდა, რომელმაც ნაგებული მატჩი გადაარჩინა გერმანიის წინააღმდეგ.

სერბები სეტებს შორის 1:2-ს აგებდნენ, მეოთხე პარტიაში კი 0:6 იყვნენ ჩამორჩენილნი, მაგრამ მაინც მოახერხეს ტიტულის მოპოვება - 3:2 (16:25, 25:20, 19:25, 25:20, 15:9). ფინალი სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში გაიმართა.

მანამდე ჩატარდა მატჩი მესამე ადგილისთვის, რომელიც ასევე ხუთსეტიანი გამოდგა და თურქეთმა იტალია დაამარცხა - 3:2 (25:21, 15:25, 25:27, 25:19, 15:10). ალსანიშნავია, რომ თურქეთმა მეოთხედფინალში გამოთიშეს ბრძოლას წინა ჩემპიონატის გამარჯვებული რუსეთის ნაკრები.

ასე რომ, ევროპაში სერბული ფრენბურთის ეპოქა დადგა. დაახლოებით ერთი თვის წინ მამაკაცებს შორის ევროპის ჩემპიონატზე ასევე სერბეთის ნაკრებმა გაიმარჯვა - მან ფინალში 3:1 მოუგო იტალიის ნაკრებს.

სერბეთის ქალთა და მამაკაცთა ნაკრებებმა ამ გამარჯვებებით ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლის უფლება მიიღეს.



სერბი ფრენბურთელები

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **იტალია** | |
| **სერია C1/A** | |
| კომო-ფოჯა | 0:0 |
| **ესპანეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ხერესი-ხირონა | 2:1 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ბრაუნშვაიგი-ფორტუნა | 1:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბულონი-ბასტია | 1:3 |
| **პორტუგალია** | |
| ჟილ ვისენტე-ბეირა მარი | 0:0 |
| **დანია** | |
| მიდტიულანდი-ჰორსენსი | 1:0 |
| **ნორვეგია** | |
| ოლესუნდი-სტარტი | 0:0 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბრაგე-ბრომაპიოკარნა | 0:2 |
| ლანდსკრონა-კვიდინგი | 3:0 |
| ჰამარბიუ-ფალენბერგსი | 0:0 |
| **ფინეთი** | |
| ინტერი-როვანიემი | 6:2 |
| მიუპა-ჰაკა | 2:0 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ბელინცონა-ვინტერტური | 2:0 |
| **თურქეთი** | |
| გაზიანთეფი-ბეშიქთაში | 0:0 |
| **II დივიზიონი** | |
| დენიზლი-თავსანლი | 1:3 |
| **ირლანდია** | |
| უნივერსიტი-სტ. პატსი | 2:1 |
| **ირლანდიის თასი** | |
| შელბურნი-ლიმერიკი | 4:3 |
| **კვიპროსი** | |
| ეთნიკოსი (ა)-ოლიმპიაკოსი | 0:1 |
| ნეა სალამისი-აეკ | 1:1 |
| **ჩეხეთი** | |
| სლოვაცკო-იაბლონეცი | 1:0 |
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| გაზოვიკი-ნ. ნოვგოროდი | 0:2 |
| ურალი-ტორპედო | 3:2 |
| ფაკელი-გაზპრომი | 0:1 |
| ჩერნომორეცი-კამაზ | 1:0 |
| დინამო (ბრ)-სიბირი | 1:1 |
| შინიკი-ენისეი | 2:0 |
| ხიმკი-ალანია | 0:2 |
| ტორპედრ (მ)-ლუჩ ენერგია | 1:0 |
| ბალტიკა-სკა ენერგია | 0:12 |

| | |
|---|---|
| **პოლონეთი** | |
| კორონა-გორნიკი | 2:0 |
| **რუმინეთი** | |
| ბრაშოვი-ჩახლაული | 1:1 |
| მოივენი-ვასლუი | 0:5 |
| **ბულგარეთი** | |
| სლავია-კალიაკრა | 3:0 |
| **ისრაელი** | |
| მაკაბი (ნ)-ჰაპოელი (თ-ა) | 2:1 |
| მაკაბი (თ-ა)-მაკაბი (ჰ) | 1:1 |
| **არგენტინა** | |
| ბანფილდი-ნიუელსი | 2:0 |
| **კალათბურთი** | |
| **გერმანია** | |
| ბონი-ბაიერნი | 80:76 (ო) |
| ბრაუნშვაიგი-ჰაგენი | 103:74 |
| ვურცბურგი-ტრირი | 74:67 |
| ლუდვიგსბურგი-გისენი | 73:56 |
| სკაილაინერსი-ოლდენბურგი | 53:72 |
| ბაიროიტი-ულმი | 71:82 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| სკა-დინამო (რ) | 2:1 (ბ) |
| დინამო (მ)-სპარტაკი | 1:4 |
| **გერმანია** | |
| ჰამბურგი-იზერლონი | 2:3 (ბ) |
| ჰანოვერი-აისბარენი | 1:3 |
| კრეფელდი-მანჰაიმი | 2:5 |
| მიუნხენი-კიოლნი | 0:2 |
| ინგოლშტადტი-აუგსბურგი | 4:3 (ბ) |
| ნიურნბერგი-ვოლფსბურგი | 2:3 (ბ) |
| შტრაუბინგი-დიუსელდორფი | 3:2 (ო) |
| **დანია** | |
| კოპენჰაგენი-სენდერიისკი | 0:9 |
| **შვედეთი** | |
| ვექსიო-ბრინასი | 3:1 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. პეკინი** | |
| ვუ-**ჩილიჩი** | 2:6, 0:6 |
| ილჰანი-**ლოპესი** | 2:6, 6:7 |
| **ფ. მაიერი**-რამოსი | 6:2, 6:4 |
| **ვერდასკო**-ლოდრა | 6:2, 6:4 |
| **ჩიპოლა**-დოლგოპოლოვი | 6:1, 1:6, 6:0 |
| როდიკი-**ანდერსონი** | 4:6, 5:7 |
| **ATP. ტოკიო** | |
| **შტეპანეკი**-დევარმანი | 6:4, 6:3 |
| **ებდენი**-ანდუხარი | 6:7, 6:4, 6:4 |
| **ფიში**-ჰარისონი | 6:4, 3:6, 7:5 |
| **ჩიუდინელი**-გარსია ლოპესი | 6:1, 4:6, 6:4 |
| **WTA. პეკინი** | |
| **ჟენგი**-ბრიანტი | 4:6, 6:1, 7:5 |
| გორჯესი-**კირილენკო** | 6:7, 3:6 |
| ჩეტკოვსკა-**პაშეკი** | 6:1, 4:6, 2:6 |
| **ზაკოპალოვა**-პეტროვა | 6:3, 6:7, 6:1 |
| **ვოზნიაცკი**-ჰრადეცკა | 3:6, 6:0, 7:5 |
| დულკო-**რაზანო** | 2:6, 3:6 |
| **ციბულკოვა**-სკიავონე | 6:2, 6:2 |
| პენგი-**პენეტა** | 6:7, 5:7 |
| **ივანოვიჩი**-კუზნეცოვა | 6:2, 6:3 |
| **არვიდსონი**-კვიტოვა | 7:6, 4:6, 6:3 |

TV პროგრამა

**4 ოქტომბერი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. VIII ტურის მიმოხილვა.
**11:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. IX ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. VIII ტური. ლევერკუზენი-ვოლფსბურგი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. VI ტური. იუვენტუსი-მილანი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. IX ტური. პსჟ-ლიონი.
**18:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. VIII ტური. ტოტენჰემი-არსენალი.
**21:00** იტალიის ჩემპიონატი. VI ტურის მიმოხილვა.
**22:00** ესპანეთის ჩემპიონატი. VII ტური. ესპანიოლი-რეალი.
**00:00** სუპერკოლაჟი

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-ტიგრე.
**12:00** კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. ნიუ ორლეანი-ლეიკერსი.
**13:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
**14:15** ფეხბურთი. მიმოხილვა.
**15:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. გრონინგენი-აიაქსი.
**16:50** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალები. მასტერსი. მაიამი. აშშ.
**18:30** რაგბი. ექვსი ერის თასი. ინგლისი-შოტლანდია.
**20:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**21:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**21:30** F1H20 - ფორმულა 1 წყალზე. მსოფლიოს ჩემპიონატი. V ეტაპი. ჩინეთი.
**22:30** კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. ნიუ ორლეანი-ლეიკერსი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. II წრე. მონტე კარლო.
**12:40** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
**13:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. სოშო-ტულუზა.
**15:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. III წრე. მონტე კარლო.
**23:20** პროგრამა - სპორტის ვარსკვლავები.
**23:50** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პარმა-ჯენოა.

**EUROSPORT**

**11:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. პეკინი. ჩინეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

**14:30** კრიკეტი. ჩემპიონთა ლიგა. Twenty20. ჯგუფური რაუნდი. ინდოეთი (LIVE).
**18:30** კრიკეტი. ჩემპიონთა ლიგა. Twenty20. ჯგუფური რაუნდი. ინდოეთი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩოგბურთი


მარტინა ჰინგისი

# ჰინგისი ოლიმპიადას დათანხმდა?

სენსაციური ინფორმაცია გავრცელდა გუშინ ერთ-ერთ ავსტრალიურ ვებგვერდზე. ლეგენდარული შვეიცარიელი ჩოგბურთელი **მარტინა ჰინგისი** ისევ აპირებს პროფესიულ ტურში დაბრუნებას. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი იანვარში ავსტრალიის ღია პირველობაზე აპირებს გამოსვლას, რათა ზაფხულში ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლის შესაძლებლობა მიიღოს.

სავარაუდოდ, 31 წლის შვეიცარიელი მიქსტში ითამაშებს თავის თანამემამულესთან, მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანთან **როჯერ ფედერერთან** ერთად. ამგვარი წყვილის შექმნის შესახებ უკვე რამდენიმე თვეა ლაპარაკობენ, თუმცა, თავდაპირველად, ჰინგისმა უარყო ასეთი შესაძლებლობა.

შეგახსენებთ, რომ მარტინას „დიდი სლემის“ ტურნირებზე 2007 წლის შემდეგ არ უთამაშია, როცა მან ამერიკის ღია პირველობის მესამე წრეში ბელარუს **ვიქტორია აზარენკასთან** წააგო.

# ზვონარევა გაშიშვლდა




რუსმა ჩოგბურთელმა **ვერა ზვონარევამ** მონაწილეობა მიიღო ფოტოსესიაში, რომელიც ამერიკული ტელეარხის ESPN-ის მიერ იყო ორგანიზებული. ეს ტელეკომპანია ყოველწლიურად უშვებს სპორტულ კალენდარს და ამჯერად ეს გამოცემა ცნობილი ქალი ჩოგბურთელების შიშველი ფოტოებითაა დამშვენებული. სულ ფოტოსესიაში 20 სპორტსმენი მონაწილეობდა.

კალენდრის სახელწოდებაა - „სხეულის საკითხი“. გამომცემლების აზრით, კალენდრის მიზანი ცხოვრების ჯანმრთელი წესის პოპულარიზაცია გახლავთ.

ზვონარევას გარდა, ფოტოსესიაში ძირითადად ამერიკელი სპორტსმენი ქალები მონაწილეობდნენ. კერძოდ, ტანმოვარჯიშე **ალისია საკრამონე**, სპრინტერი **ნატაშა ჰასტინგსი**, სნოუბორდისტი **გრეტჰეტ ბლეილერი**, ფეხბურთელი **ჰოუპ სოლო**.

# შტეფი ხალხს გადაეჩვია

ლეგენდარულმა გერმანელმა ჩოგბურთელმა **შტეფი გრაფმა** აღნიშნა, რომ ისევე როგორც ახალგაზრდობაში, ამჯერადაც მღელვარებას გრძნობს პუბლიკის წინაშე საჯარო გამოსვლების დროს. შეგახსენებთ, რომ „დიდი სლემის“ ტურნირების 22-გზის ჩემპიონი ამჟამად ლას-ვეგასში თავის მეუღლესთან, სახელოვან ამერიკელ ჩოგბურთელთან **ანდრე აგასისთან** და ორ შვილთან - 9 წლის ვაჟ **ჯეიდენ გილთან** და რვა წლის გოგონა **ჯაზ ელთან** ერთად ცხოვრობს. ამ დღეებში გრაფმა ბერლინში საკუთარი საჩაიეს გახსნის ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა.

*„პუბლიკის წინაშე გამოსვლისას ხშირად ვნერვიულობ, იმ მომენტში მთელი სხეული დაძაბულია. უკვე გადავეჩვიე საჯარო გამოსვლებს, რადგან ახლა ჩემი მთავარი საქმიანობა - ჩემი შვილების კარგი დედობაა.*

*თუ ვიგრძნობ, რომ უფრო მეტად უნდა მივაქციო ყურადღება საკუთარ თავს, ისევ დავიწყებ ჩოგბურთის თამაშს. სპორტი კვლავაც მნიშვნელოვანია ჩემთვის. ახლა მე ისე ხშირად ვერ ვვარჯიშობ - მხოლოდ ორჯერ კვირაში“,* - ამბობს გრაფი გამოცემა Herald Sun-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

ბედნიერი ცოლ-ქმარი


● რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ლოები ლიდერი აღარ არის

ძალიან დაიძაბა სიტუაცია რალიში მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგი ეტაპის შემდეგ. საფრანგეთის რალის პირველივე დღეს ძრავასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ბრძოლას ჩამოშორდა ჩემპიონატის ლიდერი და მოქმედი ჩემპიონი **სებასტიან ლოები**, რითაც თავის კონკურენტებს - „სიტროენში“ თანაგუნდელს **სებასტიან ოჟიესა** და „ფორდის“ პილოტს **მიკო ჰირვონენს** ტიტულისთვის ბრძოლის რეალური შანსი მისცა.

საფრანგეთის რალი ოჟიემ მოიგო, რის შემდეგაც მისი ჩამორჩენა ლოებთან სამ ქულამდე შემცირდა. ჰირვონენი მეოთხე იყო და ოჟიეს მსგავსად, მასაც 193 ქულა დაუგროვდა, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ საბოლოო ოქმი შეიცვალა. რალიში მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს, ნორვეგიელ **პეტერ სოლბერგს** საფრანგეთის რალიზე დისკვალიფიკაცია მისცეს, რადგან მისი „სიტროენი“ დაშვებულ მინიმუმზე ოთხი კილოგრამით მჩატე იყო.

სოლბერგი მესამე იყო საბოლოო ოქმში, მაგრამ ის იქიდან ამოშალეს, შესაბამისად, მის ქვემოთ მყოფმა პილოტებმა ერთი საფეხურით ზემოთ აიწიეს. ამით ჰირვონენი პოდიუმზე მოხვდა და რაც მთავარია, საერთო ჩათვლაში გაუთანაბრდა ლოებს.

*„სამწუხაროა, რომ საერთო ჩათვლაში ჩამორჩენა მეტოქეთა პრობლემის ხარჯზე გავაბათილეთ, მაგრამ სეზონის ამ ფაზაში ნებისმიერ ქულას ოქროს ფასი აქვს. ესპანეთში მე და ლოები ლიდერის რანგში მივემგზავრებით - ჩემპიონატის დასასრული უდიდეს ბრძოლას გვპირდება“,* - განაცხადა ჰირვონენმა.

სეზონის დასრულებამდე ორი ეტაპია დარჩენილი. ერთი რბოლა ესპანეთში ასფალტზე გაიმართება, მეორე - ბრიტანეთში ქვაღორვიან ტრასაზე. ასეთი კალენდარი სამივე ლიდერს აძლევს შანსს, რადგან „ფორდი“ ღორღზეა ძლიერი, „სიტროენი“ - ასფალტზე“. დარჩენილი ეტაპების განსხვავებული ხასიათი და საერთო ჩათვლაში მინიმალური სხვაობა უდიდეს ბრძოლას გვპირდება, რომლის პირველი რაუნდი ესპანეთში 21 ოქტომბერს გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ ლოები ბოლო შვიდი წელია არავის უთმობს პირველობას რალის მსოფლიოს ჩემპიონატში.

**XI ეტაპი. საფრანგეთის რალი**

1. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, „სიტროენი“) - 3:06.20,4; 2. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, „მინი“) - +6,3; 3. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა“) - +1.23,8; 4 . **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა“) - +3.30,30; 5. **დენის კუიპერსი** (ჰოლანდია, „ფორდი“) - +6.42,0; 6. **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, „ფორდი“) - +7.08,3; 7. **მადს ოსტბერგი** (ნორვეგია, „ფორდი“) - +7.58,30; 8. **კენ ბლოკი** (აშშ, „ფორდი“) - +8.25,50; 9. **პიერ კამპანა** (საფრანგეთი, „მინი“) - +8.38,7; 10. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, „ფორდი“) - +10.00,8...

**საერთო ჩათვლა**

1. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა“) - 196 ქულა; 1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი“) - 196; 3. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, „სიტროენი“) - 193; 4. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა“) - 131; 5. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, „სიტროენი“) - 110; 6. **მადს ოსტბერგი** (ნორვეგია, „ფორდ სტობარტი“) - 62; 7. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, „ფორდი“) - 53; 8. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, „მინი“) - 43; 9. **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, „ფორდი“) - 40; 10. **კიმი რაიკონენი** (ფინეთი, „სიტროენი“) - 34...


ოჟიეს ეკიპაჟი

# არგენტინა რეალურია

ბოლო დროს ბევრი ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ფორმულა 1-ის ეტაპი, შესაძლოა, არგენტინაში დაბრუნდეს.

ბრაზილიასა და არგენტინაში რბოლების ერთმანეთის მიყოლებით გამართვა - მრავალწლიანი ტრადიციაა და დღეს ეს პროექტი, შესაძლოა, ფინანსურად მომგებიანი იყოს, თუმცა 1998 წლიდან მოყოლებული, არგენტინული რბოლის პრომოუტერებმა უარი თქვეს ქვეყნის გრანპრის ჩატარებაზე - მაშინ ერთ-ერთი პრობლემა კორუპციას უკავშირდებოდა.

არგენტინაში რბოლის დაბრუნების მცდელობას კურირებს ბიზნესმენი **ედი ფრიდლმანი**, რომელსაც ეკუთვნის ავტოსპორტის მრავალფუნქციური კომპლექსი - Velociudad.

მომავალი ტრასის სიგრძე იქნება 5.3 კილომეტრი და მას პილოტები დაახლოებით 90 წამში გაივლიან საშუალო სიჩქარით - საათში 273 კილომეტრი.

ავტოდრომის გარდა, რომელიც დაახლოებით 50 ათას მაყურებელს დაიტევს, Velociudad შეიცავს ფეშენებელურ სასტუმროს, კონფერენციების ჩასატარებელ კომპლექსს, სარბოლო აკადემიასა და ინჟინრების სკოლას. აგრეთვე ინფრასტრუქტურას ტესტების ჩასატარებლად.

პროექტის რეალიზაციისთვის მიწვეულია ბრიტანეთის არქიტექტურული ბიურო - Populous, რომელიც მონაწილეობდა დუბაის ავტოდრომის შემქნაში.

კომპლექსი ბუენოს აირესიდან 80 კილომეტრით იქნება დაშორებული და მისი მშენებლობა დაახლოებით 100 მილიონი დოლარი დაჯდება. ფრიდმანის თქმით, პროექტი დაფინანსდება კერძო ინვესტორების მიერ და ბიზნესმენს იმედი აქვს, რომ ტრასა 2013 წლისთვის მზად იქნება.

მომავალი ტრასა


მაგრამ ედი ფრიდმანსა და მის ინვერსტორებს არ აქვთ საკმარისი სახსრები იმისთვის, რომ ფორმულა 1-ის რბოლის ჩასატარებლად საჭირო თანხა შეიტანონ. ამიტომაც, არგენტინის გრანპრის ბედი დამოკიდებული იქნება ქვეყნის მთავრობის პოზიციაზე, რომელიც აპირებს კურსი აიღოს სპორტის ტექნიკური სახეობების განვითარებაზე. ამ დღეებში არგენტინის მთავრობამ მოტოგრანპრის ეტაპის გამართვაზე კონტრაქტს მოაწერა ხელი. რბოლა ტერმას დე რიო ხონდოს ავტოდრომზე გაიმართება.

გარდა ამისა, არგენტინაში ავტოსპორტის პოპულარობას ხელს ეწყობს ლეგენდარული რალი-რეიდი „დაკარი“, რომელიც 2012 წლის იანვარს მეოთხედ აიღებს სტარტს ბუენოს აირესიდან.

# სკანდალი იწყება

სერიოზული სკანდალი მწიფდება ფორმულა 1-ში. როგორც ჩანს, გაგრძელება ექნება კონფლიქტს „ფერარისა“ და „მაკლარენის“ პილოტებს - **ფელიპე მასასა** და **ლუის ჰემილტონს** შორის.

შეგახსენებთ, რომ სინგაპურის გრანპრის მე-12 წრეზე ბრიტანელი უკნიდან შეეჯახა ბრაზილიელს. ინციდენტის შემდეგ მწყობრიდან გამოვიდა „მაკლარენის“ ბოლიდის წინა ანტიფრთა, ხოლო მასას ბოლიდზე საბურავი დაზიანდა. როგორც ESPN იტყობინება, ჯერ კიდევ ამ ავარიამდე მასამ რადიოთი გუნდისგან ბრძანება მიიღო, რომ ჰემილტონნისთვის რბოლა გაეფუჭებინა.

*„რაც შეიძლება დიდხანს შეაყოვნე უკან ჰემილტონი,* - უთხრა მასამ მისმა სარბოლო ინჟინერმა **რობ სმედლიმ**. *- გაუფუჭე მას რბოლა. შენ შეგიძლია ამის გაკეთება“.*


შეჯახების წინ

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა